


ქართველი კულტურის



I


საქართველოს საკატრიარქო

თბილისი—1980

5-1503




წმინდა
მარიამ





დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის
ილია II ლოცვა-კურთხევით



ს ა ა ღ ღ გ რ მ ე კ ი ს ტ რ ლ ე

უფლიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს
პრეზიდენტის
ი ღ ი ა ॥

საქართველოს საკატოლიკოს
ღვთივაულთხეულ სამშენებლოს

„ღმერთი სიყვარული არს და რომე-
ლი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი
მის თანა პგიეს და იგი ღმრთისა თა-
ნა“ (I იოანე, 4,16).

ღვთისმოყვარენო და ღვთისაგან რჩეულნო მღვდელმთავარნო,
მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონიჲონნო, ძენო და ასულნო წმიდა
ივერიის სამოციქულო ეკლესიისანო, მკვიდრნო საქართველოისანო
და მცხოვრებნო ჩვენი ძვირფასი სამშობლოს საზღვრებს გარეთ!

„მშვიდობა თქვენდა, ყოველნი რომელნი ხართ ქრისტე იესოს
მიერ“ (I პეტრე, 5,14).

დღეს მე კვლავ გაუწყებთ თქვენ ყველას მარადიულ სიყვარულ-
სა და სიხარულს:

ა ღ ი ს ტ ე ა ღ ს დ ა!

უფალი მოგვმართავს ყოველ ჩვენთაგანს: „ითხოვდით, და მო-
გეცეს თქვენ“ (მათე, 7,7).

მაცხოვარო ქვეყნისა, გევეღრებით, აღადგინე ჩვენი სარწმუ-
ნოება, რომლითაც ცხოვრობდნენ და იმარჯვებდნენ ჩვენი დიდნი
მამა-პაპანი; გვრწამს, რომ ჯვარს ეცვი და აღსდეგ ჩვენთვის და
ქვეყანა გამოიხსენ ცოდვებისაგან; შენ სძლიე უძლეველი და შენი
აღდგომით მოგვმადლე საწყისი ახალი ცხოვრებისა, რომელიც იწყე-
ბა აქ, დედამიწაზე და გრძელდება საუკუნო სასუფეველში.



სასოებაო ქვეყნისა! შენ ხარ ჩვენი ერთადერთი იმედი, ჰქმენ კეთილსასწაულ და სძლიერ ბოროტსა ამ სწრაფმავალ ქვეყანასა ზედა. გვჯერა, რომ შენ მოგვანიჭებ ძალას, რათა ვიაროთ სულიერი აღმავლობის გზით და მოგვცემ მხნეობას ჩვენი სულიერი ფერის-ცვალებისათვის.

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა!

თავადსიყვარულო და სიყვარულის მომნიჭებელო უფალო, აღავსე ადამიანის დაგმანული გული შენი უზენაესი სიყვარულით, რათა შევიგრძნოთ გულისტკივილნი მოყვასთა ჩვენთა და ვიყოთ მსხვერპლად შეწირულნი ადამიანთა საკეთილდღეოდ.

პირველნი, რომელთაც აუწყეს ქვეყანას ქრისტეს აღდგომა, იყვნენ ანგელოზები. როცა მენელსაცხებელნი დედანი მივიდნენ მაცხოვრის საფლავთან, ანგელოზმა აუწყა: „ვიცი, რამეთუ იესოს ნაზარეველსა ჯვარცმულსა ეძიებთ... აღსდგა ვითარცა სთქვა. მოვე-დით და იხილეთ ადგილი სადა დაიდვა უფალი (მათე, 28,5–6; მარკოზი 16,6; ლუკა 24,6) მენელსაცხებელნი სიხარულითა და თრთოლ-ვით გაემგზავრნენ და აუწყეს მოციქულებს.... „და ვითარ იგი მოვი-დოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და აპა, იესო შეემთხვა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ! (მათე, 28,8). როგორი აუწერელი სიხარული განიცადეს მათ იმუამს. ისინი მიდიოდნენ, რათა ეხილათ უსულო გვა-მი მაცხოვრისა, ხოლო მათ ჰპოვეს მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე. იესო ქრისტეს აღდგომა აუწყეს ქვეყანას აგრეთვე მოცი-ქულებმა, რომელთაც არაერთხელ გამოეცხადა და მიმართავდა: „მშვიდობა თქვენთანა!“ განსაკუთრებით საყურადღებოა მოციქულ თომას მოწმობა, რომელმაც სთქვა: „უკეთუ არა ვიხილო ხელთა მის-თა სახე იგი სამსჭვალთა და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა სამს-ჭვალთასა, და დავსდვა ხელი ჩემი გვერდსა მისსა, არა სადა მრწმე-ნეს“ (იოანე, 20,25). მაცხოვარმა არ დასტოვა იგი ურწმუნოებაში და შეიწყალა. რვა დღის შემდგომ უფალი კვლავ გამოეცხადა მოციქუ-ლებს და უთხრა: „მშვიდობა თქვენთანა!“ შემდეგ მიმართა მოციქულ თომას და ჰრქუა: „მოყვენ თითნი შენნი და იხილე ხელნი ჩემნი და მოიღე ხელი შენი და დასდევ გვერდსა ჩემსა, და ნუ იყოფი ურწმუ-ნო არამედ გრწმენინ“ (იოანე, 20,27). თომა მოციქულმა მაშინდა უპასუხა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (იოანე, 20,28). იგივე დია-ლოგი გრძელდება დღეს ჩვენთან, რომელნიც ვიმყოფებათ ტექნი-კურ-მეცნიერული რევოლუციის ორომტრიალში. ჩვენ გვწამს, რომ თანამედროვე ადამიანი, რომელსაც სურს ყველაფერი იცოდეს, სა-ბოლოოდ მოიკრებს სულიერ ძალებს, მისთვის განცხადდება დაფა-რული და მსგავსად თომა მოციქულისა შეღაღადებს: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ დიალოგი დაწყებულია, დაველოდოთ მის დამ-თავრებას...

მეტად რთულია ის პრობლემები და სიტუაციები, რომლებიც წარმოიშვებიან ცხოვრებაში, მაგრამ მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრის-ტემ გვიჩვენა გამოსავალი — მისი მოძღვრების განხორციელება ადა-მიანთა ცხოვრებაში.

ყველა მცნებებს მოიცავს უკვდავი ნათქვამი: „შეიყვარო მოყვა-
სი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (რომ. 13,19). ერთ-ერთი მნიშვნე-
ლოვანი საკითხი, რომელიც აწუხებდა და აწუხებს ქრისტიანს, ეს
გახლავთ ადამიანის დამოკიდებულება ქვეყნისადმი. აღსათ საჭი-
როა რაღაც საშუალოს გამონახვა. როცა მოციქული იოანე ღვთის-
მეტყველი ამბობს: „ნუ გიყვარნ სოფელი ესე, ნუცალა რაი არის სოფ-
ლისა ამის. უკეთუ ვისმე უყვარდეს სოფელი ესე, არა არს სიყვარუ-
ლი მამისა მისთანა“ (I იოანე, 2,15), იგი გულისხმობს იმ სიახლო-
ვეს, რომელსაც მუდამ იჩენს ადამიანი ქვეყნისა და ცხოვრების მი-
მართ. მეტისმეტი სიახლოვე მატერიალურთან ადამიანს ხდის უხეშ
მატერიალისტად, რომელიც ცნობს ეგოიზმს და მხოლოდ პირად კე-
თილდღეობას. ჩვენ არ გვაქვს უფლება შევიძულოთ ქვეყანა, რამე-
თუ იგი ღმერთის ქმნილებაა, მაგრამ არც უნდა შევესისხლხორცოთ
მას ბოლომდე, დაუდევრობით და გულარძნილობით. ჩვენ მუდამ
გულში უნდა ვატარებდეთ მიწასთან ინტერვალის გრძნობას, ჩვენ
უნდა ვიდოდეთ არა მიწასა ზედა, არამედ მისგან ამაღლებულნი. მხო-
ლოდ ამ შემთხვევაში არ დაგვიწყებთ მარადიულ ფასეულობას.
როცა ვაანალიზებთ წარსულს, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ
ქრისტიანობა არ აღმოცენდებოდა და არ აღორძინდებოდა, რომ
ადამიანს ყური არ მიეგდო თავისი სულის ხმისათვის, რომ მაცხო-
ვარს არ მოემადლებინა ყოველივე ის, რაც მთავარია და აუცილებე-
ლი ადამიანისათვის. ქრისტიანობამ დაგვანახა, რომ იგი ზექვეყნიუ-
რია და ზებუნებრივი. მან შთაბერა ქვეყანას ახალი ენერგია, ახალი
ცხოვრება ქრისტე იესოს მიერ, ცხოვრება, რომელმაც მოსდრიკა
ცანი და შეუერთა დედამიწას. ქრისტიანობა თავის არსით თეორია
კი არ არის, არამედ სიცოცხლე, კავშირი ზეცასთან და რელიგიური
გამოცდილება. ამ რელიგიას ვერ შეიცნობ მხოლოდ გარკვეული
იდეების, დოგმატებისა და წესების სწავლით. უკეთუ ადამიანის
გულში ძევს რელიგიური მარცვალი, იგი აღმოცენდება ცხოვრების
ხედ და მოგვცემს კეთილ ნაყოფს. ეს სულიერი ძალა, რომელიც იბა-
დება პიროვნებაში, გარდაქმნის არა მარტო თვით პიროვნებას, არა-
მედ გავლენას ახდენს მთელ სამყაროზე, ცვლის ქვეყნის ისტორიულ
სახეს. ეს ღვთაებრივი ცეცხლია, არა შემმუსრველი, არამედ გან-
მწმედელი და ახალი იმპულსის მიმცემი ქვეყნისათვის. ამის შესა-
ხებ მაცხოვარი ბრძანებს: „ცეცხლისა მოფენად მოვედ ქვეყანასა
ზედა და რაი მნებავს, რათა აწვე აღეგზნას“ (ლუკა, 12,49). რას ვხე-
დავთ სინამდვილეში? ადამიანი როგორლაც განშორდა ღმერთს, მაგ-
რამ სულიერ ფასეულობას ვერ შეცვლის ვერავითარი მეცნიერება,
ტექნიკა და სხვა რამ მატერიალური. დღეს ადამიანის წინაშე დგას
გლობალური პრობლემა. შეძლებს თუ არა დაიმოჩილოს თავისი
თავი და მის მიერ შექმნილი ტექნიკა. აღმოჩნდება თუ არა დაგრო-
ვილი ტექნიკა ადამიანისათვის საბოლოოდ კეთილდღეობის შიმცე-
მი. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერულად დასაბუთებულ-
მა ტექნიკამ მოგვცა არნახული ძალაუფლება ბუნების ასათვისებ-
ლად და ეს ძალაუფლება უნდა იყოს გამოყენებული არა ადამიანის
სულიერი დაუძლურებისათვის, არამედ მისი კეთილდღეობისათვის,
ამ სიტყვის გლობალური გაგებით.

დღევანდელ პირობებში მორწმუნენი მიაღწვიან პირველი
ქრისტიანების ამაღლებული სულიერობისაგენ, როცა უფალი ძა-

ლიან ახლოს იდგა ადამიანთან და ამ სიახლოებით მისი შინაგანი სამყარო აღვსილი იყო სიყვარულით და სიხარულით. ამგვარი სიახლოები გვწყურია ჩვენ ყველას, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვპოულობთ გზებს ღმერთთან კავშირისათვის.

ცნობილი ქრისტიანი აპოლოგეტი და მეცნიერი ტერტულიანე მიგვანიშნებს ერთ-ერთ ასეთ გზაზე: „სჯობია ადამიანმა ყური მიუგდოს თავისი სულის ხმას და მაშინ ჭეშმარიტი ღმერთი არ იქნება მისთვის უცნობი. სული რაც უფრო ახლოა ბუნებასთან, მით უფრო განწყობილია ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად, რამეთუ ბუნება არის მასწავლებელი, ადამიანის სული — მოსწავლე, ღმერთი — მასწავლებლის მასწავლებელი. აქედან დასკვნა: რაც უფრო დაუახლოვდებით ღმერთს, მით უფრო დაუახლოვდებით ერთმანეთს. ადამიანისათვის, რომელიც ახლოა ღმერთთან და მოყვასთან, არ არის საშიში არავითარი განსაცდელი. ამის შესახებ ესაია წინასწარმეტყველის პირით გველაპარაკება თვით უფალი: „წყალზე გადასვლისას, მე შენთანა ვარ; მდინარენი ვერ წაგლეკავენ შენ; შეხვალცეცხლსა შინა და არ დაიწვები და არცა ალი მოგეკიდება შენ“ (ესაია, 43,2).

ბრწყინვალე და საიდუმლოა დღე ქრისტეს აღდგომისა. დღეს კვლავ აღსდგა ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი სასოება და სიყვარული. აღსდგა ჩვენი რწმენა, რწმენა შემოქმედისა, რომელიც არ გვტოვებს ჩვენ, რწმენა სიკეთისა, რწმენა ადამიანისა, რწმენა ჩვენი ფერისცვალებისა და აღდგომისა.

განახლდა ჩვენი სასოება, იმედი, რომ კაცობრიობა კვლავ დაუბრუნდება ღმერთს და აითვისებს მარადიულ სულიერ საუნჯეს; აღსდგა იმედი, რომ მოხდება ჩვენი განახლება, იმედი იმისა, რომ არ იქნება მტრობა და შიმშილი, იმედი, რომ გაიმარჯვებს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათხოება“.

გამობრწყინდა ჩვენში სამსახოვანი სიყვარული: სიყვარული ღვთისადმი, სიყვარული მამულისადმი და სიყვარული ადამიანისადმი.

ქრისტეს აღდგომამ განახვნა ჩვენი გულები; მაშასადამე ქრისტე ჩვენთან არს!

ყოველთა თქვენთა; ახლობელთა თუ შორეულთა, საქართველოში და სამშობლოს გარეთ მცხოვრებთა, ვილოცავთ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, დღესასწაულს ჩვენი სულიერი განახლებისა!

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

„ბნელი წარვალს და ნათელი იგი ჭეშმარიტი აწვე ჩანს“
(I იოანე, 2,8).

ერისტე აღსდგა! ჭეშმარიტად

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო
საბჭოს პრეზიდენტი

ილია მეორე

პასექი ქრისტესი
1980, თბილისი.



უცმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ვიზიტი იერუსალიმსა და რომში

ი ე რ უ ს ა ლ ი მ ა ზ ი

წმიდა ქალაქის იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის ბენედიქტე I-ის მიწვევით 1980 წლის 30 მაისიდან 5 ივნისამდე წმიდა ქალაქ იერუსალიმში მეგობრულ ვიზიტით იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს მოგზაურობისას თან ახლდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე); ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა); პროტოდიაკონი ხეთისო შალიკაშვილი და საპატრიარქოს თანამშრომელი ვიქტორ შიოლაშვილი.

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია 30 მაისს რომელ გავლით, იერუსალიმში ჩავიდა. იერუსალიმის საპატრიარქომ საპატიო შეხვედრა მოუწყო მსოფლიო ქრისტიანული მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ილია II-ს.

დამსვედრთა შორის იყვნენ: იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი, უნეტარესი ბენედიქტე I; მთავარეპისკოპოსი იაკობი; არქიმანდრიტი მელიტონი; არქიმანდრიტი ნიკოლოზი; რელიგიის, პრესის, რაღიოს და საზოგადოების წარმომადგენელი.

31 მაისს, დღის პირველ ნახევარში, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეწვია მაცხოვრის საფლავს; ხოლო დღის მეორე ნახევარში, იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტესთან სადილის შემდეგ მოინახულეს და გვისმელის საფლავი და გეთსამანიის ბაღი. იმავე საღამოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შეხვდა ისრაელის სახელმწიფოს რელიგიის მანისტრს ბატონ ისრაელ აპელს. პრესკონფერენცია გაიმართა რელიგიის საქმეთა სამინისტროში, რომელსაც ესწრებოდა რელიგიისა და საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი.

პრესკონფერენცია ძირითადად წარიმართა კითხვა-პასუხით, რომელიც გაიმართა ისრაელ აპელსა და ილია II შორის;

ისრაელ აპელი: — რა დამოკიდებულება არსებობს ებრაელებსა და ქართველებს შორის საქართველოში?

ილია II: — უძველესი დროიდან დდემდე, ქართველ ხალხსა და საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს შორის მუდამ მმური და მეგობრული დამოკიდებულება სუფევდა. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ოცი საუკუნის მანძილზე, ჩვენს სამშობლოში, ებრაელთა რბევასა და ანტისემიტიზმის გამოვლენის არც ერთ შემთხვევას არა ჰქონია აღვილი.

ისრაელ აპელი: — ფიქრობს თუ არა საქართველოს ეკლესია განაახლოს ქართველი ბერების მოღვაწეობა ჯვრის მონასტერში და, კერძოდ, აღმრას საკითხი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების შესახებ?

ილია II: — დიალ, ჯვრის მონასტერი ჭეშმარიტად ქართული მონასტერია, ქართველთა მიერ აშენებული. აქ, საუკუნეთა მანძილზე მოღვაწეობდა მრავალი ქართველი და მათ შორის გენიალური შოთა რუსთაველი. ჩვენი სურვილია ეს ტრადიცია გაგრძელდეს, რათა დღის სინათლეზე წარმოჩინდეს ჩვენი ერას მრავალი მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც ინახება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, და რომელთა შესწავლა ახალ შუქს მოფენდა ქართველი ერისა და მისი ეკლესიის მრავალმხრივ საქმიანობას საერთაშორისო სარბიელზე. მე

კფიქრობ, რომ უნეტარეს პატრი-
არქ ბენედიქტე I-თან მოღაპარა-
კების შედეგად ჩვენ მივაღწევთ
ამას.

პრესკონფერენცია, რომელიც საქმიანად და ურთი-
ერთგაების ნიშნით მიმდინარეობდა, გვიან საღამომდე
გაგრძელდა.

1 ივნისს, მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში შედგა წირვა. წირვის აღასრულების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-
რიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა იღია II-მ და წმიდა
ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატ-
რიარქმა, უნეტარესმა ბენედიქტე I-მა. წირვის აღსრულე-
ბისას, იღია II-მ და ბენედიქტე I-მა სიტყვებით მიმარ-
თეს ერთმანეთს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის, იღია II-ის სიტყვა, ზარმოთხმული იერუსალიმი საღმოთო-სადღესასებაულო ფირვის აღსრულების დროს

თქვენო უნეტარესობავ, იერუსალიმის დედა ეკლე-
სიის მამათმთავარო, იაკობ მოციქულის ტახტის მემკვიდ-
რეო, ბატონო ბენედიქტე!

უდიდესი სიხარულისა და მოკრძალების გრძნობა
ეუფლება ამ დღეებში ჩეს გულს, როდესაც მე და ჩემი
თანმხლები პირი ვიმყოფებით იმ წმიდა აღგილზე, სა-
დაც ცხოვრობდა, ჯვარს ეცვა და აღსდგა მაცხვარი
ჩვენი იესო ქისტე. ეს განუმეორებელი გრძნობა მეუფ-
ლება კიდევ იმიტომ, რომ მე ჩამოვედი იმ კურთხეულ
და წმიდა ქალაქში, სადაც ჩვენს დიდ წინაპრებს უმო-
ლვაწიათ და აუშენებიათ არაერთი ტაძარი და მონასტე-
რი, სადაც ღვთივგანისვენებს ჩვენი დიდი რუსთაველი
და სხვა ქართველი წმიდა მამანი. სწორედ უფლის უდი-
დესი რწმენა და სიყვარული ამოძრავებდა ჩვენს მამებს,
როცა ჭოვებდნენ სანუკვარ საქართველოს და ჩამოდიო-
დნენ პალესტინის წმიდა აღგილებში სულიერი მოღვა-
წებისათვის. ისინი იყვნენ ღვთისადმი შეწირული
შსხვერალნი, რომელიც თავდადებით აღავლენდნენ
მხურვალე ლოცვებს თავისი საყვარელი სამშობლის
კეთილდღეობისათვის.

ჩვენი ურთიერთობა დღეს არ დაწყებულა... მევე
ქართულ მატიანეში ვკითხულობთ, რომ იესო ქისტეს
ჯვარცმას ესწრებოდა საქართველოდან ჩამოსული ეპრაე-
ლი, რომელსაც ჩამოუტანია ჩვენთან მაცხოვრის კვართი.
ეს კვართი დაკრძალულია ჩვენს მევე დედაქალაქ მცხე-
თაში და მასზე ქართველმა ერმა აღაშენა ხუროთმოძვ-
რების უიშვიათესი საპატრიარქო ტაძარი სვეტიცხოვე-
ლი. მოციქულების — ანდრია პირველწოდებულისა და
სვიმონ კანანელის ქადაგებამ ივერიაში გამოიღო თა-
ვისი კეთილი ნაყოფი. შეიქმნა პირველი ეპარქიები. მე-4
საუკუნის დასაწყისში, წმიდა ნინოს ქადაგების შედეგად,
ქისტიანობა ჩვენთან გამოცხადდა სახელმწიფო რელი-
გიად. მე-5 საუკუნის I ნახევრამდე ჩვენი ეკლესია შედი-
ოდა ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციაში, ხოლო მე-5
საუკუნის II ნახევრამდე მივიღეთ ავტოკეფალია. ავტო-
კეფალიის მიღებისთანავე ჩვენი ეკლესია იწყებს ინტენ-
სიურ ურთიერთობას იერუსალიმის სამოციქულო ეკლე-
სიასთან.

მარტო ის ისტორიული ჰეშმარიტება რად დირს,
რომ მე-5 საუკუნის პირველ ნახევრამდი (429 წელს) პა-
ლესტინაში ჩადის, ბერად აღიკვეცება და მოღვაწეობს
ქართლის მეფის, დიდი ბაკურის შვილი — პეტრე იბერი.
ასერული და ქართული წყაროებით, ოცი წლის იყო
პეტრე, როდესაც მან „ტანჯნა ხორცინ თვისინი“ და მო-
ნასტირის მშენებლობას მიჰყო ხელი. როგორც ისტორიუ-
ლი წერილობითი წყაროებითა და უკანასკნელ პერიოდ-
ში პალესტინის არქეოლოგიური გათხრებით დადასტურ-
და, პეტრე ქართველს (იგი 421 წელს 12 წლისა მევ-
ლად იქნა წაყვანილი კონსტანტინეპოლიში, საიდანაც გა-
იცა პალესტინაში 429 წელს) პალესტინასა და ეგვიპ-
ტეში აუშენებია არაერთი ეკლესია-მონასტერი. მათ
შორის იორდანის უდაბნოში, იერუსალიმის მახლობლად,
სადაც ნანგრევებში აღმოჩნდა ყველაზე უძველესი ქარ-
თული წარწერები, რომლებშიც მოხსენიებული არაან
პეტრე ქართველი, მისი მამა და პაპა.

როგორც ვეგბულობთ სხვადასხვა ისტორიული
წყაროებიდან და პეტრე კონჭოშვილის წიგნიდან, ქარ-
თველებს 19 მონასტერი ჰქონიათ პალესტინაში და მათ
შორის პირველი აღილი უკავია იერუსალიმის ჯვარის
ქართულ მონასტერს.

როგორც იერუსალიმის პატრიარქის, უნეტარესი
დოსითეოსის ეპისტოლებიდან ჩანს, იერუსალიმის ჯვა-
რის მონასტერი, — სადაც იყვნენ ქართველი იღუმენი და
ქართველი ბერები, — დიდ როლს ასრულებდა იერუსა-
ლიმის და საქართველოს საპატრიარქოთა კავშირულთი-
ერთობაში. 1676 წლის სიგელში პარტიარქი დოსითეო-
სი წერს, რომ „ჯვარის მონასტერი უნდა გადაეცეს ქარ-
თველებს, რათა იყვნენ მას შინა ნამდვილი და სრულ-
უფლებიანი პატრიონი, ქრისტეს მოყვარე ივერიელი; როცა
დმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა იღუმენი, მა-
შინ მან მიიღოს თავის გამგეობაში ყველა მონასტერი,
როგორც ეს იყო აღრე“.

1689 წელს უნეტარესი იერუსალიმის პატრიარქი
დოსითეოსი ჩამოსულა საქართველოში, სადაც ის იყო
მიღებული დიდი ზეიმით. საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქი დომენტი II (1660—1675) ჩაბრძანებულა
იერუსალიმში, სადაც ის მიუღიათ „როგორც ანგელოზი“.

ასე რომ ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებს შორის ინტენ-სიური და მეტად ნაყოფიერი იყო. ჩვენი ჩამოსვლის მა-ზანი, თქვენო უნეტარესობავ, არის ის, რომ აღსდგეს ის ძველი ტრადიციული ურთიერთობა, რაც გაგვაჩნდა ად-რე. წარსულში ჩვენი ქვეყნების ავტოდიპამ შეწყვიტა ეს ძმური ურთიერთობა და დღეს კი, ვფიქრობ, დადგა დრო, როცა იერუსალიმის ეკლესიამ უნდა შეასრულოს ის დი-დი მისია, რაც ეკუთვნის დედაეკლესიას. მე დარწმუნე-ბული ვარ, რომ ორივე მხრიდან: თქვენი უნეტარესო-ბისაგან და ჩვენგან იქნება მიღებული ყოველგვარი ზო-მები, რომ ურთიერთკავშირი გაძლიერდეს; ეს სჭირდება ორივე მხარეს.

მე შევთხოვ ყოვლის შემძლებელ ღმერთს, რომ უფ-რო მეტად აყვავოს და გააძლიეროს უწმიდესი იერუსა-ლიმის ეკლესია. თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, გისურ-ებთ მრავალებამიერ ნაყოფიერ სიცოცხლეს, ხოლო ჩვენს ორ უძველეს ეკლესიას ვუსურვებ ნაყოფიერ სულიერ თანამშრომლობას.

საღმრთო-სადღესასწაულო წირვის აღსრულების შემდგომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრი-არქმა ილია II-მ წმიდა გიორგის I ხარისხის ორდენი გადასცა იერუსალიმის პატრიარქს, უნეტარეს ბენედიქ-ტე I-ს. იმავე საღამოს ბენედიქტე I-მა წმიდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის ეკლესიის უმაღლესი ორდენი გადასცა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს, მისი დიდი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მსო-ფლით ქრისტიანობის საიკეთოდ.

წირვის დამთავრების შემდგომ ილია II და მისი თანხმელები პირი ეწვივნენ იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს. ძალზე ამაღლელვებელი იყო ამ დიდე-ბული ძეგლის დათვალიერება, სადაც განისვერებს ჩვე-ნი ერის მრავალი სასიქადულო მოღვაწე, სადაც ქაზე ამოტვიცრული ყოველი შეკრის ცხოველად დაღადებს მათს წარუშლელ გვალზე.

2 ივნისს საქართველოს ეკლესიის დელეგაციას კა-მოეყნენ ცხემ-აფხაზეთის მთავარებისკობოსი ნიკოლო-ზი და ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი, რო-მელნიც ტელ-ავივიდან გაემგზავრნენ საბერძნეთის დე-დაქალაქ ათენში, ხოლო ათენიდან კუნძულ როდოსზე, სადაც მიმდინარეობდა დაალოგი მსოფლიოს მართლმ-დიდებელ ეკლესიებსა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შერის. აღნიშნული დიალოგის საბოლოო მიზანია მსოფ-ლიოს ქრისტიანული ეკლესიების ერთ მთლიან ეკლესიად შეკავშირება, როგორც ეს პირველ საუკუნეებში იყო. სა-ქართველოს ეკლესიის დელეგაცია კუნძულ როდოსზე ჩავიდა, როგორც აღნიშნული დიალოგის სრულუფლე-ბიანი მონაწილე. მთავარებისკობოსმა ნიკოლოზმა და-ლოგის მონაწილეებს გააცნო ეკლესიათა მსოფლიო საპ-ჭოს პრეზიდენტის ილია II-ის მისალმების წერილი.

„დიალოგმა“ შეიმუშავა მომავალი შეხვედრების გეგ-მა და მიღებულ კომუნიკები აღინიშნა, რომ დაალოგიას მონაწილეები სამუშაოდ შეიკრიბებიან ყოველ ორ წე-ლიწადში ერთხელ. შეიქმნა საკოორდინაციო კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს შემდგომ „დიალოგს“.

3 იგნისიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მისი თანხმელები პირი ბერებ-ნენ წმიდა აღგიღების დათვალიერებას. დღის პირველ ნა-ხევარში ისინი ეწვივნენ ბეთანიის მონასტერს. დელეგა-ციას ახსნა-განმარტებას აძლევდა იერუსალიმის ეკლე-სიის წარმომადგენელი მამა მელიტონი. ბეთნიის მონას-ტერში სტუმრებს შეეგება ამავე მონასტრის წინამდვა-რი, არქიმანდრიტი თეოდორი.

დელეგაციამ მოისახულა ბეთანიის მონასტრის სამ-ხრეთით მდებარე სვიმონ კეთოვნის სახლი, სადაც უფალმა იქსო ქრისტემ ჯვარუმის წინ უკანასკნელად გა-ათია ღამე. აქვეა წმ. ლაზარეს საფლავი, რომელსაც ძველი ეკლესიის ფორმა აქვს და ითვლება პირველ ეკ-ლესიად ბეთანიაში. სწორედ ამ საფლავიდან მკვდრეთათ აღადგინა უფალმა იქსო ქრისტემ წმ. ლაზარე, რომლის შემდგომ იგი კარგახანს მოღვაწეობდა კვიპროსის ეპის-კოპოსად. ამიტომაც არის, რომ წმ. ლაზარეს საფლავის გვერდით დღესაც არსებობს მისი მეორე საფლავი, სა-დაც დასვენებულია მისი წმიდა ნაწილები. ბეთანიის მო-ნასტერში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გადაიხა-და მცირე პარაკლისი და აკურთხა ის ადგილი, სადაც წმ. ლაზარეს დაი მართა შეხვდა მაცხოვარს და უთხრა, უფალო შენ რომ აქ ყოფილიყავი, ჩემი მმა ლაზარე არ მოკვდებოდა.

ბეთანიის მონასტრის დათვალიერების შემდგომ, საქართველოს ეკლესიის დელეგაციას გზა იერიქონისა-კენ ედვათ. იერიქონი, ეს არის იუდეველთა უდაბნოში მდებარე ოაზისი, მხარე, საიდანაც ზეცად ამაღლდა წი-ნასწარმეტყველი ილია. აქვეა ადგილი მდინარე იორ-დანზე, სადაც იოანე ნათლისმცემლის ხელით ნათელი იღო უფალმა ჩვენმა იქსო ქრისტემ. ნათლისღების შემ-დგომ სწორედ აქედან წავიდა იქსო ქრისტე ორმოცი დღით სამარტულოდ იუდეველთა უდაბნოში, რომელიც მდებარეობს ძველი იერიქონის განაპირა ერთ-ერთი მთის ძირას.

გზად მიმავლებმა დაათვალიერეს მოწყალე სამარი-ტელის ადგილი. იერიქონში დღემდე არსებობს ზაქეს სახლი და ის ცნობილი ლევის ხე, რომელზედაც ავიდა დაბალი ტანის მეხარე ზაქე, რათა გზად მომავალი უფა-ლი დაენახა. აქვეა წმ. ზაქეს მონასტერი, რომლის მთა-ვარი ტაძარი ატარებს დიდი წინასწარმეტყველების – ილიასა და ელისეს სახელებს. მონასტერში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს შეხვდა მეუდაბნოები ბერი ქრიზო-სტომოსი, რომელთანაც ილია II-მ სამახსოვრო სურა-თი გადაიღო. მახლობლად, მთის ქიმზე მდებარეობს მართლმადიდებელთა შესანიშნავი მონასტერი „სარანტა-რიო“ (40-დღიანი), რომელშიაც ამჟამად ექვსი ბერი მოღვაწეობს. დელეგაციამ მოინახულა, აგრეთვე, წმ. გე-რასიმე იორდანელის მონასტერი; რომლისგან ერთი კი-ლომეტრის დაშორებით მდებარეობს იოანე ნათლისმცემ-ლის მონასტერი. ძველ იერიქონში მიმდინარეობს არქე-ოლოგიური გათხრები. აქვეა მიტოვებული სახლები, რომლებიც დაინგრა ისრაელ-ევვიტის ომის დროს. მო-ნასტერ „სარანტარიოს“ მარჯვნივ მდებარეობს ადგილი „დალდალა“, სადაც ებრაელებმა იდღესასწაულეს პირვე-ლი პასექი.

დელეგაცია ეწვია, აგრეთვე, ძველ ადმინისტრაციულ ცენტრს – ყუმრანს. აქ ცხოვრობდნენ ესეიელნი. ეს იყო ქრისტისძლობინდელი სექტა, მსგავსად ფარისევლებისა და საღუკვლებისა, მაგრამ თავიანთი რწმენით ყველაზე ახლოს იდგნენ ქრისტეს მოძღვრებასთან. არსებობს აზრი, რომ სწორედ ესეიელნი იყვნენ პირველი ქრისტიანები. ყუმრანის მახლობელ მთაზე 1947–1962 წლებში ნაბოენი იქნა ყველაზე ადრეული და უიშვიათესი ხელნაწერები წმიდა სახარებისა. იმავე დღეს, მკვდარი ზღვის სანაპიროზე მივიღნენ იმ ადგილთან, სადაც ძველად მდებარეობდა ქალაქები სოდომი და გომორი. 1954 წელს სპეციალურმა ექსპედიციამ მოახერხა ჩასვლა მკვდარ ზღვაში (რომლის წყალი 80 პროცენტით მარილიანია) და იპოვნა ორივე განაღვეურებული ქალაქი, როგორც ეს აღწერილია ბიბლიაში. საინტერესო იყო ბეღუინებთან შეხვედრა, რომლებიც ცხოვრობენ იუდეველთა უდაბოში. სოფელ კომთან ნახეს ადგილი, სადაც მაცხოვრის ბრძანებით, მოწაფეებმა მოძღვრისათვის იძოვეს ვირი თავისი კვიცით, იერუსალიმში მისი შესვლის წინ.

იმავე დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II შეხვდა იერუსალიმის კათოლიკური ეკლესიის პატრიარქს, რომელმაც სიტყვით მიმართა ილია მეორეს.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი არის ისტორიული მნიშვნელობის, რადგან 200 წელია, რაც საქართველოს პატრიარქი არ ყოფილა იერუსალიმში. საქვეყნოდ ცნობილია თუ რა ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ბერები იერუსალიმის საეკლესიო ცხოვრებაში. საერთაშორისო პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ შეწყდა ბერების ნაკადი იერუსალიმში. ჩემი ვიზიტი იოვალისწინებს, რათა აღდგეს კავშირი, რომელიც იყო იერუსალიმში და საქართველოს შორის. ჩვენი კავშირის განმტკიცება აუცილებელია, რადგან ვხედავთ, თუ როგორ ვითარდებიან სხვა რელიგიები. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, რათა გაუძლოს ქრისტიანობამ ამ დაწოლას. სწორედ ამის შედეგია კუნძულ როდოსზე მიმდინარე დიალოგი, რომის კათოლიკებსა და მსოფლიოს მართლმადიდებლებს შორის. ჩვენ, მართლმადიდებლები და კათოლიკები ველოდებით ერთმანეთს, თუ როდის მივალთ საერთო მიზანთან. ეს ასე არ უნდა იყოს. ჩვენ ორივე უნდა ვესტრაფოთ ერთმანეთთან მისასვლელად. ამას გვკარნახობს ჩვენი ეკლესიების მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობა და მათი დღევანდელი მდგომარეობა.

შეხვედრის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ იერუსალიმის კათოლიკური ეკლესიის პატრიარქს საჩუქრად გადასცა ქართული ჭედური ხატები.

დღის მეორე ნახევარში, ისრაელში მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმა, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პატივსაცემად რესტორან „საქართველოში“ გამართეს საღილი. საღილს ესწრებოდნენ: რესტორინის პეტატრონე ილია მეგრელიშვილი; შ. რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელები – მიხეილ ჯანაშვილი და აბრამ სეფიაშვილი, აგრეთვე, მრავალი ქართველი ებ-

რალი. სადილის დროს ისრაელში მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმა ერთხმად განუცხადეს საქართველოს ეპლესის მწყემსმთავარს, რომ ისნი მზად არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ქართულ ეკლესის ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხში.

იმავე საღმოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის პატივსაცემად რელიგიის სამინისტროში მოეწყო საღვესაწაულო ბანკეტი. ბანკეტს ესწრებოდნენ: კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, იერუსალიმის პატრიარქი ბენედიქტე I, იერუსალიმის ეკლესიის მღვდელობმავრები და მოძღვრები, სამინისტროების ხელმძღვანელები, ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები. ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა ისრაელის კულტურის სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა ბატონმა ლიპელმა. მან აღნიშნა ის დიდი წვლილი, რომელიც შექმნდათ ქართველებს ქრისტიანობის განვითარების საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სარბიელზე და გამოთქვა ინანული, რომ ქართველები აღარ მოღვაწეობენ ისეთ ცნობილ ქართულ ისტორიულ კერძები, როგორიცაა, მაგალითად, ჯვრის ქართული მონასტერი. მან აღნიშნა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს, რათა ქართველები ისევ დაუბრუნდნენ იერუსალიმის ქართულ ჯვრის მონასტერს.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ:

„თქვენი უნეტარესობავ, წმიდისა ქალაქისა იერუსალიმის და სრულიად პალესტინის მამათმთავარო, ბატონი ბენედიქტე!

ქრისტეს მიერ საყვარელნო მმანო!

ქალბატონებო და ბატონებო!

დღი სისარულისა და სიყვარულის გრძნობით მოგესალმებით იმ ეკლესიისა და ერის სახელით, სადაც ინახება კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, იმ ერის სახელით, რომელსაც ეწოდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი, იმ ქვენის სახელით, სადაც იქადაგეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა და სადაც დაკრძალულია მოციქული სვიმონ კანანელი, სადაც იქადაგა და ღვთივგანისვენა წმ. იოანე ოქროპირმა.

მოგესალმებით იმ გმირი ხალხის სახელით, რომელიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე თავის სისხლისა და სიცოცხლის ფასად იცავდა თავის მამულს, რწმენას, ენას და ეროვნულ თვითშეგნებას.

რა ამლევდა მალას ჩვენს ხალხს ამ მძამე ბრძოლაში? უპირველესად ქრისტეს რწმენა და კავშირი ღმერთან, რომლის ზეგარდმოსული ცხოველმყოფელობითაც ქართველი მამები მიღიოდნენ სამოღვაწეოდ წმიდა ქადაქ იერუსალიმში, სადაც ჯვარს ეცვა და აღსდგა ჩვენი მხსნელი და მაცხოვარი იესო ქრისტე.

ისტორიულად დაღასტურებულია, რომ პალესტინაში ქართველებს მონასტრების მშენებლობა დაუწყისათ ჯერკიდევ IV საუკუნეში. მარტო წმიდა ქადაქ იერუსალიმში

ქართველებს ეკუთვნოდათ მრავალი ეპლესია-მონასტერი, მაგრამ დროთა განმავლობაში, მტრის გამუდმებული შემოსევების შედეგად, უმრავლესობა ქართული ძეგლებისა ძლიერ დაზიანდა და დაინგრა, ზოგიერთი, საერთოდ, აღიგავა პირისაგან მიწისა, ხოლო დანარჩენი გადავიდა სხვათა განმგებლობაში. ამას მოწმობენ უამრავი ქართული ხელნაწერები, რომლებიც ამჟამად დაცულია ვატყანის, საბერძნეთის, პალესტინისა, სირიის მონასტრებსა და მუჟეუმებში.

თქვენს წმიდა მიწაზე ქართული მონასტრების შენებლობის საქმეში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსაა ქართველი წმიდა მამა, მე-5 საუკუნის უდიდესი მოაზროვნე, არეპავიტული ტრაქტატების ავტორი პეტრე იბერი, რომლის თხზულებანი საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზრის განვითარებას და უდიდესი გავლენა იქონა ახალი დროის მსოფლმხედველობაზე. „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ „პეტრე იბერმა და მისმა თანამოღვაწეთა იერუსალემში აღაშენეს ყარიბთა მისაღები სახლები და თავშესაფარს აძლევდნენ ქართველ და ბერძენ მწირ-მმათა“. პეტრე იბერის ბერძნი მოწაფას, მამა იოანე რუფუსის მოწმობით, პეტრემ იერუსალიმში შეარჩია საგანგებო ადგილი და „აღაშენა მონასტრი, რომელიც დღემდე იწოდება „ივერთა მონასტრად“. დაბოლოს, ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში იტალიელი მეცნიერის ვარჯილით კორბოს მიერ იორდანის უდაბნოში აღმოჩენილი პეტრე იბერის დაფუძნებული ტაძარი — „ლაზების მონასტრი“, ცხადად მეტყველებს ეკლესია-მონასტრების იმ გრანდიოზულ მშენებლობასა და აღდგენა-გამშევენიერებაზე, რომელსაც ქართველი მამები ეწეოდნენ მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მეოცე საუკუნის მიჯნამდე. როგორც ვხედავთ, ქართველებს არცთუ ურიგოდ უღვაწიათ ღმერთის სამსახურში. ამის უტყვია მოწმეა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრი, რომელიც დღესაც დაღადებს მათს საქმეებზე.

იმდენად დიდი იყო ქართველების ავტორიტეტი, რომ ჯვაროსნული ოქების ხანაში მხოლოდ ქართველ ლაშქარს ჰქონდა უფლება გაშლილი სახელმწიფო აღმით შესულიყო წმიდა ქალაქ იერუსალიმში.

მართალია, ეს ყოველივე უკვე ისტორიაა, მაგრამ ისტორიის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ხვალინდედ დღეს ვერ განვჭვრიტავთ. ხვალინდელი დღე კი დედამიწაზე ღმერთის სასუფევლის ძიებასა და მოპოვებას უნდა შევალიოთ, რომლის წინაპირობა მოყვასის სიყვარული და ჩვენი პლანეტის ყველა ქრისტიანის დაახლოება. სწორედ ამ საღმრთო საქმისათვის დაუცხომლად იღწის ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიც არის ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, რომლის პრეზიდენტიც მე გახდავართ. დღევანდელ მსოფლიოში ქმედითი და ცხოველმყოფელი ეკუმენური მოძრაობა ქრისტიანული სამყაროს ნომერი პირველი ამოცანაა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავამართლოთ მილიონობრივ ადამიანების იმედები. ქრისტესმიერმა სიყვარულმა არ იცის ზღვარი და მანძილი. იგი ყოველ ჩვენთაგანშია, საჭიროა მხოლოდ მისი წარმოჩენება და მისით ცხოვრება ქვეყანასა ზედა.

მართალია, წმიდა ქალაქი იერუსალიმის დამდგრადებით გადასცემის შემთხვევაში გადასცემის შემთხვევაში მაგრამ მათ შორის მეგობრობის სამედინი წილი გადებული რომელიც თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში შენდებოდა და მტკიცდებოდა. ჩვენ ღმერთის დაახლოების გზად გვესახება ეს ხიდი, რომელზედაც ვიდოდნენ და კვლავაც ივლიან ქართველი მამები. თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში ქართველი მამები მოღვაწეობდნენ წმიდა ქალაქ იერუსალიმში და ჩვენი სურვილია, მომავალშიაც გაგრძელდეს ეს საუკუნოვანი ტრადიცია. მე-19 საუკუნის ქართველი მართლმორწმუნე პოეტი ამბობს: „სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბის ფიცარი, ჩემი სამშობლო ის არის“-ო, დიად, ჩვენი კეთილი ხების ვიზიტიც სწორედ იმას ემსახურება, რომ აღვადგინოთ და გავაცხოველოთ ჩვენს ეკლესიებს შორის თექვსმეტი საუკუნის წინ დაწყებული მეგობრობა და მოვინახულოთ ის წმიდა ადგილები, სადაც განისვენებენ ჩვენი მამა-პაპანი, ქართველი ერის სასიქადულო შვილები: უდიდესი მოაზროვნე პეტრე იბერი, გენიალური შოთა რუსთაველი და სხვანი.

თქვენ უნეტარესობავ, წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის მამათმთავარო, ბატონი ბენედიქტე! საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესია ელის იმ ბედნიერ დღეს, როცა იერუსალიმის ჯვრის მონასტრებში ძველებურად იმოღვაწებენ ქართველი ბერები და ქართულ ენაზე კვლავაც შესრულდება წირვა-ლოცვა.

დიალოგი დაწყებულია, ჩვენ იმედით მოველით მის კეთილ დასასრულს.

გისურვებთ მზეგრძელობასა და ჯანმრთელობას! ღმერთმა განაძლიეროს ძალი თქვენი!

მე აღვავლენ ლოცვებს ჩვენი ერების კეთილდღე-ბისათვის, ჩვენი უძველესი ერების მშვიდობიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს. 28, 11).

ბანკეტმა დაადასტურა ის გულწრფელობა და სიყვარული, რომელიც სუფერდა სტუმრებსა და მასპინძელებს შორის.

4 ინისს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II განაგრძობდა წმიდა ადგილების დათვალიერებას.

მდინარე იორდანეზე გზად მიმავალმა ილია II-მ ინახულა ადგილი, სადაც ბიბლიურმა დავითმა მოკლა გოლი-ათი. შემდეგ დათვალიერა, ქალაქ იერუსალიმის რაიონები: რამალა, ბეთოლი და ბირზეთი. ბეთოლი ის ადგილია, სადაც იაკობმა ნახა კაბე, რომელიც აერთიანებდა ცასა და დედამიწას. ბირზეთში ცხოვრობენ მართლმადიდებელი არაბები. აქვეა არაბული უნივერსიტეტი, ჯიფნა და XI საუკუნის წმ. გორგის სახელობის ეკლესია.

შემდეგ ილია II ესტუმრა სოფელ ისკარიოტს, სადაც დაიბადა იუდა, ქრისტეს ერთადერთი მოწაფე, რომელიც გალილეადან არ იყო წარმოშობით. სოფელ ისკარიოტში ქრისტიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ. დელეგაციამ ინახულა აგრეთვე სევასტია, სადაც იოანე ნათლისმცემელს თავი მოჰკვეთეს. იქვეა ნაინი, რომელ ადგილზეც იესო ქრისტემ ქვრივი ქალის შვილი აღადგი-

ნა მკვდრეთით. ნაინის მოპირდაპირედ აღმართულია თაბორის ანუ ფერისცვალების მთა, სადაც მაცხოვრის ფერისცვალება მოხდა. ამ მთაზე გაშენებულია ფერისცვალების მონასტერი. ილია II-მ დაათვალიერა მონასტერი და უშუალოდ ის ადგილი, სადაც უფალმა ფერი იცვალა. იქვე ახლოა სოფელი ნაზარეთი. ქართული ეკლესიის წარგვანილებმა ინახულეს ის ადგილი, სადაც მოხდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარება. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ესტუმრა ხარების ტაძარს, რის შემდგომ ტაძრის წინამდლვარმა, მიჭრობოლიტმა ისიდრემ საქართველოს ეკლესიის მამათმთავარი საკუთარ ბინაში მიიწვია. შემდევ ილია II-მ ინახულა იაკობის წყარო, რომელიც მდებარეობს მონასტრის ქვემოთ, სარდაფისმაგვარ ოთახში. აქ ახლაც არის ჭა, სადაც იესო ქრისტე შეხვდა სამარიტელ ქალს და წყალი შესვა. ნაზარეთთან ახლოს მდებარეობს აკრეთვე, სოფელი კანა, საიდანაც იყო წმ. მოციქული სვიმონ კანანელა. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სანთლები დაანთო კანას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში.

ნაზარეთის დათვალიერების შემდგომ ილია II-მ მონახულა გალილეას ზღვის პირას მდებარე პატარა ქალაქი ტიბერია. წმიდა რიციქულების სახელობის ეკლესიის დათვალიერების შემდგომ ესტუმრნენ ნეტარების მთას, სადაც ითქვა ცხრა ნეტარება. ამ ადგილზე იყო, რომ ხუთი ათასი კაცი დანაყრდა ხუთი პურით. შემდგომ, დელეგაციის წევრები ეწვივნენ ბეთსაიდას, საიდანაც იყვნენ წარმოშობით წმ. მოციქულები პეტრე და პავლე. მათ მრავალი სასწაული მოახდინეს ამ ადგილზე, რომელიც დღეს დაფარულია წყლით.

ქალაქ კაპერნაუმში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II პირადად შეხვდა ფრანცისკელ ბერს, სახელგანთქმულ იტალიელ მეცნიერს ვირჯილიო კორბოს. ვირჯილიოს მეშვეობით ილია II-მ მონახულა პეტრე იბერიელის სახლი. სახელოვანმა მეცნიერმა ილია II-ს უჩვენა საზღვრები ძველი კაპერნაუმისა, რომელსაც იესო ქრისტემ უწინასწარმეტყველა დამხობა. საერთოდ კაპერნაუმში მიმდინარეობს უამრავი არქეოლოგიური გათხრები.

რომელთა მიზანია შუქი მოფინოს იესო ქრისტეს მიწოდების პერიოდს. ვირჯილიო კორტოზ ილია II-ს უჩვენა აგრეთვე წმ. მოციქულების, მმების პეტრეს და ანდრიას სახლი. ოთახის ერთ კუთხეში მეცნიერის მიერ აღმოჩენილი იყო ბერძნული წარწერა და სანათლი.

ილია II-მ მაღლობა გადაუხადა ვირჯილიო კორტოს იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც მან გააკეთა ქართველი ერისათვის და მოიპატიუა საქართველოში სტუმრად.

შემდეგ საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეწვია კაპერნაუმის ეკლესიას. მოინახულეს მადარა და მერმები, სადაც ეშმაკეულნი შეცვივდნენ ღორების კოლტში, გააცოფეს და ზღვის კბოდეში გადაჩეხეს.

საღამო ხანს ქართული ეკლესიის წარგვანილებმა მიაღწიეს მდინარე იორდანეს სათავეს, სადაც უწმიდესმა და უნეტარესმა, ილია II-მ აკურთხა მდინარე იორდანეს წყალი.

წმიდა ადგილების მონახულების შემდგომ, ილია II და მისი თანმხლები პირნი გვიან საღამოს იერუსალიმში დაბრუნდნენ.

5 ივნისი იყო ვიზიტის უკანასკნელი დღე. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ესტუმრა იერუსალიმისა და სულიად პალესტინის პატრიარქს, უნეტარესს ბენედიქტე I-ს მისივე რეზიდენციაში, გადასცა სამახსოვრო საჩუქარი და დაემშვიდობა, რის შემდგომ აერობორტში გაემგზავრა.

აერობორტში საპატიო სტუმრის გასაცილებლად მოვიდნენ: იერუსალიმის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი იაკობი, არქიმანდრიტი მელიტონი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი, ეკლესიების, სამინისტროების, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები...

დამთავრდა ქრისტესმიერი სიყვარულით აღსავსე კეთილი ნების ვიზიტი. ვერცხილისფერმა ლაინერმა კურსი რომისაკენ აიღო.

მომავალ შეხვედრამდე, წმიდაო ქალაქო იერუსალიმ!

რომელი

იერუსალიმიდან გამომგზავრების იმავე დღეს, 1980 წლის 5 ივნისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მისი თანმხლები პირნი რომში ჩაიგინდნენ.

აერობორტზე საპატიო სტუმრის შეხვდნენ: კარდინალი მაქსიმილიან დე უურსტემბერგი; ვიცე-პრეზიდენტი, მონსინორი რამონ ტორელა კასკანტე; აგრეთვე მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე) და ეპისკოპოსი დავითი (ჭედუა), რომლებიც 4 ივნისს დაბრუნდნენ კუნძულ როდოსიდან, სადაც მონაწილეობას იღებდნენ კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის გამართულ დიალოგში.

სამი დღის განმავლობაში საქართველოს ეკლესიის

წარგვანილნი რომის დირსშესანიშნაობებს ეცნობოდნენ. 8 ივნისს ვატიკანის წარმომადგენლებმა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მოახსენეს მისი უწმიდესობის, რომის პაპის იოანე პავლე II-ს ურვილი საქართველოს პატრიარქთან შეხვედრის შესახებ.

6 ივნისს, საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ ილია II-ის მეთაურობით დაათვალიერა ვატიკანის ბიბლიოთეკა, რომელიც ითვლება ერთ-ერთ უმდიდრეს ბიბლიოთეკად მთელს მსოფლიოში. დელეგაციის წევრებმა ინახულეს ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული X საუკუნის ქართული სახარება და მხედრული შრიფტით დასტამბული დაგითნი, აგრეთვე ხელნაწერების კატალოგი. ბიბლიოთეკაში დაცულ 70000 ხელნაწერთა შორის,

15 ქართულია, რომელთა მიკროფილმების გადაღება შესთავაზა ილია II-ს ვატიკანის ბიბლიოთეკის დირექტორმა.

ვატიკანის ბიბლიოთეკა შედგება ევროპის ცნობილი ბიბლიოთეკებისა და კერძო პირების შემოწირულებისაგან. აქ, ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდის სამუშაოდ 2500 მეცნიერი, რომელთა ხელთ არის ბიბლიოთეკის უზარმაზარი ფონდი.

ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდგომ, დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს რომის პაპის პირადი სამღლცელო, რომელიც მოხატულია გენიალური მიქელაჯელოს მიერ.

ამის შემდგომ ილია II და მისი თანმხლები პირნი მიიწვიეს რომის პაპის სამდივნოში, სადაც ილია II-სა და კარდინალ მაქსიმილიან დე ფერსტემბერგს შორის გაიმართა აზრთა ურთიერთგაზარება.

კარდინალმა მაქსიმილიანემ სიხარულით აუწყა ილია II-ს, რომ მის შეხვედრას რომის პაპთან ექნება ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობა.

ილია II-მ გამოთქვა რწმენა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს ქრისტიანული ეკლესიების ერთიანობისათვის, რადგან ჩვენ ყველა ვემსახურებით ერთ ღმერთს. ტექნიკის პროგრესის ეპოქაში, განაგრძო ილია II-მ, ადამიანმა ვერ დაიგემაყოფილა თავისი სულიერი მოთხოვნა-ლება და ვიმედოვნებ, რომ ადამიანი აუცილებლად და-იძრუნებს რწმენას. დასასრულ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღნიშნა, რომ ბევრი მუშაობა გვაროთებს, რათა მომზადებული შევხვდეთ დიალოგს.

საუბრის დამთავრების შემდგომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიიღო რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ. აღნიშნული ვიზიტი ფართოდ გააშუქა ვატიკანის გაზეთმა სათაურით „ერთიანობის აღდგენა ყველა ქრისტიანის ვალია“. სადაც ვკითხულობთ:

„6 იგნის, პარასკევს, წმიდა მამამ (ე. ი. პაპმა) მიიღო ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმიდესობა ილია II. ისტორიულად ამ პირებს შეხვედრას ადგილი ჰქონდა პაპის პირად ბიბლიოთეკში, რომლის დროსაც მის უწმიდესობას კათოლიკოს-პატრიარქს თან ახლონები: მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა სოხუმისა და აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი; ბათუმ-შემოქმედები ეპისკოპოსი, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა დავითი; საპატრიარქოს პროტოილიკონი ხვთისო შალიგაშვილი და საპატრიარქოს მდივანი ვიქტორ შიოლაშვილი. სამდივნოში კარდინალ მაქსიმილიან დე ფერსტემბერგთან ერთად იყვნენ: ვიცე-პრეზიდენტი მონსინორი რამოს ტორელა კასკანტე და მდივნის მოადგილე პიერ დიუპრე. იოვანე-პავლე II-ისა და მისი უწმიდესობა კათოლიკის-პატრიარქი ილია II-ის ცალკე შეხვედრის შემდეგ, პაპის ბიბლიოთეკში მოწვევულ იქნენ სხვა თანმხლები პირნიც. იოანე-პავლე II წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„თქვენი უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ძველფასო ქრისტესმიერო მმებო,“

დღევანდელი დღე, ჩვენი ეკლესიების არსებობის ხანგრძლივ ისტორიაში, მართლაც რომ სახითარული დღეა. დღეს, საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი, პირველად ეწვია რომის პაპის ტახტს, რათა მეგობრული ამბორით მიესალმოს მის ეპისკოპოსის.

უკანასკნელ წლებში, იზრდება და მტკიცდება კარგი დამოკიდებულება ჩვენს ეკლესიებს შორის. თანახმად მოციქულის სიტყვებისა, ჩვენ ვინაწილებთ, როგორც ერთმანეთის სიხარულს, ასევე მწუხარებასაც: „იმხიარულეთ მათან ერთად ვინც მხიარულობს, და იტირეთ მათან ერთად ვინც ტირის. იცხოვრეთ შეთანხმებულად“.

სოხუმისა და აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, რომელსაც მე კვლავაც დიდი სიხარულით მივესალმები, ესწრებოდა, როგორც ჩემი წინამორბედის იოანე-პავლე I-ის დაკრძალვას, ასევე ჩემი ტახტზე აღზევების დღესასწაულს; დიდი სიხარული მომგვარა ჩემს მწყვემს-მთავრობასთან დაკავშირებით თქვენმა ლოცვებმა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა თქვენი ეკლესიის სოლიდარობაში ჩვენს ეკლესიასთან. სამი წლის წინ პავლე VI-ის წარმომადგენელი მონსინიორი ვირვოლი ესწრებოდა თქვენი წინამორბედის კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის დაკრძალვას. გასულ წელს კი ქრისტიანული ერთობის განმტკიცების მიზნით სამდივნოს პრეზიდენტი კარდინალი ვილებრანდი, დელეგაციასთან ერთად გესტუმრათ თქვენ, და გადმოგცათ ჩემი პირადი, მმური სალამი.

ასე ვესალმებოდით ერთმანეთს შორიდან, და აიანა, უფალმა გვაკურთხა, რომ შევხვდელოდით ერთმანეთს და გვესაუბრა „პირისპირ, რათა ჩვენი სიხარულისათვის სრული სახე მიგვეცა“.

ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, როგორც მმები. საქართველოს ეკლესია დაარსებულია წმიდა მოციქულის ანდრიას მიერ; რომის ეკლესია წმიდა პეტრეს ლოცვებზე დაფუძნებული. ანდრია და პეტრე კი სისხლით ღვიძლი ძნები იყვნენ, მაგრამ მათმა ერთსულვანმა გამოხმაურებამ იესო ქრისტეს მოწოდებაზე ისინი სულიერ მმებადაც აქცია. „ღმერთის ერთგულ ძეს, პირველ-შობილს მრავალ ძმათა შორის“, რომელიც სრული გამოხატულება ადამიანური ბუნებისა, რომ მათვის მმები ეწოდებინა.

დღეს ანდრიასა და პეტრეს თანამომმენი ვეკვდებათ ერთმანეთს, როგორც ქრისტესმიერი მმები. მმური საყვარულით და მზრუნველობით უნდა ჩვენს ეკლესიას, რომ გაიზიაროს საქართველოს ეკლესიის სიხარულიც და მწუხარებაც.

როგორც მშვიდობიანობის, ისე დევნის პერიოდში, წარმოიშვა დირსეული და სამაგალითო რწმენა ქრისტიანული მოძღვრებისა და სიწმიდისა, რწმენა, რომელიც ჩაისახა ჯერ კიდევ წმიდა ნინოს დროს და ვითარდებოდა მრავალი წმიდანისა და წამებულის მოღვაწეობით.

განსაკუთრებულ სიხარულს იწვევს თქვენი უწმიდესობის ზრუნვა საქართველოს ეროვნული ტრადიციების მქონე ეკლესიის აღორძინებაზე. ეს განახლება მტკიცედ

არის დაფუძნებული მოციქულთა ტრადიციებზე. თქვენ კარგად იცით, რომ ასეთი გარჯა ქრისტიანული ცხოვრების აღდგენაზე, რომის ეკლესიაზე ზრუნვასაც ნიშნავს. ასეთი ზრუნვის შემდეგ, მოვალენი ვართ განვახლოთ სრული ურთიერთობა ჩვენს ეკლესითა შორის. ხანგრძლივი ისტორიის მსვლელობამ მიგვიყვანა საგალალო დაქუცმაცებამდე, რომელმაც თავის მხრივ დაგვავიწყა ჩვენი ქრისტესმიერი ძმური დამოკიდებულება. ჩენი ზრუნვა განახლებისათვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელმაც ნათლად დაგვანახა საჭიროება ყველა იმ ადამიანთა შეკავშირებისა, ვისაც სწამს ქრისტე.

ვატიკანის მე-2 საბჭომ განაცხადა:

„ეკლესის აღორძინების ყოველი მცდელობა, არსებითად მდგომარეობს ეკლესის მიმართ ერთგულების ზრდაში. უეჭველია, რომ ამით აიხსნება დინამიზმი იმ მოძრაობისა, რომელიც მიმართულია გაერთიანებისკენ“.

იგი შეასენებს ყველა მორწმუნებს, რომ რაც უფრო ახლოა მათი კავშირი მამა დმერთან, სიტყვასთან და სულთან, მთ უფრო ადვილი შესაძლებელია ამ კავშირის გადასრდა ღრმა ძმურ სიყვარულში.

დღეს ყველა მორწმუნე ქრისტიანისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაქუცმაცებულ ქრისტიანთა შორის სრული ურთიერთობის აღდგენა. ეს ჩვენი მოვალეობაა ქრისტეს მიმართ, რომლის უნაწიბურო სამოსელი დარღვეულია ამ დაქუცმაცებით. ჩვენი ვალია, რომ თანამორწმუნებთან ერთად, ერთხმად ვაღიაროთ ერთი რწმენა და ამგვარად, დავემორჩილოთ უფრის ნებას, რათა მთელი კაცობრიობისათვის მისაწვდომი გახდეს სახარება. და ბოლოს ეს ჩვენი მოვალეობაა ერთმანეთის მიმართაც, რადგანაც ძმები ვართ და უნდა განვამტკაცოთ ძმური დამოკიდებულება. ამ მიზეზით ერთობლივი კომისიის პირველ შეკრებაზე, რომელიც მიეძღვანა თუოლოგიურ დიალოგს კათოლიკურ ეკლესიასა და ყველა მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის, კათოლიკურმა ეკლესიამ აღავლინა გულწრფელი ლოცვები, უფალი-საგან ლოცვა-კურთხვის მისაღებად.

რა მართებული იყო კომისიის პირველი შეკრება კუნძულ პატმოსზე, სადაც ითანემ, გამოცხადების შემდეგ, უპირატესობა მიიღო, რომ ჩვენთვის ეუწყებინა:

„ისმინე დაღადი სულისა ეკლესიებისადმი“.

დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენმა მთავარებისკოპოსმა ნიკოლოზმა და ეპისკოპოსმა დავითმა, როგორც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა, მონაწილეობა მიიღეს დიალოგში. ჩვენ ერთსულოვნად ვლოცულობთ, რომ ამ დიალოგმა მოვიტანოს რწმენის სრული ერთიანობა, რასაც ასე მგზებარებე გვსწრაფვით. მაგრამ ჩვენი მისწრაფება რწმენის გაერთიანებისაკენ უნდა შეუთანხმოთ ცოდნის განუწყვეტელ ზრდას, ურთიერთგანებასა და ერთმანეთის უცვლელ, დაუსრულებელ სივარულს.

გასულ წელს მსოფლიო პატრიარქთან სტუმრობის შემდეგ მე განვაცხადე: „ერთიანობა შეიძლება შექმნას მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულის ცოდნაში. ჭეშმარიტება და სიყვარული ერთად უნდა მოქმედებდნენ. ცალკალკე მათი მოქმედება არ არის საკმარისი, იმიტომ

რომ ჭეშმარიტება უსიყვარულოდ არ არსებობს უსაფრთხოების გარეშე“.

თქვენი უწმიდესობავ, თეოლოგიური დიალოგის შემდეგ თქვენი სასურველი ვიზიტი რომში, მართლაც რომ დროულია, რადგანაც უფრო მეტად ვრწმუნდებით ღრმადფესვაგადგმულ ძმურ სიყვარულში, რაც ნიშანდობლივი უნდა გახდეს იმ ეკლესიათა ურთიერთობისა, რომელთა მწყემსმთავრებიც ჩვენა ვართ.

მოგესალმებით რა კვლავ გულითადად, ვიხსენებ წმიდა ანდრიას მმის წმიდა პეტრეს სიტყვებს: „ყველა თქვენითაგანს გაქვთ თანხმობა სულისა, ერთიანობა გულშემატებივრობისა, მმის სიყვარულისა, კეთილი გულისა და მორჩილი გონებისა“.

ღვთაებრივმა სამებამ, რომელთა ერთობა უმაღლესი ნიმუში და წყაროა ეკლესიათა ერთიანობის იღუმალებისა, მოვანიჭოს ეს წყალობა და გვიკურთხოს დღევანდელი შეკრება, რომ მისი შემწეობით მივაღწიოთ მიზანს, რომლისთვისაც ქრისტე ლოცულობდა და რომლის მიღწევაც ჩვენ ასე ძლიერად გვსურს“.

ვაჭვეცნებთ მისი უწმიდესობის, კათოლიკოს-პატრიარქის იღია II-ის მიმართვას პაპისადმი:

„თქვენი უწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო და კურთხეულო მმაო, რომის ეკლესიის პირველო ეპისკოპოსო. ადამიანის გონებისათვის საკვირველი და მიუწვდომელია ღვთაებრივი განგება, რომლის ნებითაც ჩამოვედით ამ წმიდა ქალაქში, სადაც წამებულ იქნენ დიდი მოციქული: პეტრე, პავლე და ქრისტიანული საწმუნოების ბევრი სხვა მნათობი.“

ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს ვიზიტს, რადგანაც ეს არის პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა ერთმანეთს ხვდებიან რომისა და საქართველოს ეკლესიის პირველი წინამდებვარნი.

ჩვენ ჩამოსული ვართ იმ ქვენიდან, სადაც ინხება ჩვენი მეუფის, იესო ქრისტეს კვართი, სადაც ქადაგებდნენ წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, სადაც მოღვაწეობდა წმიდა ნინო, რომელიც „მოციქულთასწორის“ სახელს ატარებს, სადაც გარდაიცვალა უდიდესი წმიდა მამა იოანე ოქროპირი.

ქალაქში, სადაც წმიდა მოციქულის პეტრეს ტახტია, ჩვენ ჩამოვსულვართ რათა აღვადგინოთ ის უძველესი, ძმური და ორმხრივ ტრადიციული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ორ ეკლესის შორის არსებობდა.

სამწუხაროდ, ისტორიის სირთულემ გამოიწვია ჩვენი წმიდა ეკლესიის გაყიფვა. ამისდა მიუხედავად გვერა, რომ უფალი თავისი ყოვლისშემძლეობით მოგვცემს შესაძლებლობას, აღვადგინოთ სასურველი, დაკარგული კავშირი. ამ სამწუხარო მოვლენის მიუხედავად, ჩვენს ორ ეკლესის ყოველთვის ჰერონდა კეთილი ორმხრივი ურთიერთობა, რომელიც გამოიხატებოდა კულტურულ, მეცნიერულ და სულიერ თანამშრომლობაში.

ქართული ეკლესია და ქართველი ხალხი შეაღენდა იმ დიდ ხიდს, რომელიც აერთებდა ევროპისა და აზარის ორ დიდ კულტურას,



ՄԻՌԱՋԱԿԱՆ ՍԱԺԱՌՈՒՅՑԵԼՈՍ ՔԱԴՐԱԼՈՒՅՆԵ-ՔԱՐԻՌՈՎԱՐՔՅՈ ՕԼՈԱ II ԸՆ ՀՈՅՄՈԽ ՔԱՅԻ ՌՈՎԵՆ-ՔԱՅԼՈՒ VI
(ՑԵԽՎԵՂԻՆ ՀՈՅՄՇՈ)

ქრისტიანული ეკლესიები დღეს დგანან ბევრი სა-
ერთო პროხლემის წინაშე, რომელთა გადაწყვეტა მოი-
ახოვს ჩვენს, რაც შეიძლება მჭიდრო დაახლოებას.

ჩვენ დიდად ვაფასებთ რომის კათოლიკური ეკლე-
სიის იმ დიდ წვლილს, რომელიც მას შექვეს ხალხთა
ურთიერთგაებისა და მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნე-
ბის საქმეში.

წარმოვთქმებამ რა ლოცვებს, რომის კათოლიკური
ეკლესიის საკეთილდღვოდ, ჩვენ გისურვებთ, რომ თქვენი
უწმიდესობის პაპობა ყოფილიყოს ხანგრძლივი, სიკე-
თით სავსე და ნაყოფიერი.

ქრისტეა ჩვენს შორის სამარადისოდ“.

რომის პაპთან საუბრის დროს კათოლიკოს-პატრი-
ატებმა ილია II-მ დააყენა საკითხი, რომ მომავალში
ვატიკანის ბიბლიოთეკაში ქართული მასალების –
„ლა ჯორჯიას“ შესწავლის შესახებ. რომის პაპმა იოა-
ნე-პავლე II-მ განაცხადა, რომ ისინი მოხარულნი იქნე-
ბიან იხილონ ქართველი სპეციალისტები ვატიკანში,
რომლებიც იმუშავებენ და შეისწავლიან ამ მასალებს.

რომის პაპთან ვიზიტის შემდგომ, იმავე დღეს – 6
ივნისს, საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ინხულა
მაცხოვრის ბაზილიკა, სადაც ბაზილიკის წინამდღვარმა,
იღუმენმა გობრონება დელეგაციის წევრებს უჩვენა მა-
ცხოვრის წმიდა ნიკოლები, მაცხოვრის მოწის გეირგიინი
და სამსპავლნი, რომლითაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი
იესო ქრისტე. იმავე დღეს საქართველოს ეკლესიის
წარგზავნილებმა დაათვალიერეს კოლიზიუმი და რომის
კატაკომბები, სადაც თავს აფარებდნენ პირველი ქრის-
ტიანები.

7 ივნისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქ ილია II-სა და მის თანმხლებ პირთ მიღება
გაუმართეს ვატიკანის დეპარტამენტში, სადაც კარდინალ
იოანე ვილებრანდსა და ილია II-ს შორის გაიმართა
ქრისტესმიერი ძმური საუბარი.

კარდინალმა იოანე ვილებრანდსმა აღნიშნა ილია
II-ის რომის პაპთან ვიზიტის უდიდესი მნიშვნელობა
და განაცხადა, რომ ეს აუდენცია ისტორიული მნიშვ-
ნელობისაა, როგორც საქართველოს, ისე ვატიკანისათ-
ვის. საუბრისას თქვენ წარმოსთქვით ერთი კარგი ფრაზა
„ლვთის წყალობა არის ჩვენთან“ და სწორედ ეს გვაძ-
ლევს იმედს ჩვენი შემდგომი თანამშრომლობისას. კა-
თოლიკები და მართლმადიდებლები დიდი ხანია ემზადე-
ბოდნენ დიალოგისათვის, რომელიც ბოლოს შედა, მაგ-
რამ ჩვენი ჯზა ჯერ შორია და საკმაოდ რთულიც. მთა-
ვარია, რომ ჩვენ სულიერად შეერთებული ვართ და ეს
დაგვეხმარება მომავალში. ბოლოს, კარდინალმა იოანე
ვილებრანდსმა თავისი სიტყვა დაამთავრა ქართული სიტ-
ყვით „მადლობა“!

მიღებაზე საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა კათოლი-
კოს-პატრიარქმა ილია II-მ, რომელმაც თავიდანვე მად-
ლობა უძღვნა კარდინალ ვილებრანდს, რომლის სამ-
დივნო დიდ დგაწლს ეწევა ეკლესიების დაახლოების
საქმეში. მე ჯერ კიდევ იმ განცდაში ვარ, განაგრძო
ილია II-მ, რომელიც მივიღე გუშინ რომის პაპთან შე-
ხვედრისას. მე ვთვლი, რომ ჩვენი შეხვედრა მოიტანს

ბევრს ძალიან კარგს. ჩვენ ვცხოვრობთ მეცნიერული ფი-
ზიკის წერტილის წარმომადგენლობის სამარადი, რომ მი-
მართები ისევ უძრუნდებიან სულიერი საზრდო, რის გამოც ადა-
მიანები ისევ უძრუნდებიან სულიერ სამყაროს. ჩვენი
ვალია, რომ ხალხებს მივცეთ ეს სულიერი საზრდო. ყო-
ველგვარი პრობლემა, რომელიც შეიძლება წამოიჭრას
დიალოგის დროს უნდა მოგვარდეს მხოლოდ და მხო-
ლოდ მშვიდობიანი გზით. ოქვენი მაღალყოვლადუსამ-
დველოესობავ, ბატონო ვილებრანდს, ჩვენი ეკლესიე-
ბის დაახლოების საქმეში ძალაინ დიდი მნიშვნელობა
ჰქონდა თქვენს ვიზიტს საქართველოში. ღმერთმა და-
ლოცოს თქვენი სამდგრენ.

მიღების დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა
ილია II-მ საჩუქარი გადასცა კარდინალ იოანე ვილე-
ბრანდს.

ვატიკანის დეპარტამენტში მიღების შემდგომ სა-
ქართველოს ეკლესიის დელეგაცია ილია II-ის მეთაუ-
რობით ეწვია რომის პაპის ორიენტალურ ინსტიტუტს.
სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს ილია II-მ და ინსტი-
ტუტის რექტორმა. ილია II-მ თავის სიტყვაში ხაზი
გაუსვა იმ დიდ საქმიანობას, რომელსაც ეწევა პაპის
ორიენტალური ინსტიტუტი. თქვენი ინსტიტუტი, განა-
ცხადა ილია II-მ, არის ხიდი აღმოსავლეთსა და დასავ-
ლეთს შორის. ჩვენს ეკლესიებს შორის ყოველთვის კარ-
გი დამკიდებულება სუფევდა და ურთიერთტრადიციე-
ბის ღრმად შესწავლის საფუძველზე ეს მეგობრობა კი-
დევ უფრო უნდა გავაღრმაოთ.

სიტყვის დასასრულს ილია II-მ საჩუქარი გადასცა
ორიენტალური ინსტიტუტის რექტორს, რომელმაც თა-
ვის მხრივ განუცხადა პატრიარქს, რომ სასურველი იქ-
სებოდა თუ საქართველოს ეკლესია წარგზავნიდა სტუ-
დენტს პაპის ორიენტალურ ინსტიტუტში განათლების
მისაღებად.

იმავე დღეს საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ
დაათვალიერა წმ. პეტრეს ტაძარი, სადაც ინახება ბორ-
კილები წმ. მოციქულისა, აგრეთვე, ღვთისმშობლის პა-
ზილიკა და რომის სხვა ღირსშესანიშნაობანი. დელეგა-
ციის წევრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა გე-
ნიალური მიქელანჯელოს და სხვა გამოჩენილ იტალიელ
ხელოვანთა უკვდავმა ქმნილებება.

7 ივნისს, დღის მეორე ნახევარში, საქართველოს
ეკლესიის დელეგაციამ მოინახულა გამოჩენილი ქარ-
თველი მეცნიერის, კათოლიკე მიხეილ თარხნიშვილის
საფლავი, სადაც საქართველოს ეკლესიის საჭერმეცრო-
ბელმა ილია II-მ სახელოვან მამულიშვილს გადაუხადა
მცირე პანაშვილი. იმავე საღამოს კათოლიკოს-პატრიარ-
ქი და მისი თანმხლები პირნი წმ. პავლეს ტაძარში
დაესწრენ ლოცვას. ილია II-მ აკურთხა ტაძარი და
დალოცა იქ მყოფი მრევლი. მონიშნონთა გუნდმა მაღა-
ლი სტუმრის პატივსაცემად იგალობა საზეიმო საგა-
ლობელი. საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წევ-
რებმა თავის მხრივ წარმოსთქვეს ქართული საგალო-
ნელი „ქრისტე აღსდგა“, რამაც დამსწრე მრევლზე წა-
რუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

დამთავრდა კეთილი წების ვიზიტი. 1980 წლის 8 ივნისს რომის აეროპორტში საქართველოს ეკლესიას საჭეთმცერობლის, ილია II-ის გასაცილებლად მოვიდნენ: კარდინალი მაქსიმილიან დე ფურსტებერგი; კარდინალი იოანე ვილებრანდისი; ვიცე-პრეზიდენტი, მონსინორი რამონ ტორელა კასკანტე; მდივნის მოადგილე პიერ დიუპრე და სხვა იფიციალური პირი. იმავე დღეს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მოსკოვს ჩაფრინდა, ხოლო 1980 წლის 12 ივნისს დაბრუნდა თბილისში.

თბილისის აეროპორტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესს და უნეტარესს ილია II-ს დახვდნენ: თეთრწყაროელი მიტროპოლიტი ზინონი; მანგლელი მიტროპოლიტი გიორგი; წილკნელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი; ურბანელი ეპისკოპოსი კონსტანტინი; არქიმანდრიტები: სოკრატ ჭულუხაძე, გურამ ჩოჩოშვილი და იოაკიმე ასათიანი; დეკანოზები: მიხეილ დიდენკო, გიორგი პილგუევი, გურამ შალმცერიძე, ელ-

გუჯა ლოსაბერიძე და ბენიამინ ახვლედიანი; კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი გრიგოლ მშვიდობაძე; საქართველოს ეკლესიის მემატიანე და კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტი მიხ. თარხნიშვილი. აგრეთვე რელიგიის საქმეთა რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში გავი მაისურამე, რწმუნებულის მოადგილე ილია რურუა, ინსპექტორი ოთარ ჯაში, საპატრიარქოს თანამშრომლები და მრევლი.

დამთავრდა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ვიზიტი იერუსალიმში და სტუმრობა რომში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ჰქონდა მიტროპოლიტურობის საქართველოს ეკლესიისა და იერუსალიმრომის ეკლესიებს შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და განმტკიცებას, რაც თავისთვად ქმნის საფუძველს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მისაღწევად.

საქართველოს საპატრიარქოს
მემატიანე: მ. თარხნიშვილი



საქართველოს ეკლესიის დებერვაცია საჭრანგებელი

უთუოდ კეთილად მოსაგონარია ის დრო, როდესაც ქრისტიანული სამა- ყარო ერთ მთლიან სხეულს წარმო- ადგენდა და არ იყო დაყოფილი სხვა- და სხვა ეკლესიებად და ჯგუფებად... ერთია ქრისტე და ერთი იყო გზაც მისი ოლიარებისა... ერთად ვიყავით ქრისტიანენი მთელი ქვეყნისა ცის- ქეშეთის და აღვავლენდით ლოც- ვებს ღვთის მიმართ ერთი ბაგითა და ერთი გულით... მაგრამ გაიარა საუ- კუნებმა ამ ერთობით და ბოლოს იმძლავრა მაინც აემა სატანამ, ჩამო- თესლა ქრისტიანულ კეთილ ხნულ- ში ავი მარცვალი და დაირღვა სა- ნუკვარი ერთიანობა დიდი აზრისა... როგორც ეს ხდება უამთა ბრუნვაში, გადაიფურცლენ საუკუნენი ამის შემდეგაც, ცხოვრობდა ასე დაყო- ფილი ქრისტიანობა და ენაცვლე- ბოდნენ თაობები ერთიმეორეს... ასე მოვიდა ქრისტიანობა ჩვენს წლებამ- დე... დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი ცველა თავისი საშინელებით და მოსწყურდა ქრისტიანულ სულს სა- ნატრელი ერთიანობა. დაიწყო ისევ მაჯისცემა ძველმა დიდებამ და გაიღ- ვიდა ერთად ყოფილის ნათელმა აზრ- მა, ქრისტიანულ ეკლესიებსა და ყველა ჯგუფებში... და აი, ასეთი გა- მოღიძების კურთხეულ ნიაღაზე დაიწყო ეკუმენური მოძრაობა და შეიქმნა ქრისტიანულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო. თავისთავად ცხა- დია, რომ ამ საბჭოს უმთავრესი მი- ზანი არის მოამზადოს პირობები და ხელი შეუწყოს ქრისტიანულ ეკლე- სიათა და დაგუფებათა გაერთიანე- ბას ერთ სხეულად, ერთ ეკლესიად. დადი და ნათელზე ნათელია ეს მი- ზანი და ამ ნათლის მაღლმა მიიყვა- ნა საქართველოს სამოციქულო ეკ- ლესიაც იმ დასკვნამდე რომ შეერ- თებოდა ეკუმენურ მისწრაფებას და

გამხდარიყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი.

როგორც ზემოთ ითქვა, ეკლესია- თა მსოფლიო საბჭოს მთავარი მიზა- ნი არის ცველა ქრისტიანულ ეკლე- სიათა გაერთიანება, მაგრამ როგორც ცნობილია, ქრისტიანულ აზროვნე- ბას არ შეუძლია გვერდი აუაროს ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს, როგორიცაა მშვიდობისა და განიარაღების საკითხი.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღ- მდესამის სხდომაზე, რომელიც შეს- დგა საფრანგეთის ქალაქ სტრას- ბურგში 11—15 თებერვალს და რო- მელზედაც სხვა საკითხთა შორის გა- ნიხილავდნენ მშვიდობისა და განი- არაღების საკითხს, მიწვევულ იქნა მი- სი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლი- კოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფ- ლიო საბჭოს პრეზიდენტი ილია მეო- რე. მის უწმიდესობას ამ მოგზაუ- რობაში ახლდა: საქართველოს ეკ- ლესის საგარეო საქმეთა განყოფი- ლების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზე- თის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე) და პირადი მდივანი ვიქ- ტორ შიოლაშვილი.

საქართველოს ეკლესიის დელეგა- ცია მოსკოვიდან გაემგზავრა 9 თე- ბერვალს და იმავე დღეს ჩატრინდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმა- კომის სხდომები დაიწყო 11 თებერ- ვალს ქალაქ სტრასბურგში და დამ- თავრდა 15 თებერვალს. როგორც ყოველთვის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმაკომმა სთქვა თავისი სიტყვა და მიიღო შესაბამისი დადგენილება მშვიდობისა და განიარა- ღების საკითხთა შესახებ.

საქართველოს ეკლესიის დელეგა- ცია სტრასბურგიდან გამოემგზავრა

15 თებერვალს და იმავე დღეს ჩა- ვიდნენ პარიზში. პარიზის ქართველ- თა საოცისტომომ ფართო და გული- თადი შეცვედრა მოუწყო სამშობლო ქვეყნის ეკლესიის დელეგაციას. უწ- მიდესმა და უნეტარესმა, კათოლი- კოს-პატრიარქმა ილია მეორემ საღ- მრთო წირვა ჩატარა წმიდა ნინოს სახელობის პარიზის ქართულ ეკლე- სიაში.

უწმიდესი კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ვალერი უსკარ დესტე- ნის ძმას, ბატონ ანტუან უისკარ დესტენს, რომელსაც 1979 წელს საბჭო- თა კავშირში მოგზაურობის დროს შეცვედრა ჰქონდა საქართველოს კა- თოლიკოს-პატრიარქთან.

მომდევნო დღეებში ჩვენი ეკლე- სიის დელეგაციამ დაათვალიერა პა- რიზის ღირსეანიშნავი აღვილები: ლუვრი, ვერსალი, პარიზის ღვთის- მშობლის ტაძარი, ინვალიდთა სასახ- ლე, ელისეს მინდვრები და რაღა თქმა უნდა, რომ მისმა უწმიდესო- ბამ, ილია მეორემ, პარიზის შემო- გარენს გაღმობებდა ეიფელის კოშ- კიდან. დელეგაციამ მოინახულა ქა- რთველთა სოფელი ლევილი, რომე- ლიც მდებარეობს პარიზიდან 40 კი- ლომეტრის დაშორებით და პანშვი- დი გადაიხადეს ქართველთა სასაფ- ლოზე.

ჩვენი სამშობლოს, საქართველოს გულმხერვალე სიყვარულით ცხოვ- რობენ იქაც — საფრანგეთის ცის ქვეშ.

21 თებერვალს საქართველოს ეკ- ლესიის დელეგაცია მოსკოვში დაბ- რუნდა.

ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი
ნიკოლოზი (ზახარაძე)

ორი პატრიარქის შევეღრა

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II-ის მოწვევით, 11-15 აპრილს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი, უწმიდესი გაზგენ I.

ვიზიტის პირველ დღეს, ვაზგენ I და ილია II ეწვივნენ ეჩმიაძინის სახელობის თბილისის სომხურ საკათედრო ტაძარს, სადაც აღსრულებულ იქნა საღამოს ღმრთისმსახურება.

12 აპრილს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავის რეზიდენციაში მიიღო საპატიო სტუმარი და მისი თანმხლები პირნი: ეპისკოპოსი ნარეკი; ეპისკოპოსი გევორქი; არქიმანდრიტი ანანია და დიაგონი ვაჩაგანი. გაიმართა ქრისტესმიერი სიყვარულით აღსავსე მშური საუბარი, რომლის დროსაც სომხური ეკლესის მამათმთავარმა სიხარულით აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი და მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა ქართული ეკლესისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. იმავე დღეს სტუმრებმა ნახეს კინოფილმი „ილია II-ის ინტრონიზაცია“, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მათზე.

საღამოს, ქართველი და სომეხი მრევლით სავსე სიონის საპატრიარქო ტაძარში შედგა ორი პატრიარქის შეხვედრა. ილია II-მ და ვაზგენ I-მა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. სიონის წმიდა ამბიონიდან გაისმობართ და ქართულ და სომხურ ეკლესიათა მწევმსმთავრებას და ერების მეგობრობაზე. მოყვასის სიყვარულზე და ერების მეგობრობაზე.

13 აპრილს, ყოველთა სომეხთა უმაღლესმა პატრიარქ-კათოლიკოსმა, უწმიდესმა ვაზგენ I-მა, თბილისის წმიდა გიორგის სახელობის სომხურ ეკლესიაში წირვა. საღამოს, აღასრულა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა. საღამოს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა

საპატიო სტუმრის პატივსაცემად გამართა საზეიმო ვახმამი, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელნი, აგრეთვე, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ-ში გ. მაისურაძე. ვახშამზე სიტყვები წარმოსთქვეს: ილია II-მ და ვაზგენ I-მა, აგრეთვე, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, პოეტმა ი. ნონეშვილმა და პროფესორმა ზ. ალექსიძემ.

14 აპრილს, ვაზგენ I-მა ილია II-მ და მათმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ი. სტალინის სახლ-მუზეუმი გორში, ხოლო დღის მეორე ნახევარში ეწვივნენ ქალაქ-კურორტს ბორჯომს. ბორჯომის ღირსშესანიშნაობათა და მისი შემოგარენის დათვალიერების შემდგომ, ილია II-მ და ვაზგენ I-მა მოინახულეს ტამოთეს მონასტერი, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი ძველქართული საგალობლებით შეეგებნენ საპატიო სტუმრებს.

მეორე დღეს, დელეგაცია თბილისს დაბრუნდა. დამთავრდა კეთილი ნების ვიზიტი.

ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქი-კათოლიკოსი, უწმიდესი ვაზგენ I-ი გააცილეს: უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა ილია II-მ; ქუთათელ-გენათელმა მიტროპოლიტმა შიომ ილია II-მ; ქუთათელ-გენათელმა მთავარეპისკოპოსმა (ავალიშვილმა); ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა (მახარაძემ); ბათუმ-შემოქმედელმა ეპისკოპოსმა დავითმა (ჭკალუამ); აგარაკ-წალენელმა ეპისკოპოსმა ამბროსიმ (ქათაძემ); დეკანზებმა, გურამ შალამბერიძემ და ელგუჯა ლოსაბერიძემ, აგრეთვე, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში გ. მაისურაძემ; რწმუნებულის პირველმა მოადგილემ ი. რურუამ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

მიხ. თარხნიშვილი



ნაიღათა ცხოვრება

მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრება და მოღვაწეობა

— მაქსიმოს ჰომოლოგებეს
— მაქსიმუს კონფესონ

მაქსიმე აღმსარებელი ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა მთელს ქრისტიანულ სამყაროში. იგი არის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, რომლის მოძღვრებას ერთნაირად იზიარებს როგორც მართლმადიდებლური, ისე კათოლიკური ეკლესია. ცნობილი რუსი ფილოსოფიის ვლ. სოლოვიოვა მას ორიგენის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან მოაზროვნედ თვლის ქრისტიანულ აღმოსავლეთში. მაქსიმე გამოიჩინა პლატონის, არისტოტელეს და ნეოპლატონიკოსების სწავლებათა ღრმა ცოდნით. იგი დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) იდეებთან ახლოს იდგა და მათ ემსირობდა, მაგრამ არეოპაგელისგან განსხვავებით მეტ წონასწორობას იცავდა მისტიკურ და რაციონალურ მიმართულებებს შორის. არეოპაგელის მაქსიმესეული კომენტარებით შემდგომ ისარგებლა ითანე სკოტ ორიგენამ. მაქსიმე აღმსარებელი გახდა მაერთებელი რგოლი ბერძნულ-ქრისტიანულ თეოსოფიასა და დასავლეთ ევროპულ შეა საუკუნეების ფილოსოფიას შორის.

ჩევნთვის მაქსიმე აღმსარებელი საინტერესოა იმითაც, რომ თავისი ცხოვრების ბოლო წლები მან საქართველოში გაატარა, გადასახლებაში. ჩევნმა ხალხმა დღემდე შემოინახა მრავალი ლეგენდა მის შესახებ.

მაქსიმე აღმსარებელი დაიბადა კონსტანტინეპოლიში 582 წელს, დიდ-გარევან და ღვთისმოსავ ოჯახში. მამამისს ერქვა ითანე, დედას — ანა. მშობლებმა შვილს კარგი განათლება მისცეს, ასწავლეს ფილოსოფია და

საღმრთო წერილი. ახალგაზრდა მაქსიმემ ფართოდ გაითქვა სახელი თავისი სწავლულობით. მისი სიბრძნით მოხიბლულმა ჰერაკლე კეისარმა იგი თვის პირად მდივნად არჩია და ძლიერ შეიყვარა.

ამ ჰერიოლში ბიზანტიის საეკლესიო ცხოვრებაში რთული ვითარება შეიქმნა. მიმდინარეობდა გიგანტური ბრძოლა საეკლესიო კეშმარიტებისათვის, ბრძოლა მონოფიზიტობასთან, რომელიც ყველაზე ძლიერი და ყველაზე გავრცელებული ერესი იყო იმ ღრმას, და აგრძელებდა არსებობას, მიუხედავად ქალკედონის 451 წ. კრებაზე დამარცხებისა. საქმე უფრო იმით რთულდებოდა, რომ ეს მიმართულება ლოზუნგად გამოიყენეს იმპერიის მცირე ქვეყნებმა: ეგვიპტემ, სირიამ, სომხეთმა და თვათ იმპერიას დაშლით ემუქრებოდნენ. ჯერ კიდევ იმპერატორი იუსტინიანე (527—565 წწ.) იძულებული გახდა წასულიყო მონოფიზიტებთან მთელ რიგ დათმობებზე, ბოლოს ჰერაკლე კეისარი იძულებული გახდა მიეღო კონსტანტინეპოლის პატრიარქის სერგის მიერ გამოგონილი კომპრომისული მონოფიზიტური მოძღვრება. ახალი მაძღვრება ეთანხმებოდა დიოფიზიტობას იმით, რომ ქრისტეში არის ორი ბუნება: ღვთაებრივი და კაცობრიული. მაგრამ ამტკიცებდა, რომ მასში არის მხოლოდ ერთი ნება (აქედან სახელწოდება „მონი“ — ერთი და „თელემა“ — ნება) და ერთი საქმე.

კეისრის გადაწყვეტილებამ აღაშფოთა მაქსიმე, უარი თქვა მდივნდაზე და ამა სოფლის საქმეებზე, გაუნაწილა მთელა თავისი ქონება ღარიბებს „აღილო ჭვარი თვისი და შეუდ-

გა ქრისტეს“; 613 წელს იგი ბერად აღიკვეცა ქრისტოპოლის მონასტერში, საღაც შემდეგ იღუმენად დასვეს. აქ მან გააჩალა ღიგი ბრძოლა მონოფიზიტობასთან, განადგურა იგი იდეურად, მტკიცე ლოგიკით. მაქსიმე ამტკიცებდა, რომ ნება და საქმე უფრების დამახასიათებელი თვისებებია და თუ ქრისტეში არის თავისთავადი ადამიანური ბუნება (რაშიც მონოფიზიტებს), მაშინ მასში უნდა არსებობდეს თავისთავად ადამიანური ნება, რადგან პირადი ერთიანობისთვის საჭიროა ორი ნების ჰარმონიული შერწყმა.


მაქსიმე მრავალგზის ევედრებოდა მეფეს და პატრიარქს ხელი აეღოთ მონოფიზიტობაზე, ეღიარებინათ ლმერთის ორი ბუნება, ორი ნება, ორი საქმე. როცა ვერაფერს გახდა, მრატოვა ბიზანტია და წავიდა რომშე, რადგან იქ მართალ სარწმუნებას ქადაგებდნენ; იძოვა ერთი უდაბნო ადგილი, დასახლდა იქ, დაიწყო ასკეტური ცხოვრება და იკვებებოდა იმით, რასაც მისი გარემომცველი ბუნება იძლეოდა: მცენარეულით, ზეთისხილით და ველური თაფლით. აქ მან სახელი გაითქვა სიკეთითა და სიძრინით. მივიღნენ მასთან ორი ძმანი, ტომით ბერძნენი. სახელად ორივეს ანასტასიონი ერქვა, და სთხოვეს აეყვანა ისინი მოწაფედ. მაქსიმე ჯერ უარზე იყო, მაგრამ შემდეგ დათანხმდა. მაქსიმე იწყო ეპისტოლების წერა და უგზავნიდა პაპსა და ეპისკოპოსებს.

ერთხელ მოევლინა მას ანგელოზი და უთხრა: რისთვის ჩაკეტილხარ აქ, როცა ქვეყნად ბოროტი მოძღვრება

იმარჯვებს, წადი ქ. რომს და განა-
მტკიცე ჰეშმარიტი სარწმუნოებაო.
უამბო ეს მაქსიმებ თავის მოწაფეებს
და წავილნენ ყველანი რომში. პაპს
ითანხმება ძალიან გაუხარდა მაქსიმეს
მოსვლა, შექრიბა ეპისკოპოსები და
შეაჩვენა მწვალებლობა, რომელიც
ალიარებდა ქრისტეს ერთ ნებას. შემ-
დეგ ითანხმება გარდაიცვალა და თევ-
დორე აკურთხეს პაპად. მაქსიმემ
მართლმადიდებლობის განსამტკიცებ-
ლად ჩრდილოეთ აფრიკა მოიარა,
როცა რომში დაბრუნდა, იქ შეხვდა
კონსტანტინეპოლის პატრიარქს პი-
როსს და ამხილა მათი ბოროტი მოქ-
მედება; პიროსმა ალიარა თავისი
შეცოდება, მაგრამ როცა კონსტან-
ტინეპოლს ჩავიდა, ისევ ძველს დაუ-
ბრუნდა. რომში მტკიცედ იცავდნენ
დიოფიზიტობას. ამ დროს გარდაიც-
ვალა თევდორეც და პაპად დასვეს
წმიდა მარტინე. მან 643 წელს მო-
იწვია ლატერანის საეკლესიო კრე-
ბა, შეაჩვენა სერგი, კირის და პავ-
ლე მწვალებლები და იქადაგა ქრის-
ტეს ორი ბუნება, ორი ნება და ორი
საქმე.

653 წელს რომის პაპის მარტინეს
ურჩობით აღშფოთებულმა ბიზან-
ტიის იმპერატორმა ჭარი გაგზავნა
რომში (იუსტინიანეს დაპყრობების
შემდეგ ითალია ბიზანტიის ემორჩი-
ლებოდა). შეიპყრო პაპი წმ. მარტი-
ნე, მაქსიმე აღმსარებელი თავისი
ორი მოწაფით და კონსტანტინეპოლ-
ში ჩაიყვანა. ჭერ მრავალი წამებით
შეურაცხყვეს ისინი, შემდეგ წმ. მარ-
ტინე ხერსონესში გადაასახლეს მრა-
ვალ სხვა ეპისკოპოსთან ერთად. მაქ-
სიმე და ორი მისი მოწაფე (ანასტა-
სიონები) სასამართლოს წინაშე წა-
რადგინეს. ჭერ ანასტასიონს ჰკითხეს:
რისთვის შეურაცხყო შენმა მასწავ-
ლებელმა რომში ყოფნის დროს კი-
რის პატრიარქით. ანასტასიონმა მი-
უგო: პირიქით ჩემმა მასწავლებელ-
მა კირის პატრიარქი დიდი პატივით
მიიღო. მას სცემეს და საპყრობილე-
ში წაიყვანეს. შემდეგ მაქსიმეს უთხ-
რეს დაცინვით: აპა, შენმა უკულმარ-
თმა საქმიანობამ მოგიყვანა აქ, რაღ-
ვან აცთუნებდი ერს შენი ცრუ სწავ-
ლებითო.

მეორე დღეს კვლავ ჰკითხეს მაქ-
სიმეს: ალიარე რაზე გქონდათ საუ-
ზარი შენ და კირის პატრიარქსო და



რა სიტყვები უთხარი, რომ მან თავი-
სი რწმენა შეაჩვენა და შენი მიიღო.
მაქსიმე მოუყვა მთელ მათს საუბარს,
რაც კი ახსოვდა, და რწმენის შესა-
ხებ კი უპასუხა: მე საკუთარი რწმე-
ნა არ მაქვს, მე ვალიარებ წმიდა და
ჰეშმარიტ სარწმუნოებას, რომელიც
ქადაგებული არის წმიდა მოციქულ-
თაგან, და არაფერი მითქვას ახა-
ლიო. შემდეგ შესთავაზეს: დაჰგმე
შენი რწმენა და ეზიარე კონსტანტი-
ნეპოლის საყდარსაო. მაქსიმემ მტკი-
ცედ მიუგო: არ ვეზიარებიო. ჰკით-
ხეს: რა მიზეზი გაქვსო. უპასუხა: მე
ნიკეას და ქალკედონის კრებებს წინ
არ აღვუდგებიო. შემდეგ უთხრეს:
რომაელთა განდგომის მიზეზი შენ
იყავო, რაც შენ შეგიძყარით, რომა-
ელებმა ალიარეს ჩვენი სარწმუნოე-
ბაო. მაქსიმემ მტკიცედ უპასუხა: მე

არ მჯერა, რომ რომაელებმა უარყვეს
ქრისტეს ორი ნება.

რომ ვერაფერს გახდნენ, მაქსიმე
თავისი ორი მოწაფით მაკედონიის
ქალაქ თრაკიში გადაასახლეს, ცხელ
და უნაყოფო მხარეში. მაქსიმე სუ-
ლით არ დაეცა, აქაც გაშალა თავისი
მოღვწეობა. ყველა გააკვირვა თა-
ვისი დიდი ცოდნით და სათხონ ხა-
სიათით. დაწერა მრავალი წიგნი,
„განმარტნა ლრმანი სიტყვინი დიო-
ნისო არეპაგისანი“, კომენტარი
გაუკეთა მრავალ საღმრთო წერილს.

რამდენიმე წლის შემდეგ იმპერა-
ტორ კონსტანტინე III-ს მოახსენეს,
რომ მაქსიმე აღმსარებელი არ ცხრე-
ბოდა და განაგრძობდა თავის მოღვა-
წეობას დიოფიზიტობის განსამტკი-
ცებლად. მან გაგზავნა იქ კესარია-
ბითვინის ეპისკოპოსი თეოდოსი

და პავლე იქატოსი, და კვლავ ურჩია ზიარებოდა წმ. კონსტანტინეპოლის საყდარს. მაქსიმემ მიუგო მათ: თქვენ განსწავლული კაცნი ხართ და, თვითონ იცით, რამდენი ახალი და უცხო წესი შემოვიდა ჩვენს წმიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებამი, და კონსტანტინეპოლის საყდარმა დამტკიცა ისინი. ეს არის ჩვენი სარწმუნოების უწესო შეცვლა, რომელშიც ბრალი მიუძღვით კონსტანტინეპოლის წინამძღვლა სერგის, პავლეს და პიროსს, თქვენ ქრისტეს ერთი ნება განამწევეთ და ვერ შეგირთლებით. წავიდნენ და მოახსენეს მეფეს პასუხი მაქსიმესი.

შემდეგ ისევ გაგზავნა მეფემ ოეოდოსი ეპისკოპოსი და ეპიფანე პატრიკი მასთან. ეპიფანემ უთხრა: მეფე გრძრანებს, ვინაიდან მრავალნი აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც შენს მოძღვრებას იზიარებენ და ჩვენ გვეურჩებიან, ჩვენ გიბრძანებთ: გვეზიარე ჩვენ, შემოდი სამეფო ჟალაქში, მთელი სამეფო შემოგევებებით, ამბორს გიყოფთ და დიდი პატივით და დიდებით შეგივევანთ წმ. სოფიოს დიდ ტაძარში, მეფის გვერდზე დაგეყენებთ და პატრიარქი წირვას შეასრულებს, და ვეზიაროთ წმიდა საიდუმლოთა ქრისტეს ცხოველმყოფელ სისხლსა და ხორცს. მაშინ ყოველნი განდეგილი შემოგვიერთდებიან, რომლებიც შენი სწავლებით არიან გაურჩებული.

მაქსიმემ შეუთვალა: მე პატივსა ვცემ წმიდა კრებებს: ნიკეას სამას თვრამეტი წმიდა მამისას, კონსტანტინეპოლის ას ორმოცდა ათი წმიდა მამისას, ეფესოს ორასი წმიდა მამისას, ქალკედონის ექვსას ოცდა ათი წმიდა მამისას, — ამ კრებებმა დამტკიცეს მართალი სარწმუნოება და მე მათ ვერ ვუღალატებო.

მეორე დღეს დაწერა იმპერატორმა ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო: „წარგავლინეს სამარადისოსა ექსორიბასა და პყრობილობასა კერძოთა სამეცნიეროსათა“. მაქსიმე და მისი ორი მოწაფე ჯერ სასტიკად აწამეს: თვით მაქსიმეს მოპევეთს მარჯვენა ხელი. ეს მოხდა 658 წელს. სამივე გადმოასახლეს საქართველოში. აյ ისინი განაცალკევეს: ერთი — ანასტასიონი სვანეთის ციხეში გაგზავნეს, მეორე — აფხაზეთისაში;

მაქსიმე აღმსარებელი მიიყვანეს ლეჩებუმში და დეხვირის ციხეში ჩასვეს, ცაგერის ახლოს.

მაქსიმე აქაც არ ცხრებოდა, დღე და ღამეს ლოცვაში ატარებდა. მის მოკვეთილ ხელს, — ამბობს ბიოგრაფი, — კალამი გამოება და წერდა წერილებს და ეპისტოლეებს და განადიდებდა წმიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას.

ერთ დღეს მაქსიმეს ეახლა ანგელოზი და ახარა მისი განსვლა ამა სოფლიდან. 662 წლის 13 აგვისტოს წმიდა მაქსიმე აღმსარებელი გარდაიცვალა. დიდი პატივით დამარხეს. ის დღეს სამი ლამპარი ჩამოვიდა ციდან და დაადგრა მის საფლავს, და ყოველი მნახველი აღიდებდა მის საკლეს. 21 იანვარს, რა დღესაც მას ხელი მოპევეთს, ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს წმიდა მაქსიმე აღმსარებლის დღეს.

მაქსიმეს გარდაცვალებიდან 18 წლის შემდეგ ნეტარმა აგათიონმა მოიწვია კრება ას ოცდა ოთხი ეპისკოპოსის მონაწილეობით, დაპგმო მონოთელიტური მწვალებლობა და აღიარა ქრისტეს ორი ბუნება, ორი ნება და ორი საქმე. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის იდეებმა, რომელსაც მან სიცოცხლე შესწირა, გაიმარჯვეს.

* * *

როგორც ვთქვით, წმ. მაქსიმე აღმსარებელმა სიცოცხლის ბოლო წლები საქართველოში გაატარა. საუკუნეების მანძილზე ჩვენში ეს იცოდნენ და წმ. მაქსიმეს დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში, შოთა რუსთაველი გამოსახულია ორი დღი საეკლესიო მოღვაწის — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის — შუაში. ორივეს კავშირი ჰქონდა საქართველოსთან.

როგორც აკადემიკოსი კ. კეკელაძე აღნიშნავს, ცაგერში ვინმე უცნობ პირს XII ს. ნუსხაზე მიუწერია: ნეშტი წმ. მაქსიმესი ცაგერის მახლობლად განისვენებსო, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილმა 1745 წ. მოსკოვში დაწერილ ნაშრომში აღნიშანა: „ცაგერს არს მონასტერი წოდებული მაქსიმე აღმსარებლისა და მუნ არს მაქსიმე აღმსარებელი დაფ-

ლული“. 1914 წ. სინოდის დაცალებით, აკად. ნ. მარი შეუდგა მურის ეკლესის შესწავლას ცაგერის მახლობლად და მის გარშემო არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო, მაგრამ ეს მუშაობა შეაჩერა მსოფლიო ომმა. შემდეგ ის ეკლესია დაინგრია და საფლავებიც წაიშალა. როგორც ქართველმა მეცნიერებმა დაადგინეს (კ. კეკელაძე, ს. ყაფხებიშვილი, მ. ჩიქოვანი), მაქსიმე აღმსარებელი სოფელ დეხვირში ცხოვრობდა, ხოლო დაკრძალულია მურში. ლეჩებუმის ეჭვს სოფელში არსებობდა ლეგენდები მაქსიმე აღმსარებლის შესახებ ჯერ კიდევ ამ საუკუნის 30-იან წლებამდე. ეთნოგრაფების მიერ ჩაწერილი ეს ლეგენდები დაახლოებით ერთნაირი შინაარსისაა. იგი ასეთია:

„წმ. მაქსიმე დეხვირში ცხოვრობდა და გნცალკევებით დიღი ცაცხვის ლრუში, სოფელ-სოფელ დადიონდა. ხალხი ცველგან პატივისცემით ხვდებოდა. იგი რჩევა-დარიგებებს აძლევდა ხალხს, ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, ცოდვილებს და უქმის გამტეხებს კიცხავდა; ავი კაცი რომ რაიმეს ახდენდა, უშლიდა; განსაკუთრებით ნათესებს იცავდათ. იყო ერთი ბოროტი გლეხი, რომელიც თავის საქონელს ლმ-ლამობით სხვის ყანებურ აძლევდა. მაქსიმე მისი დასჯა განიზრახა, ნისლად იქცა და ყანა გაუფუჭა. გაბრაზებულმა გლეხმა ნისლს ესროლა თოფი, ძირს კი კაცი ჩამოვარდა. ეს მაქსიმე იყო. გლეხი შეშინდა, წმიდანი მოვალიო და ჩუმად მიწაში ჩაფლო, მაგრამ გვამი სულ ზემოთ ამოდიოდა, რადგან სასაფლაო წარმართული იყო. ბოლოს გამმა უთხრა გლეხს: მარხილში უხედნი ხარები შეაბი, ჩემი გვამი დაადე და გაუშვი. სადაც ხარები გაჩირდებიან იქ დამასაფლავერ. ასე გააკეთა. ხარები მურში გაჩირდნენ. იქ დაასაფლავა. დამარხვის შემდეგ საშინელი წვიმები დაიწყო. კალოებს ვეღარ ლეწდნენ. შეწუხდა ხალხი. მაშინ წმ. მაქსიმე გამოეცხადა გლეხს და უთხრა: ეს ლოცვა შეასრულეთ ჩემს სახელზე და წვიმა გადაიღებსო: „წმ. მაქსიმე, დარი გვიბოძე, შეგვიგეწიე“. ლეჩებუმში მართლაც ყოველ წელს იმართებოდა წმ. მაქსიმეს დღესას წეული — მურშია. ყოველი წეული — მურშია. ყოველი წეული — მურშია. ყოველი წეული — მურშია. ყოველი წეული — მურშია.

დან არჩევლნენ კაცებს, ერთი კვირა
მათ წმიდანურად უნდა ეცხოვრათ:
უნდა ემარხულათ, ქალებს არ გაჰკა-
რებოდნენ. შემდეგ კისერზე ღვლერ-
ჭებს შეიძამდნენ და მურისაკენ გარ-
ბოდნენ (ალბათ ხარების იმიტაცია).
ასამდე კაცი გროვდებოდა ასეთი და
წე. მაქსიმეს სადიდებელ პიმნს მღე-
როდნენ.

თვისი მსოფლმხედველობით მაქ-
სიმე აღმსარებელი უმთავრესად ას-
კეტად და მისტიკოსად გვევლინება.
მის შეხედულებებს არ შექიმლება
ვუწოდოთ წმიდა ღვთისმეტყველუ-
რი, ან წმიდა ფილოსოფიური, —
იგი მათს ჰარმონიულ შეერთებას
წარმოადგენს; შეერთებას რწმენისა
და ცოდნისას; თანაც ფილოსოფია
შთანთქმულია რწმენის მიერ.

ფიზიკური სამყაროსათვის ღმერ-
თო არის ყოფიერებისა და მოძრაო-
ბის წყარო. გონებრივი ყოფიერები-
სათვის იგი არის სიკეთე და სიბრძ-
ნის წყარო, ღმერთის ეს თვისებები
გამოვლინდა შექმნის აქტში. მისი
მონაწილეობით ცოცხლობს და მოძ-
რაობს მთელი შექმნილი ყოფიერე-
ბა, იღებს რა ღმერთისაგან სიცოცხ-
ლეს, სიკეთეს და სიბრძნეს, და გვევ-
ლინება როგორც ღმერთის ნაწილი.

მთელი ყოფიერება წარმოადგენს
დაღმავალ კიბეს ყოფიერების ხუთი
სახისას: 1) ყოფიერება აზრობრივი;
2) გონებრივი; 3) მცენარეული; 4)
შეგრძენებადი; 5) მარტივ არსებათა.
შინაარსით იგი ორ სამყაროდ იყო-
ფა: 1) აზრობრივი (სულიერი) და
გრძნობიერი (ხორციელი). პირველს
მიექუთვნებინ ანგელოზები და ადა-
მიანთა სულები; მეორეს — მთელი
არსებული ყოფიერება.

ორივე სამყაროს ჰარმონია არის
ადამიანი. იგი წარმოადგენს მცირე
სამყაროს დიდ მარტოკოსმოსში. აერ-
თებს რა თავის თავში აზრობრივ და
ხორციელ სამყაროს, ორივე სამყა-
რო მასში მკაცრ ერთიანობაშია. მი-
ს სულის ყოველი ძალა ჰარმონიულ
ერთიანობაშია სხეულის გრძნობებ-
თან და შესაბამის ორგანობათან.
გრძნობიერი შემეცნების თითოეული
ელემენტი აძლევს საფუძველს აზ-
რობრივს.

მაქსიმე აღმსარებლის აზროვნება-

ში ადამიანს აკისრია უმთავრესი და-
ნიშნულება: შესარულოს ღმერთის
უზენაესი რჩევა — გახადოს ღვთიუ-
რი მთელი ყოფიერება. ეს მან ჯერ
თავის თავში უნდა შესარულოს, თა-
ვისი არსების ცალკეულ ნაწილებში.
მაქსიმესთან გვევდება ე. წ. ხუთი
დაყოფა ყველაფრისა. ბუნება იყო-
ფა შექმნილად და შეუქმნადად. უკა-
ნასკნელი — აზრობრივად და შეგრ-
ძებადად, ეს კი — ცალ და მიწად.
ღედამიწა იყოფა სამოთხედ და სამ-
ყაროდ. უკანასკნელი დაყოფა არის
თვით ადამიანში — მარტინი და
მდედრობითი. ადამიანში არის ყვე-
ლა მონაცემები, რომ გაერთიანებუ-
ლი იქნას ეს „დაყოფანი“. იგი თვი-
ის არსებით შეერთებულია ყველა იმ
„დაყოფასთან“: ღედამიწასთან —
სტეულით, მგრძნობიარე სამყაროს-
თან — გრძნობებით, აზროვნების
სამყაროსთან — სულით, ჯერ არ შე-
ქმნილ ბუნებას იგი შეუძლია მიუდ-
გეს თავისი გონებით. ყველა ეს ნა-
წილები ადამიანმა უნდა დაუმორჩი-
ლოს ერთი-მეორეს, უმდაბლესი —
უმაღლესს და ამგვარად გაერთია-
ნოს ერთ მისწრაფებაში — ღმერთი-
საკენ. ეს ამოცანა უნდა გადაჭრას
მან თავისი სხეულის ყველა ნაწილე-
ბის ღმერთისაკენ მისწრაფების გზით.
სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი სწო-
რად გამოყენებით ღმერთოან შეერ-
თების მიზნით. ადამიანმა ჯერ უნ-
და დაამრცხოს თავის თავში სქესე-
ბად დაყოფა, შემდეგ წმიდა ცხოვ-
რებით შეაერთოს თავის თავში
ეს სამყარო და სამოთხე. შემდეგ ან-
გელოზური კეთილმოქმედებით დახ-
ვეწოს სული და გრძნობა იმდენად,
რომ ამაღლდეს ცაში, შემდეგ შეუ-
ერთდეს გააზრებულ სამყაროს, და-
სასარულს სიყვარულში შეუერთდეს
თვით ღმერთს. თუკი ადამიანი შეას-
რულებს ამ დანიშნულებებს, თუკი
იგი დაბალ მოთხოვნილებებს დაუ-
მორჩილებს უმაღლესს, სხეულს და-
უმორჩილებს გონებას, ხოლო გონე-
ბას — ღმერთს, ამით იგი გონების
საშუალებით ღმერთოან შეერთებას
მიაღწევს და დაამყარებს ჰარმონიას
სამყაროს ნაწილებში, რადგანაც იგი
წარმოდგენილი იქნება, როგორც ერ-
თიანი დიდი კეთილმოწყობილი ორ-
განიზმი.

პირველ ადამიანს ღმერთმა ყვე-

ლეფერი მისცა, რაც მას გაუზაფვი
ლებდა ამოცანას შეერთებოდა
ღერთის. მას არ ჰქონდა ახლანდელი
უხეში ცხოველური შემაღებელობა
სსეულისა, რადგან მისი სსეულის
ელემენტები ჯერ კიდევ არ იმყოფე-
ბოდნენ ურთიერთბრძოლაში, ხერწის
და წამების წყაროებში. მისი სსეუ-
ლის შემაღებელობა იყო მსუბუქი
და უხრწნადი. ადამიანს არ ჰქონდა
ცხოველივით თესლით გამრავლების
საჭიროება. ღმერთის თავდაპირველ
განზრახვაში არ შედიოდა ქორწინე-
ბით გამრავლება, და თუ ადამიანი
შექმნილი იყო მამაკაცის და ღედა-
კაცის სახით, ეს იყო მხოლოდ და-
ცემის წინასწარგანვერეტა. არ იყო
რა გატაცებული სსეულით და ხორ-
ციელი ცხოვრებით, ადამიანს ყვე-
ლაფერი ჰქონდა სულიერი ცხოვრე-
ბისათვის. კეთილის ჩანასახები მას-
ში მას კეთილსაქმიანობისაკენ უბიძ-
გებდნენ და გრძნობებისაგან სუფთა
სული არ საჭიროებდა ამისათვის
მძიმე გამოცდებს. საბოლოოდ მასში
ჩადებული იყო ღმერთისადმი სიყვა-
რული და მისკენ ბუნებრივი მისწრა-
ფება, რომელიც მხოლოდ მოძრაო-
ბას საჭიროებდა, რომ ადამიანი მი-
წიერი სამოთხიდან შესულიყო გაზ-
რებულ სამოთხეში. ადამიანს რომ
ასეთი თვისებები ჰქონდა, ამბობს
მაქსიმე, ეს არ არის გადაჭარება,
რადგან ასეთი თვისებები პირველი
ადამიანისა ჩვენ გვაჩვენა იქსო ქრის-
ტემ. ამავე დროს ქრისტემ გვაჩვენა
როგორი უნდა იყოს ახალი ადამი.

შეცოლების შემდეგ, რაც ადამი
ღმერთმა სამოთხიდან გამოდევნა,
იგი საჭიროებდა ხსნას. ჩვენი ხსნის-
თვის ჯერ საჭირო იყო ღმერთს მიე-
ლო ჩვენი სრული არსი, ბუნება,
რადგან „რაც არ არის აღქმული, ის
არ არის სამკურნალოდ შესწავლი-
ლი“. „ღმერთი მიიტომ იქცა ადა-
მიანად და ღმერთის შვილი — ადა-
მიანის შვილად, რომ ჩვენ, ადამიანე-
ბი, ღმერთებად და ღმერთის შვილე-
ბად გვაქციოს“.

ჩვენი ხსნა ღმერთმა დაიწყო იმით,
რომ არ აღიარა თესლით გამრავლე-
ბა და მასთან დაკავშირებული შე-
ცოლება, რადგან ასეთ გამრავლებას
თან ახლავს ხერწა. ამგვარად, ღმერთ-
მა განდევნა ცოდვების გზით გამრავ-
ლება (თესლით შექმნა). რადგან

სუფთა იყო ცოდვისაგან, იგი არც გაიხრწნებოდა, რადგან ხრწნა არის დასჯა ცოდვისათვის. ღმერთმა მთელი ჩვენი ვალი იტვირთა, რომ შემდეგ თავისი სიკვდილით მოესპონ ჩვენი ცოდვის გზით დაბადების გაკიცხვა. ახლა სულიერი აღორძინების შემდეგ თუ ჩვენ კიდევ ვიტანჯებით ეს იმიტომ, რომ ცოდვებისაგან ვიწმიდებით.

მმგვარად, ჩვენი ხსნისათვის ქრისტე ღმერთმა ხსნის მთელი გზა გაიარა: განაახლა დაბადება, გამოასწორა სიცოცხლე. მის საფეხურებს უნდა მიჰყევს ყველა, ვინც მან დაიხსნა, ამისათვის ღმერთმა გვაჩუქრება ჩვენ თავისი ღვთიური ძალა (სულიწმიდის სახით). შეასრულა რა ჩვენი ცოდვებისაგან დახსნის საქმე, ღმერთმა განახორციელა ადამიანის დიდი დანიშნულება: გააერთიანოს მთელი დაყოფილი ბუნება და წარმართოს მთელი შექმნილი ყოფიერება გაღმერთებისაკენ. მან მამრობითი სქესი მდედრობითან გააერთიანა თავისი უცოდველი (ვნებისგარეშე) დაბადე-

ბით, საძყარო და სამოთხე — თავისი წმიდა ცხოვრებით, დედმიწა და ცა — თავისი ამაღლებით, შექმნილი და შეუქმნადი — აღმავლობით ადამიანობიდან მამაზეციერისაკენ და მის მარჯვნივ ჯდომით. ხსნის ეს გზა, რომელიც გვაჩვენა ქრისტემ, ადამიანებმა უნდა შეითვისონ.

ნათვლა გვაერთებს ქრისტეს განსახიერების (ხორცესხმის) სიკეთესთან. იგი გვაძლევს უცოდველ სულიერ დაბადებას, ღმერთს გვაშვილებს ჩვენ. ნათვლის შემდეგ ხრწნა ჩჩება და ჩვენ მანც ვიტანჯებით, მაგრამ ეს არის არა ცოდვებისათვის დასჯა (ცოდვა წარხოცილია), არამედ ცოდვებისაგან გათავისუფლება.

ეკლესია არის ღმერთის სხეული და იგი მისგან იღებს ძალებს. ყველა, ეკლესიის საშუალებით, ქრისტე ღმერთის სხეულის ნაწილი ხდება და წარმოებს თითოეულის სულის ხსნა. ეკლესიის საბოლოო დანიშნულებაა გააერთიანოს ყველა. მიიყვანოს ისინი ღმერთთან. ამ დანიშნულების შესრულების შემდეგ ხდება ქვეყნიერების აღსასრული. ერთ სამყაროდ გაერთიანებული დიდი ადამიანი — მსოფლიო დაიღუპება (ისე როგორც იღუპება ჩვეულებრივი პატარა ადამიანი) იმისათვის, რომ აღდგომის დროს აღსდგეს განახლებული. მაშინ ყველაფერი გასულიერდება, ყველა ხრწნადი გადავა უხრწნადში. ადამიანის გულისათვის ბუნება მიიღებს მუდმივ ყოფიერებას.

ლიტერატურა:

1. ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „კომინი“, ტ. I, თბილისი, 1918.
2. ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ეტრულები ძეველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. VII, თბილისი.
3. ა. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, „ქართულ-ბერძნული მითოლ. საკითხები“. თბილისი.
4. ს. ყ ა უ ხ ხ ი შ ვ ი ლ ი. „გეორგია“, ტ. IV, თბილისი.
5. Е п и ф а н о в и ч. «Преподобный Максим Исповедник».
6. Б р о к г а ү з. «Энциклоп. словарь», т. 35.
7. Советская историческая энциклоп. т. 8.



ნიკორწმიდის ტაძარი

იონა წინასწარმეტყველის ჭიგნი

„წინასწარმეტყველი იხსენ სიღრმეთაგან და მხეცისა, ქრისტე ღმერთო, მიხსენ მეცა დანთ-ქმული სიღრმესა ცოდვისასა“ (ძლისპირი)

„იონას წიგნის“ არც ავტორია ცნობილი და არც იმ პიროვნებაზე ვიცით რაიმე კონკრეტული, რომელიც იონა ამითაის ძის სახელით მონაწილეობს ნაწარმო-გბის მთავარ პერსონაჟად. თუმცა იგი რეალურ-ისტო-რიული პიროვნებაა, ძვ. წ. VIII ს.-ში მოღვაწე წინას-წარმეტყველი, მაგრამ წმიდა წერილს არ შემოუნახავს მისი წინასწარმეტყველური ღვაწლის ნიმუშები სიტყვი-ერ ქადაგებათა სახით. მხოლოდ ყრუ ცნობებით ვიცით, ორი ფაქტი მისი მოღვაწეობიდან: იერობოამ მეორის-თვის მას უწინასწარმეტყველებია აღდენა ისრაელის უა-მეფოს საზღვრებისა „ხამთიდან არაბას ზღვმდე“ (IV მეფ. 14, 25); ტობიას წიგნში მის სახელთან არის დაკავშირებული ნინევის დაცემის წინასწარმეტყველება (14, 4), რაზეც დაფუძნებული უნდა იყოს „იონას წიგ-ნის“ სიუჟეტი.

თუმცა თავად იონა კლასიკური ხანის მოღვაწეა, ცნობილ წინასწარმეტყველთა-ამოსისა და ოსიას – თა-ნამედროვე, მაგრამ მასზე დაწერილი წიგნი გვიანდელია, სახელდობრ, ბაბილონის ტყვეობის შემდგომი ხანისა. საკითხავია, რის გამო შეიქნა რეალური იონა ამ წიგნში შოთხრობილი განსაცდელის გმირად? ან – სხვაგვარად რომ დავსვათ კითხვა – რა იყო მის პიროვნებაში ისეთი, რამაც განაპირობა მისი გამოყვანა ღვთის ურჩი, ამავე დროს მფრთხალი და გოხებაშეზღუდული წინასწარმეტ-ყველის როლში? ამ კითხვაზე ვერ გაიცემა პასუხი რა-იმე ცნობის სრული უქონლობის გამო. კიდევ უფრო უშე-დეგოა კითხვა, რომელიც ხშირად დაისმოდა ხოლმე ამ წიგნის გარშემო არსებულ კრიტიკულ ლიტერატურაში: ყოფილა თუ არა მის ცხოვრებაში ისეთი თავგადა-საგალი, რომლის ექი შეიძლება ყოფილიყო წიგნში აღ-წერილი სასწაულებრივი ეპიზოდი? ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: წიგნის ავტორს მხედველობაში არ უნდა ჰქონოდა სინამდვილის კონკრეტული ამბავი; წიგნი გა-მიზნული უნდა ყოფილიყო გარკვეული იდეის თუ სუ-ლისკვეთების გამტარებელ იგავად. ორი სიტყვით ამგვა-რად შეიძლება გამოიკვეთოს ამ წიგნის დედახრი: აქ პირველად ძველი აღთქმის ისტორიაში კატეგორიულად არის გამოთქმული იდეა უნივერსალური უფლისა, რო-მელიც არა მხოლოდ ისრაელიანთა ტომის ღმერთია, არამედ მისი მტრებისაც და ისეთივე გულმოწყალე მათ

მიმართ, როგორც თავისი რჩეული ხალხის მიმართ.

ეს მცირე ნაწარმოები მრავალმხრივ არის საგუ-ლისხმო. აქ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტ-ზე იქნება ყურადღება გამახვილებული.

* * *

პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იპყრობს წინას-წარმეტყველისთვის უჩვეულო საქციელი – თვით უარ-ეო ფაქტი მისი მოღვაწეობიდან: იერობოამ მეორის-თვის მას უწინასწარმეტყველებია აღდენა ისრაელის უა-მეფოს საზღვრებისა „ხამთიდან არაბას ზღვმდე“ (IV მეფ. 14, 25); ტობიას წიგნში მის სახელთან არის დაკავშირებული ნინევის დაცემის წინასწარმეტყველება (14, 4), რაზეც დაფუძნებული უნდა იყოს „იონას წიგ-ნის“ სიუჟეტი.

თუმცა თავად იონა კლასიკური ხანის მოღვაწეა, დამხილე-ბელი კაცი, და ეს იყო მისი პირველი ცოდვა, ცოდვა – არა მხოლოდ უფლის, არამედ საკუთარი თავის წინა-შეც. მან გაიმეორა პირველგაცის, ადამის, ცოდვა – ურ-ნიბა, როცა გაიმრუდა უფლისაგან ნაჩვენები გზა, სადაც ევალებოდა წასვლა („წადი ნინევეში, დიდ ქალაქ-ში...“ 1,2).

ისიც ნიშანდობლივია, რომ იონა არც კი შევედრე-ბია უფალს, აეცდინა მისთვის სამნელო და არასასურ-ელი მისია, არ ულოცავს შეწუხებულს, როგორც ილო-ცა ერთხელ მაცხოვარმა: „მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლე-ბელ არს, თანაწარმხედინ სასუმელი ესე“ (მათ. 26,39). არა, იგი უსიტყვოდ გადაწყვეტს გაქცევას და „უხაპ-რეფით“ გაიპარება იაფოში, ნინევის სრულიად საწინა-აღმდეგო მხარისკენ, რომ წავიდეს თარშიშში და იქ დაემალოს უფლის პირს. რატომ მაინცდამაინც თარშიშში? იმიტომ, რომ ეს ადგილი ქვეყნიერების კიდევრად იყო წარმოდგენილი, უკიდურეს დასავლეთში, სადაც თავ-დებოდა ძველების რწმენით, კაცთა მოდგმით დასახლე-ბული მსოფლიო. თარშიშში არარაობის წინკარია, მის იქით აღარაფერია. მაგრამ აქ შეცდა იონა: თითქოს უფა-ლი, რომელსაც იონამ ცისა და ხმელეთის შემქმნელი უწოდა (1,9), ვერ მისწვდებოდა მას თარშიშში ან მის მიღმაც, არარაობის სამყოფელში.

წიგნის ავტორისთვის თარშიშში უკიდურესად შორს

არის იონას დაძვრის ადგილიდან. გეოგრაფიული სიშორით ნაცულისხმევია ის მანძილი, რითაც იონა დაშორდა უფალს, მაგრამ არა ფიზიკურად, არამედ ზნეობრივად, სულისკეთებით, როგორც ამბობს ნეტარი აეგუსტინე „აღსარებებში“: „არა უქნით და არა სივრცეში გშორდებიან, უფალო, და გიბრუნდებიან“ (წ. I, თ. XVIII, 28). ადამიანი თავად იშორებს თავს უფლისაგან (ქვემოთ იქნება ნათქვამი, რას ნიშანს ეს): გზა იოვედან თარშიშამდე ეს არის ადამიანის გამრუდებული ული ნების გზა (იონა აღმოსავლეთისკენ უნდა წასულიყო უფლის ნებით, ის კი დასავლეთისკენ გაიქცა თავის ინებით), მაგრამ უფალი თავისი განგებით გასწორებს გამრუდებულ ნებას და იქ დასვამს სხვაგან წასულ იონას, იმ გზის დასაწყისში, საიდანაც გაიქცა იგი (2, 11; 3, 1).

ორჯერ არის ნათქვამი ერთსა და იმავე მუხლში (1,3), რომ იონას უნდოდა გაქცეულიყო უფლის პირისაგან. იგი თვითონვე ესწრაფოდა ისეთ მდგომარეობას, რომელიც უკიდურესი უბედურებაა ადამიანისთვის, თვით სიკვდილის ბადალი. გავიხსენოთ თუნდაც კაენის სიტყვები, იმ დროს ნათქვამი, როცა იგი ტოვებდა უფლისაგან კურთხეულ მიწას: „აჲა, მაგდებ დღეს მიწის პირისაგან და უნდა მივეფარო შენს პირს, დევნილი და მიუსაფარი ვიქნები ამ ქვეყნად და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა“ (შესაქმ. 4,14). მევლა აღთქმაში ასეთი ვითარება უფლის მიერთავის პირის დამიანთა უკუღმართობის გამო განრისხებული უფალი იმუქრება „და დაუმაღავ მათ ჩემს პირს“ (მე-2 სჯ. 31,17; აგრ. 32,20); „მაშინ შებდავლებენ უფალს, მაგრამ იგი არ გასცემს მათ პასუხს და დაუმაღავს თავის პირს...“ (მიქა, 3,4). „განრისხებისას დაგიმაღე ჩემი პირი ერთი წამით“ (ისაია 54,8).

უფლის პირისაგან მოშორება გააჩრებულია, როგორც უფლის მფარველობიდან გამოსვლა, სულიერ-მორალურ საწყისს მოშორება და საწუთოს სათამაშოდ გაწირვა თავისა (გავიხსენოთ საწუთოს ანუ სოფლის თვისებანი ვეფხისტყაოსანში). ასეთი ყოფა ჯოვონხეთში ყოფნაზე უარესია, როგორც ამბობს საბა ორბელიანი ერთ თავის ქადაგებაში: „ყოველთა უწყით, ვითარ საზარელ არ ჯოვონხეთი, არამედ მისას უსაზარლეს – განვრდომა პირისაგან ღმ რთისა“; იონამ არ იცოდა ან არ სურდა ცოდნოდა თვითუარყოფის კრიზისულ ქამს, რომ უფლის პირისაგან განვრდომილი ვერ დაემაღება უფლის, ყველგანმყოფი ღვთის რისხვას, არამედ პირიქით: მოაკლდება მის წყალობას. როცა უფალი მრისხანებს, ეს იმის ნიშანია, რომ იგი ჩვენთანაა და წყალობაც მოსალოდნელია მისგან.

იონას მოჩვენებით გაქცევა უფლის პირისაგან გადმოცემულია ტექსტში მისი თანდათანობითი ჩასვლით სიღრმისაკენ (ამ „სკლის“ ყოველი წერტილი მითოსურ-რელიგიური სიმბოლიკის შემცველია): ზღვაში ხომალდზე, ხომალდის ბანქევეშ (მის „წიაღში“), ღრმა ძილში (ზევით კი, ცხადში, ბუნების ძალები ბობოქრობდნენ მისი გამოისხით), ზღვის ღურლუმელში, როცა გადააგდეს ხომალდიდან, და ბოლოს, თევზის მუცელ-

ში, როცა უფლის განგებით ჩაყლაპა „დიდმა თევზმა შეიცვალა ასე თანდათან იძირება იონა თავის შეცდომაში (თუ უცნობი და უცნობი გვარის შეცდომაში)“. ეს არის სელა ქვემოთ, ჯოვონხეთისკენ, რომლის გზაზეც პირველი ნაბიჯი მან თავისი ნებით გადადგა. მაგრამ რაც უნდა ღრმად ჩაიფლას კაცი, მაინც ღვთის წინაშე აღმოჩნდება იგი. ეს ჭეშმარიტება შეიცნო „დიდი თევზის“ მუცელში მოქცეულმა წინასწარმეტყველმა, როგორც ნათქვამია 139-ე ფსალმუნში, რომელიც თითქოს განმარტავს იონას სასწაულებრივ განსაცდელს. მეფისალმუნე მიმართავს უფალს:

7. სად წავუგალ შენს სულს, სად გავიქცევა შენი პირისაგან?
8. ცაში აგალ, იქა ხარ! შავეთში ჩავალ, იქ დამხვდები!
9. ცისკრის ფრთებს გავშლი, ზღვის გადაღმა დავიდებ ბინას, —
10. იქაც წამიძღვება შენი ხელი, და დამიჭერს შენი მარჯვენა...

აქ სხვაგვარად არის გამოხატული ადამიანის გაქცევის (როგორც ჩანს, ადამიანს გარკვეულ ვითარებაში უწნედება ამის სურვილი, იონა გამონაკლისი არ არის) გზა: მე-9 მუხლში გადმოცემულია იგივე მოძრაობა, რაც შეასრულა იონამ – აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, — კინაიდან „ცისკრის ფრთები“ არის აღმოსავლეთით მონაბერი ქარი, რომელიც გადაიქროლებს ხმელთაშუაზღვას და გადავა „ზღვის გაღმა“ ანუ მზის დასავალს იქით (რაღაც „ზღვა“ ამ „დასავლეთსაც“ ნიშნავს ამ ენაში), დასაკარგავში, სადაც ეგულებოდათ ძველებს შავეთი, „მკვდართა სამეფო“. ამ მუხლის მნიშვნელობას კარგად გვიჩსნის წინა, პარალელური მუხლი, სადაც იგივე ვითარება გამოხატულა ვერტიკალურ პლანში: გზა ციდან შავეთისკენ (ებრ. შეოღ) იგივეა, რაც გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ცაში სასუჯეველია, ხოლო აღმოსავლეთში ამქვეწიური სამოთხე ედემის ბალი (შესაქმ. 2,8); პირველს პოლარულად უპირისპირდება ქვესკნელი (შეოღი), მეორეს – დასავლეთი, მზის დასავალი, იგივე შეოღი, ზღვის სტიქიაშა განსახებული.

აქ – შეოღში, დასავლეთში, ზღვაში, ლევიათანის მუცელში – ჩავარდა იონა და აქვე, უკიდურესი განსაცდელიდან იწყება იონას სულიერი მოქცევა. შავეთში, არარაობის ფსკერზე იბადება ფსალმუნი, როგორც სხივი, კინა კიბე, რომელმაც კვლავ უფლის პირისაკენ უნდა აიყვანოს იონა. ბნელიდან იბადება ნათელი. ფსალმუნი მართლაც სხივია, რომელიც წარმოიშობა ჯურლულში მბჟუტავი ადამიანის სულიდან. ფსალმუნი არის გამოხატულება დაცემული ადამიანის ბუნებრივი სწარაფვისა და დგომისაკენ, მისი მიბრუნებისა უფლის სახისაკენ, რომელსაც საკუთარი ნებით მოაშორა თავი (კაცობრიულ მასშტაბში, ეს მოასწავებს სამოთხიდან გასვლას).

იონა ხელახლად იბადება დიდი თევზის მუცელიდან ფსალმუნთან ერთად; მან თითქოს ახლად აიდგა ენა (როგორც გამოთქმულია ერთ ფსალმუნში: „ჩამიღო ბაგეში ახალი სიმღერა, ჩვენი ღვთის სადიდებელი“, 40,4) და პირველი სიტყვები ეს იყო, რაც თქვა:

„ჭირში მყოფმა შევღაღადე უფალს
და მან ხმა გამცა;
შეოლის მუცლიდან შველა ვითხოვე
და შენ ისმინე ჩემი მუდარა“ (2,3)

უნდა გაიხაზოს საგანგებოდ ფსალმუნების მნიშვნელობა იონას განსაცდელში, ფსალმუნთა ბუნებრივი კავშირი ანალოგიურ ვითარებებში. როცა ხსნა არსაიდან არის, მაშინ ერთადერთი სახსარი ადამიანისა და ღმერთის შორის ფსალმუნია, ეს არის მისი სულის საღვრელი, სულიერი მსხვერპლშეწირვა, როგორც გამოთქვამს კვლავ ფსალმუნის სიტყვები: „ღვთისადმი მსხვერპლია შემუსვრილი სული; შემუსვრილ და დათრგუნულ გულს არ უგულებელჲოფ, ღმერთო“ (50/51, 19); როცა ადამიანი იაზრებს თავის უმწეობას და უფლის ძლევამოსილებას, თავის არარაობას და უფლის ყოფიერების უსასრულო სისავსეს, მის ყველგანმყოფობას, აი, მაშინ მისი ღალადი თავისთავად, ფსალმუნების ძველთაგანვე დადგენილ ყალიბში (დადსტურებულია შინაგანი, პათოსური მსგავსება ძველშეამდინარეულ-ბაბილონურ და ებრაულ ფსალმუნებს შორის) ჩამოისხმება: კვლავ იონას გასჭირში მყოფი კაცის ღალადისია გამოხატული ამ სიტყვებით;

„სასოებით ველოდი უფალს და ისიც დაიხარა ჩემსკენ; გაიგონა ჩემი ვედრება და დაღუპვის ორმოდან ამომიყვანა; ჭაობის ჭონჭყოდან კლდეზე დამიდგინა ფეხი და გამიმტკიცა ნაბიჯები“ (40, 2–3).

როგორც კი დამყარდა (ანუ აღდგა) კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის ფსალმუნის ძალით და იონას თვალწინ კვლავ გაჩნდა უფლის სახე, — იონა უფლის განგებით იმავე აღგილზე ამოანთხია „დიდმა თევზმა“, საიდანაც გაიქცა იგი. თავიდან იწყება ამბავი, იმართება გამრუდებული ნება, კვლავ ჩაესმის იონას, როგორც წინასწარმეტყველს, თავისი უფლის ხმა და ხელმეორედ ეკისრება იგივე ტვირთი.

„ადექი, წადი ნინევეში, დიდ ქალაქში, და უქადაგე, რასაც მე გეტყვი“ (3,2).

ავტორი არ ამბობს, კერძოდ რა გამოუცხადა უფალმა იონას ნინეველთათვის სათქმელად (გარდა ერთი წინადადებისა: „კიდევ თრმოცი დღე და დაიქცევა ნინევე“ 3,4). ავტორს არ აინტერესებს წინასწარმეტყველების კონკრეტული შინაარსი; ავტორს არც ნინევე აინტერესებს, როგორც სინამდვილეში არსებული, ისტორიული ქალაქი. სასწაული უნდა ნახოს იონამ, რომ იორწმუნოს (ასეთია ავტორის მიზანი) თავისი უფლის განუსაზღვ-

რელი გულმოწყალება, — რომ უფალი არა მხოლოდ ისრაელიანთა ღმერთი ყოფილა, არამედ წარმართთაც და ყოველი დაბადებული ს.

თუ „დიდი თევზის“ მუცელში მყოფმა იონამ შეიცნო ღვთის ყველგანმყოფობა, ხმელეთზე გადმონთხეულმა და პაპანაქებაში დამჭერარი აყიროს ქვეშ მჯდარმა შეიცნო უნივერსალური უფალი, რომლის წყალიბა შეუზღუდველად ეფინება ყველა ხალხს, თვით ისრაელის ტრადიციულ მტრებსაც, იმ წინასწარმეტყველის მტრებს, რომელსაც აგზავნის მათ გასაფრთხილებლად და, როგორც ითქვა, ყოველ დაბადებულს ანუ ყოველ ქმნილებას.

უიქრობენ, რომ ეს მცირე მოცულობის წიგნი საგანგებოდ უნდა შექმნილიყო უკიდურესი, მებრძოლი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ბაბილონის ტყვეობის შემდეგ აღმოცენდა ებრაული საზოგადოების ელიტაში. იონა წინასწარმეტყველი ამ ელიტის წარმომადგენლად უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ჯერ თავს არიდებს უფლისგან დაგისრებულ მისიას (არ სურს, რომ მოინანოს ცოდვები ნინევემ და გადარჩეს), მერე კიწუხს, რომ მოინანია და ორმოც დღეში არ განადგურდა. წიგნში დაგმობილია ამგვარი სულისკეთება, მაგრამ არა გამწყრალი უფლის პირით, არამედ სასწაულით, რომლის მიღმა დგას უფალი თავისი მოძღვრულ-მამობრივი სახით, თითქოს მომდიმარი პირით, როცა ორგზის ეკითხება იონას: „მაგრად გამწარდი?“ — ერთხელ, როცა ნინევეს გადარჩენამ გაამწარა იგი, და მეორედ, როცა — ჩრდილის მომფენი აყიროს დაჭკნობამ. აყიროს იგავა, როგორც სასწაული, რომლის პერსონაუდ გახადა უფალმა იონა, მოწოდებულია ძველი აღთქმის ისტორიაში მნიშვნელოვანი იდეის, როგორც ითქვა, ღვთის უნივერსალობის დასადასტურებლად, რომ იგავის ბოლოს თქმულიყო ვიწროეროვნულ ჩარჩოში ჩაკეტილი, ბრაზიანი წინასწარმეტყველის მიმართ: „შენ ერთი აყირო შეგენანა, თუმცა შენ არ დაგირგვავს იგი და არც გაგზრდია. ერთი ღამის შვილი იყო და ერთ ღმეში გახმა. აბა, მე როგორ არ შემენანოს დიდი ქალაქი ნინევე, სადაც ასოციათასზე მეტი კაცია, ერთმანეთისაგან რომ ერ გაურჩევია მარჯვენა და მარცხენა, და უამრავი პირუტყვია?“ (4,10–11). სხვა ვითარებებთან ერთად ეს იყო იმის საფუძველი, რომ თქმულიყო პავლეს მიერ ერთგან: „ანუ ჰურიათ—მე ხოლო არსა ღმერთი და არა წარმართაცა? ჰე, წარმართთაცა!“ (რომ. 3, 29) და მეორეგან ესქატოლოგიური იმედით უფრო ფართე მასშტაბში: „უწყით, რამეთუ ყოველი დაბადებული ჩვენ თანა თანაკვენესის და თანაელმის მოაქამდე“ (რომ. 8,22).

ღიგი იონა ღიგი იონასთარმეტყველისა

თავი I

1. იყო უფლის სიტყვა იონაზე, ამითაის ქეშე:
2. „ადექი, წადი ნინევეში, დიდ ქალაქში, და ამცნე, რომ მომწვდა მისი ბოროტების ამბავი“. 3. ადგა იონა, რომ თარშიშში გაქცეულიყო უფლის პირისაგან; ჩავიდა იაუში, მონახა თარშიშს მიმავალი ხომალდი, გადაიხადა

საფასური, ჩაჯდა შიგ და მათთან ერთად გაემგზავრა თარშიშისაკენ, რომ უფლის პირისაგან გადახვეწილიყო.

4. ამოაგდო უფალმა ძლიერი ქარი ზღვაზე. დიდმა ქარიშხალმა ააბობოქრა ზღვა, ცოტაც და, უნდა დალეწილიყო ხომალდი. 5. შეშინდნენ მეზღვაურები, ყველაში თავ-თავის ღმერთს შეჰდალადა, ზღვაში გადაყარეს რაც



რამ საქონელი ჰქონდათ ხომალდზე, რომ შეემსუბუქებინათ იგი. იონა კი ხომალდის ბანქვეშ ჩასულიყო, იწვა და ეძინა. 6. მივიდა მასთან ხომალდის უფროსი და უთხრა: „რას დაგიძინია, ადექი, შენც შეჰქალადე შენს ღმერთს, ვინ იცის, შეგვიწყალოს ღმერთმა და არ დავაღუპოთ“.

7. თქვა ერთმანეთში ხალხმა: „მოდით, წილი ვყაროთ და გავიგოთ, ვის გამო ჩავცივდით ამ განსაცდელ-ში“. ყარეს წილი და შეხვდა წილი იონას. 8. ჰკითხეს: „გვითხარი, ვის გამო ჩავცივდით ამ განსაცდელ-ში, რა ხელობის კაცი ხარ, საიდან მოდიხარ, სადაური ხარ, რა რაჯულისა?“ 9. მიუგო: „ებრაელი ვარ, მოშიშარი უფლისა, ცათა ღმერთისა, რომელმაც ზღვა და შემლეური შექმნა“. 10. დიდად შეეშინდათ ამ კაცებს, უთხრეს: ეს რა ჩაგიდენიაო, როცა გაიგეს, რომ უფლის პირისაგან იყო გაქცეული; რადგან თვითონვე გამოუტყდა. 11. ჰკითხეს: „რა უნდა გიყოთ, რომ ზღვა დაგვიწყნარდეს?“ რადგან ზღვა კვლავინდებურად ღელავდა. 12. მიუგო: „ამიღეთ, გადამაგდეთ ზღვაში და ზღვა დაგიწყნარდებათ, რადგან ვიცი, ეს დიდი ქარიშხალი ჩემს გამო დაგატყდათ თავს“. 13. მოუსვეს ნიჩები, რომ ხმელეთს მისდგომოდნენ, მაგრამ ვერაუერს გახდნენ, რადგან ზღვა კიდევ უფრო აუბობოქრდათ. 14. მაშინ შეჰქალადეს უფალს და უთხრეს: „ჰე, უფალო, ნუ დაგვდუბავ ამ კაცის გამო, მაგრამ ნურც მართალ სისხლს მოგვითხავ. აკი ის მოახდინე, უფალო, რაც გინდოდა“. 15. აიღეს და ზღვაში გადააგდეს იონა და ზღვამ შეწყვიტა ღელვა.

16. დიდად შეეშინდათ ამ კაცებს უფლისა, მსხვერპლი შესწირეს და აღთქმები დაუდეს.

თ ა ვ ი II

1. მოავლინა უფალმა დიდი თევზი და შთაანთქმევინა იონა. სამი დღე და სამი ღამე დაჰყო იონამ თევზის სტომაქში.

2. ლოცვა აღუვლინა იონამ უფალს, თავის ღმერთს, თევზის სტომაქიდან. 3. თქვა: „ჭირში მყოფმა შევღალადე უფალს და მან ხმა გამცა. ქვესკნელის მუცლიდან შევლა ვითხოვე და შენ ისმინე ჩემი ვეღრება. 4. როცა ლურღუმელში, ზღვის გულში ჩამაქანე, როცა მორევმა ჩამითრია, თავზე შენი ტალღა და ღვარი გადამდიოდა, 5. ვთქვი: გაგდებული ვარ შენი პირისაგან, ნუფუ თდესმე მეღირსება შენი წმიდა ტაძრის ხილვა? 6. სულამდე მიწია წყალმა, უფსკრულმა მომიცვა, თავზე ღელი შემომეწნა, 7. მთების ფესვებამდე ჩავედი, მიწამ სამუდამოდ დაგმანა ურდულები ჩემს უკან, მაგრამ შენ ქვესკნელს გამოსტაცე ჩემი სიცოცხლე, უფალო, ღმერთო ჩემო! 8. როცა სული მხდებოდა, ვახსენე უფალი და ჩემმა ვეღრებამ შემოაღწია შენამდე შენს წმიდა ტაძარში. 9. ამაოებათა მსახურნი ვერ ეღირსებიან წყალობას. 10. მე კი მსხვერპლს შემოგწირავ სამადლობელი სიტყვით; შევასრულებ, რაც აღთქმული მაქვს. უფლისაგან არის ხსნა!“

11. უბრძანა უფალმა თევზს და მან ხმელეთზე გადმოანთხია იონა.

1. იყო მეორედ უფლის სიტყვა იონაზე: „აღექა, წადი ნინევეში, დიდ ქალაქში და იქადაგე საქადაგებელი, რასაც მე გეტყვი“.

3. ადგა იონა და წილიდა ნინევეში, როგორც უფალმა უბრძანა. დიდი ქალაქი იყო ღვთის წინაშე ნინევე, სამი დღის სავალი. 4. იარა იონამ ერთი დღე ქალაქში, ქადაგებდა და ამბობდა: „კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევე“.

5. იწამეს ნინეველებმა ღმერთი, გამოაცხადეს მარხვა და დიდიან ჰატარიანად ჯვალოთი შეიმოსნენ. 6. შეიტყო ეს ამბავი ნინევის მეფემ, ტახტიდან ჩამოვიდა, შემოიძარცვა სამოსელი, ჯვალო ჩაიცვა და ნაცარზე ღაჯდა. 7. გამოაცხადებინა ნინევეში მეფისა და მისი კარისკაცების ბრძანება: „არც კაცმა, არც პირუტყვმა, ძროხამ თუ ცხვარმა, არ ჭამოს, არ მომოვოს, არც წყალი დალიოს. 8. ჯვალო ატაროს კაცმაც და პირუტყვმაც, მთელი ძალით შეჰქალადონ ღმერთს, დაავდონ ბოროტების გზა და ჟველა ავი საქმე, რაშიც კი ხელი აქვთ გარეული. 9. ვინ იცის, კიდევ შეგვიწყალოს ღმერთმა, დაუცხრეს რისხვა და აღარ დავიღუპოთ!“

10. შეხედა ღმერთმა მათ საქციელს, რომ დააგდეს ბოროტების გზა და ინანა ღმერთმა, უბედურების დატეხვას რომ უპირებდა მათ და აღარ დაატეხა.

თ ა ვ ი IV

1. ძალზე განაწყენდა და გამწარდა იონა. 2. ილოცა უფალის მიმართ და უთხრა: „ჰე, უფალო, განა ამას არ ვამბობდი, როცა ჯერ კიდევ ჩემს მიწაზე ვიყავი? თავიდანაც იმიტომ გავრბოდი თარშიშში, რომ ვიცოდი, შემბრალებული და ღმობიერი ღმერთი ხარ, რისხვაგვიანი და მრავალმოწყალე; ნანობ ხოლმე მოსახდენ უბედურებას. 3. ახლა ბარემ ამომხადე სული, რადგან ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნა“. 4. უთხრა უფალმა: „მაგრად გამწარდი?“

5. გავიდა ქალაქიდან იონა და ქალაქის აღმოსავლეთით გაჩერდა, იქ ერთი ჩარდახი გაიგეთა, დაჯდა მის ქვეშ, ჩრდილში, და ღაელოდა, რა მოუვიდოდა ქალაქს.

6. მოავლინა უფალმა ღმერთმა აყირო და იგი იონას თავსზემოთ აზარდა, რომ დაეჩრდილებინა მისთვის და წყნა გაექარებინა. დიდად გაახარა ამ აყირომ იონა.

7. მოავლინა ღმერთმა მეორე ღელეს, განთიადისას, მატლი, გამოაჭმევინა აყირო და გახმა იგი.

8. მზე რომ ამოვიდა, მოავლინა ღმერთმა აღმოსავლეთის ცხელი ქარი; მზემ ისე დააცხენა თავზე იონას, რომ მან, ღონების დიდი ინატრა, თქვა: „ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნა“. 9. უთხრა ღმერთმა იონას: „მაგრად გამწარდი იძ აყიროს გამო?“ მიუგო: „მაგრად გამწარდი, საინკვდილოდ“. 10. უთხრა უფალმა: „მენ ერთი აყირო შეგენანა, თუმცა შენ არ დაგირგავს და არ გაგიზრდა. ერთი ღამის შვილი იყო და ერთ ღმერთი გახმა. 11. აბა, მე როგორ არ შემენანს დიდი ქალაქში ნინევე, სადაც ასოციათსზე მეტი კაცია, ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევა მარჯვენა და მარცხენა, და სადაც უთვალავი პირუტყვია!“

9. უთხრა ღმერთმა იონას: „მაგრად გამწარდი იძ აყიროს გამო?“ მიუგო: „მაგრად გამწარდი, საინკვდილოდ“. 10. უთხრა უფალმა: „მენ ერთი აყირო შეგენანა, თუმცა შენ არ დაგირგავს და არ გაგიზრდა. ერთი ღამის შვილი იყო და ერთ ღმერთი გახმა. 11. აბა, მე როგორ არ შემენანს დიდი ქალაქში ნინევე, სადაც ასოციათსზე მეტი კაცია, ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევა მარჯვენა და მარცხენა, და სადაც უთვალავი პირუტყვია!“

ცხოვრება მეფე დიმიტრი თავდადებულის

„ეგრეთ ბრწყინვდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქშენი თქუენი კეთილნი“ — (მათე — 5,16)

„შთამომავლობამაც და ისტორიამაც საქართველოს მეფეთაგან თავდადებულის წოდებულება მხოლოდ დიმიტრი II მიაკუთვნა, რადგან საქართველო და ხალხი თვისი სიცოცხლის განწირვით მონღლოლთა ყაენის არღუნის მრისხანებისა და აოხრებისაგან იხსნა“ — ასე განასრულებს მეფე დიმიტრი თავდადებულის ზოგად დახასიათებას ივანე ჯავახიშვილი.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობილმა მემატიანემ — ქართველმა უამთააღმწერელმა და დიდმა ივანე ჯავახიშვილმა — თავისი კაპიტალური ნაშრომით „ქართველი ერის ისტორია“, ბრწყინვალედ გადმოგცეს და თანამედროვე მეცნიერების ნათლით გაასხივოსნეს წარსულის მღელვარე ეპოქათა კარდინალური საკითხები.

ეს დიდი ღვაწლი მემატიანესა და ისტორიკოს-მეცნიერს შორის თანაზომიერადა განაწილებული.

ქართველი უამთააღმწერლის სახელდების საფარველს ქვეშ დარჩენილი უცნობი მემატიანე ისტორიულ მოვლენებისა და ფაქტებს პირუთველად გვიამბობს, ოღონდ დაუჭვებელ ეროვნულ გულისტკივილში აზავებს და ქრისტიანული მართლმორწმუნების სულისკვეთებით მსჭვალავს.

თანამედროვეობის უდიდესი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის შეუძრებელი ღვაწლი ქართული მატიანის მეცნიერულ კვლევასა და კომენტირებაში მდგომარეობს.

ჩვენი მოკრძალებული მეცადინება კი მიზნად ისახავს ქართველ მეისტორიეთა ნაღვაწს გულმინდობილი მიღვეთ და შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოთ ის მიზეზბი, რომელთა გამოც ქართულმა ეკლესიამ მეფე დამიტრი II თავდადებული წმიდად შერაცხა.

მეფე დამიტრი თავდადებულის ცხოვრება ქრისტეს სჯულის მოწესეთა მარტივობის მიმსგავსებულ კერძო ამბავს არ წარმოადგენს. მისი მეფურკაცური პიროვნება მეტად რთული და ხასიათის არაერთგვაროვანი თვისებებით აღსავს იყო.

მის ცოცხალ ნატურაში გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ მირონცხებული მეფე და უბრალო კაცი. ერთის მხრივ, სავალდებულო და საპატიო პასუხისმგებლობათა არცთუ იოლი ტვირთი; მეორეს მხრივ, ჩვეულებრივ

ადამიანურ ნდომათა და სურვილთა თავდაუღწევი მოხარეობა; პირველი — პიროვნების კეთილშობილურ განხრახულობათა საწინდარია და ცხოვრებაში მათი შესაფერისი მიზანდასახულობით განხორციელება ქვეშევრდომი ხალხისათვის კეთილი ნაყოფის მომტანია; მეორე — პიროვნებას პირველყოფილი ინსტიტების მრუმე სამყოფელისაკენ ეზიდება, რაც მის არსებას დაკნინებით ემუქრება და მისივე საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაუფერულებას მოახწავებს.

ამ ორ ურთიერთშეუფერებელ ბუნებათა ერთობლიობა ყოველ კონკრეტულ პიროვნებაში დაპატადებს იმგვარ სულიერ მოძრაობას, რომელიც მისი ინდივიდუალობის არსება და როობას საბოლოო მსჯავრს გამოუტანს.

აქვე უნდა მიუთითოთ ერთ განსაკუთრებულ გარემოებაზე, რაც კერძო ისტორიული სიტუაციის აუცილებელ გათვალისწინებას გულისხმობს. ცხოვრების ქარტებილებს თავიანთი შიდა არსებითობის საგანგებო ლოდიკით ნებისმიერი იერარქიის ადამიანის ქმედებაში სრულიად მოულოდნელი შესწორებები შეაქვთ.

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანეს უტყუარი რწმუნებით დიმიტრი II უპირატესად გვესახება, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანი მეფე, საკუთარი განსაგებელი ხალხის კეთილმზრახველი და მათზე მუდმივად მზრუნველი, რასაც ქართველი უამთააღმწერლის უდავო მოწმობა ადასტურებს — „ამას თანა მოეგო მარხულობა, ღამით ლოცვა და მუხლო-ფრა ფრიადი, რამეთუ ათას ხუთასი მუხლი მოაგდის მდაბლად მიწასა ზედა“ და სხვა ადგილას — „ხოლო მეფე დიმიტრი წარემატებოდა ღმრთისმსახურებითა და კაცო-მოყუარებითა“.

„სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“ — (ლუკა — 18,42).

ყრმობის ასაკიდან დიდი ხნის გამოსული არც იყო მეფე დიმიტრი II, როდესაც საქართველოს ტახტი მემკვიდრის უფლებით დაიკავა და ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ II მიერ ღვთის სახელით იქნა მირონცხებული. მას მეფობამ მეტად მძიმე უამიანობის დროს მოუწია. ეს არის საქართველოში მონღლოლთა აუტანელი მბრძანებლობისა და აღვირახსნილი პარპაშის შუადღე.

ჩვენ საჭიროდ ვსცანით, გონიერი თვალი წამიერად შეგვეყრო დიმიტრი II მეფობის წინა ეპოქისაკენ, რა-მეთუ საქართველოს თავსდამტყდარ უბედურებათა თავი-დათავი მიზეზი იქ იმყოფება.

1213 წელს აღესრულა საქართველოს მნათობი, კე-თილმორწმუნე მეფეთა-მეფე თამარი. სამეფო ტახტზე მისი ვაჟიშვილი გიორგი IV ლაშად წოდებული ავიდა.

„აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რისხვი-სა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისა-თვის უსჯულოებათა ჩუენთასა“ — მწარე გულისტკივი-ლით წარმოსთქვამს ამ სენტენციას ქართველი უმთა-აღმწერელი და იქვე განაგრძობს — „და იქმნა უკუცევა სუე-სვიანისა ბედისა, მაღლისა და საჩინისა დავითიანა-სა გამარჯვებულისა“.

უამი იგი იქმნა საქართველოს ისტორიის ჩარჩის უკუბრუნების მაუწყებელი.

„არამედ უკანასკნელ მიდრეა სიბოროტედ თანამი-ყოლითა უწესოთა კაცთათა“ — გვაუწყებს მემატიანე ლაშა-გიორგის უზნეო საქციელის შესახებ.

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წინსვლის მნელად შესაცნობი უეცარი შეჩერება შეიქმნა მიზეზი იმ საოცარი სულიერი მოღუნებისა და განევებისა, ამასთა-ნავე ფიზიკური დაღლისა და მოშვებულობისა, რის გა-მოც ჯერ კიდევ ჯანმრთელი და ღონიერი ორგანიზმი საქართველოს ძლევამოსილი სამეფოსი განწირული მსხვერპლივით პიპოზირებული, აღმოსავლეთიდან და-რული საზარელი ურჩხულის გაუცნობიერებელ მოლო-დინში იმყოფებოდა.

„მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირისა და მოგწყვიდნენ იქუენ, და იყვნეთ თქუენ მომულებული ყოველთაგან წარმართთა“ — (მათე — 24.9).

წამოემართა პირველყოფილი ქაოსის ურჩხული ლე-ვიათანი, მონღლოლ ნომადთა ურიცხვი ურდოების სახით და ვითარცა სიცოცხლის ყოველგვარი ნიშატის წარმ-ხოცველმა გავარარებულმა ლავამ, ახლო აღმოსავლე-თის დაწინაურებული კულტურული ცივილიზაციების ოაზისები სულერთიანად გადახრუკა.

„მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდმო“ — პგოდებს ქართველი უამთააღმწერელი. ეს იყო ქვესკნელის ძალე-ბის მიერ დატრიალებული შურისძიების არმური. ცის კაბადინიდან დღის ნათელი გადაიყარა და ველურ ტომ-თაგან კიროების წკვარამი დამე ჩამოწვა.

„რამეთუ ესე ყოველი დასაბამი საღმობათაი არს“ — (მათე — 24.8).

მონღლოლ ნომადთა ტომებმა ახლო აღმოსავლეთის მაღალი კულტურის ქვეყნები იხილეს, ოდენ მათი საზო-გადოებრივი განვითარება გვაროვნულ წყობას არ გას-ცილცხოდა. როგორც ხდებოდა ყოველ უამს კაცობრიო-ნის მთლიანი ისტორიის მანძილზე, კულტურული საქ-მიანობის თვით ჩანასახური სტადიის არმქონე ველურ-მა ერმა, თავის პირველყოფილ ბარბაროსულ ცნობიერე-ბასა და მხეცურ ზენობრიობაზე აღმოცენებული იდეო-ლიგის თავისმოხვევა განიზრახა დაყრიბილ ქვეყნებზე, იმავ დროს ამ აგრესიული მიზანდასახულობის სისრუ-ლეში მოყვანისას არახული გააფთრება და წყურვილ-მოუპლელი სისხლისმელობა აქცია მოძალადეობის

ერთადერო შესაძლო ფორმად — „შურმან შეიძყრა უსწაველებელი“.

აღორძინებული კულტურის შემოქმედ ქართველ ერს კი მომხდეულთათვის შეეძლო სახარების სიტყვებით მიეგმართნა — „შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე“ — (იოანე — 2.17).

როგორც ისტორიული წყაროებიდან სჩანს, მონ-ღლოლებმა დაყრობილ-დამონებულ ქვეყნებში ფეხი მტკი-ცედ მოიკიდეს, თანაც საკუთარი ყოფისთვის დამახასია-თებელი „წესრიგიანობისა“ და მავნე გვაროვნულ-ტო-მობრივი ადათების გადმონერგვაც მოახერხეს.

ჩვენ ისტორიულ გარემოებათა შედარებით დაზუს-ტებული გადმოცემა იმდენად ჩავთვალეთ მიზანშეწონა-ლად, რამდენადაც, ჩვენის აზრით, სწორედ გარე სამდა-როში, ანუ კონკრეტულ დროში განვენილ ისტორიულ სიტუაციაში ჩასახულმა ბოროტმა იმპულსმა გამოათავი-სუფლა მეფე დიმიტრი II-ს შიდა სამყაროდან ის მძლავ-რი სულიერი პოტენცია, რომელმაც მას წმიდა მოწამე-თა ბადალი თავგანწირვის გამოჩენის ამაღლებული უნა-რი შესძინა.

ჩვენ ზემოთ ორიოდ სიტყვით მოვიხსენიეთ მეფე დიმიტრი თავდადებულის ქრისტიანული ზნეკეთილობა, ახლა კი კვლავ მემატიანეს მივმართოთ, რამეთუ მის მი-ერ სრული დამაჯერებლობითა გადმოცემული მეფე-მოწამის ქრისტიანული მართლმორწმუნება, თანაც არც წყობილისტყვაობის ლაკონიურობაა შერყვნილი — „რა-შეთუ იყო ესე დიმიტრი... უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე, რო-მელ არა სმენილ არს ნათესავი, მეფე გინა სხუათა კაც-თა“.

„ყოველი რომელი გთხოვდეს, მიეც“ — (ლუკა — 6.30).

გავიხსენოთ „შვიდნი მოწყალებათა საქმენი ხორ-ციელნი“ და მეფე-მოწამის მიერ მათში დამარხულ კაცომეყარე მცნებათა ერთგული მსახურება უთუოდ გულს სიამეს მოპგვრის.

მეფე დიმიტრი თავდადებულის მხრივ ქრისტიანუ-ლი ეკლესიის მიმართ გამუღავნებულ კეთილმზრახვე-ლობას უამთააღმწერლის კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა დაგვიდასტურებს — „აღაშენა პალატსა შინა მო-ნასტერი, ისანთა, საყოფელად მეტებთა ღმრთისმშობე-ლისა და შეამკი განგებითა დიდითა“. ეს მაშინ, როცა ქართველთა სამეფოში ყოველგვარი სახის აღმშენებლო-ბითი საქმიანობა მნელბედობის გამო შეჩერებულ-შეწ-ყვეტილი იყო.

„გარნა ესრეთ ხელთა შინა საღუნისათა იყო, რამე-თუ ფრიად განადიდა საღუნი ყაენმან“ — უამთააღმწერ-ელი გადმოცემეს თუ როგორ პატივში აღიყვანა აბალა ყაენმა ვინე საღუნ მანკაბერდელი და როგორ იქცა ის საქართველოს სამეფოს ფაქტიურ განმგებლად.

ივანე ჯავახიშვილი საღუნს მედროვეთა ტიპის სა-ხელმწიფო მოღვაწის რანგს მიაკუთვნებს.

ამ ისტორიულ ტიპს საზოგადოდ წარმოშობს ეპო-ქა, როცა ერთ თავისი ბუნებრივი განვითარების არსე-ბითსა და მაცოცხლებელ იმპულსს — თავისუფლებას კარგავს. დამპყრობელი როგორი უმეცარიც არ უნდა

იყოს, შეგნებულად უწყობს ხელს მედროვეთა მომრავლებას, რამდენადაც დამონებული ქვეყნის ხალხის ზეობრივ სიმართლესა და ერთსულოვნებას, ყოველგვარ მორალურ ვალდებულებას მოკლებული მოძალადობის ეს ნებსით სატელიტები, პარაზიტული ძალით ხრწიან, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზმს სრული დაშლითა და გადაგვარებით ემუქრებიან.

პირადი განვიდებისა და ამქვეყნიური წარმავალი კეთილდღეობისადმი დაუოკებელი ლტოლვა, მათი ბირთალი მასულდგმულებელი ცხოვრებისეული პრინციპებია, რამეთუ ამ რანგის პირებს არც კონკრეტული სარწმუნოების ერთგულება ავალებს რასმე და არც ცალკეული ერთსათვის ნიშანდობლივი, ყოველი მისი წევრისათვის საზიარო მამულიშვილური სიყვარული ასაზრდებს,

„ვერ ხელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაისა“ – (ლუკა – 16,13).

მეფე ღიმიტრი II დაფარულ უკმაყოფილებასა და უსაყველურო წყენის გრძნობას განიცდიდა უთუოდ თავისი თავგასული მოხელისადმი, რასაც ის ფაქტიც ჰყოფნის დასამტკიცებლად, რომ საღუნის გარდაცვალებისთანვე, მან უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სამოხელეო სახელი – ათაბაგობის წოდება წაართვა მანკაბერდელთა საგვარეულო სახლს და თავისსავე გამზრდელს ტარსაიჭ ირჩელს უბოძა. ზემოთქმული საცნაურ ჰყოფს, თუ რა მნელასატანი იქნებოდა მეფისათვის მედროვე სადუნთან ურთიერთობა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ველურმა დამპყრობლებმა თან მოიტანეს თავიანთი ყოფიერებისათვის დამახასიათებელი უხეში და ტლანქი წეს-ჩვეულებები, რის დამონებულ ქვეყნებში მხეცური ენერგიული დანერგვასაც მათ მიჰყევს ხელი.

ამის კანონზომიერი შედეგი გახდა ის გულის მომწყვლელი სიტუაცია, რომლის არაერთგზის აღწერასაც ჩენ უამთააღმწერლის მატიანეში ვხვდებით. კულტურული აღმავლობის დროიდან გაკეთილშობილებული ზე ქართველი ხალხისა მტარებლთა უბოდიშო მოქცევამ და დაუსრულებელმა მოძალებამ სრულიად გარევნა.

ქართული ქრისტიანული ეკლესიის მესვეური, კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ II – „მოხუცებული და მართლმჯულთელი“, ძალონეს არ იშურებდა ყოველგვარი უწესოების აღმოსაფხვრელად, გარნა ვერარა გააწყო და ვერაფერი იღონა, ქრისტიანული ეთიკის სადაცი წესრიგიანობის აღდგენის საწადელს ვერ ეწია, რამეთუ სიბილწის მავნე სენი იმჟამინდელ ქართველ საზოგადოებას ერთავად დარეოდა.

უამთააღმწერელი, ვისაც არასოდეს დაუშურებია დამიტრი II საქებარი სიტყვა, მისი სიმართლის გზიდან გადასვლის გამო დაღონებული, თითქოსდა მწარედ დრტვინავს – „აქამიშდე მეფე დამიტრი, კეთილად მმართებელი, ...მოწყალებისა და მოსამართლეობისა, მონოზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევნით მმართებელი, სისრულისაგან მცირედ მიდრკა, და აღერია წარმართთა“.

უამთაანობის მძიმე ტვირთმოკიდებული მეფე-მოწამის ორთოდოქსულ ქრისტიანულ რწმენაში უამთაამდწერელი წამიერ დაეჭვებასაც კი არ გვიმუდავნებს. პირიქით, თავისი შესანიშნავი ისტორიული თხზულების ფურცლებზე რამოდენიმეჯერ დაუშინებული სიბეჯითით და გაცხადებული მიზანსწრაფით, რაც ყოველგვარ ორაზროვნებას გამორიცხავს, სრულყოფილი რწმუნებულობით წარმოგვიდგენს ქართველი ქრისტიანი მეფის ყოველმხრივ ღირსშესანიშნავსა და გამართლებული ზნეკეთილობით შემკობილ ხატს, რომელსაც ვერავითარ ხინჯს ვერ მოუძებნო, თუ არა?!

ეს „თუ არა? – მეფე-მოწამის სამცოლიანობის ისტორიულად დადგენილი ფაქტია და რომელიც ზეცის საკრალური შორსმჭვრეტელობის ქვეშ დაფარული მიზეზობრიობის იღუმალი მექანიზმის მოქმედების მეოხებით შეიქმნა იმ მძიმე განსაცდელის მომავლინებელ და განმასზღვრელ მიზეზად, რამაც საბოლოოდ დიმიტრი II ამქვეყნიური ცხოვრების მოწამეობრივი აღსრულება გამოიწვია.

ვფიქრობთ მოვიდა დრო გამოწვლილვით შევისწავლოთ და ქრისტიანული მოღვრების სრული შესაბამისობით გავაზროთ მეფე დამიტრი II მიერ ღვთის წინაშე ჩადენილი შეცოდება, რაც ქრისტიანული სარწმუნოებით დაგანონებული ცოლქმრული ურთიერთობის წმიდა წესის შეცვნით გამოიხატა – „გულის-სიტყვისა უკანა შედგომილმან მოიგვანა ცოლნი სამნი“ – მძიმედ დაღონებული გვიამბიოს უამთააღმწერელი, რაოდენ მეფე-მოწამე მისივე სიტყვებით – „ურიცხუთა კეთილო მიერ აღგვებული“ იყო.

ამდენი ღირსებით აღვსილი ქართველთა მეფე, რომელიც დღენიადაგ კაცური სიკეთის თესვასა და დარიბლატაკათა მეფური გულმოწყალეობით განკითხვამი იყო, ხორციელი ცოლების წინაშე უძლური და უსუსური აღმოჩნდა. მეფე-მოწამის კაცურმა ნებამ ვერ შეიძლო ხორციელ სურვილთა და გრძნობათა დათრგუნვა. სულიერი ამაღლებულობისა და პიროვნული ზნესრულობისათვის ამ მნიშვნელოვან მომენტში კაცის ქვენა ბუნებამ იმდლავრა ღვთისადმი და ქვეშვრდლომი ერისადმი წმიდა მოვალეობით აღჭურვილ მეფის ბუნებაზე.

ქართული ეკლესიის საჭეთმბყრობელი ნიკოლოზ II თამამად ამხილებდა მეფეს, ოღონდ თავისი ზნეობრივი პოზიციის სისწორეში ვერ დაარწმუნა. რამეთუ აღარ შეეძლო მოვლენათა ქრისტიანული სიმართლის გზით წარმართვაზე საჭირო ზემოქმედების მოხდენა, კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზ II ნებაყოფლობითა და საკუთარი სურვილით უარი იქვა ქართველი ეკლესიის სამღვდელმთავრო ტახტზე, ხოლო თავის მაგიერ მეფის ჯვრისმტვირთველი აბრაკამი აკურთხა – „თვით წარვიდა მამულად თვისად..., და სავსე სათხოებათა ტვირთითა უფლისა მიმართ მიიცვალა“.

„მათ უამთა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონოზინი“ – გვატყობინებს მემატიანე. „ქართლის ცხოვრების“ მატიანეს ამ ნაწილში ნათლივ ცხადება უამთააღმწერლის მხრივ ღმერთის ცხოველი სუფევისა და ზეციური დემიურგის შეგრძნობა.

ბასილ მონაზონს ჟამთააღმწერელი გვაცნობს ორორც – „საღმრთოთა წესითა აღსავსე და წინასწარცნობისა მაღლითა გაბრწყინვებული“, ე. ი. მემატიანე მას წინასწარმეტყველების საკრალურ ნიჭს მიაწერს.

ჟამთააღმწერელი ბასილი მონოზვინის მისიას აშკარად პროვიდენციულ საფანელს უგებს, ოცა გვაუწყებს – „მოიწია წინაშე დიმიტრი მეფისა, გამოცხადებითა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობელისათა, და ვითარცა მოციქული ძლიერად ამხილებდა და წინააღუდგებოდა მეფესა უწესოსა მისოვის ქოწინებისა“.

ათონის ივერთა მონასტრის ბერი ბასილი, „ვითარცა მოციქული“, ზეციურ კეთილგანზრაპულებათა დესანია, რომლის ბაგენი ღვთაებრივი წყრომისა და გაფრთხილების სასტიკ სიმართლეზე დაღადებენ. ვითარცა ბიბლიური წინასწარმეტყველი ესაია, ბასილ მონოზონი, რეალური მომავლის საშინელ ხილვათა დასურათხატებით ცდილობს მეფეს ხვალინდელი დღის საფრთხე და განსაცდელი აარიდოს, დროზე გონს მოიყვანოს და ჩააგონოს, რომ დიმიტრი II – „პირველთა საქმეთა მისთა, ლოცვა და ცრემლთა მისთა“ დამსახურებული ღვაწლი ტყუილუბრალოდ არ ანაცვალოს უგვან გულისთქმათა დამღუპველ კაბალას. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ თვალნათლივ დაგვანახა ბერი ბასილის წინასწარმეტყველების მყაცრი სიმართლე.

ოღონდ ზეცა არ მიატოვებდა მის მიერ დიდად შეუგვარებულ ქართველთა მეფე-მოწამეს და მის სულ არაფრით არ დაუთმობდა ქვესკელის „წინააღმდგომ“ ძალებს, რამეთუ დიმიტრი II მეფურკაცურ ხასიათს გაჩენის დღიდანვე თანდაპყვა თავგანწირვის ძალგულოვანა ნიჭი. მეფე დიმიტრი II თავდადებულს ხელეწიფებოდა ღვთის წმიდა საკურთხეველზე საკუთარი სიცოცხლის ზვარაკად მიტანა, რათა წარმართთაგან დაღვრილ მის-სავე სისხლში ცოდვათაგან განბანილი მარადისობაში დაუბრკოლებლად შეყროდა არსოთაგამრიგეს.

მონღოლთა ერანის საიღხანოს მბრძანებლის, აბალა და ენის გარდაცვალებისთავავე დაიწყო ინტრიგები და შინაარეულობა საიმპერიო ტახტის დასაყრიბად. ერთხანს, გარდაცვლილი ყაენის მმამ, ისლამის სჯულზე შემდგარმა აპადმა იმარჯვა, ოღონდ დიდი დღე არ ეწერა მის მპერობელობას და მონღოლთა დიდი ნოინების ბუღასა და იასბუღას მეშვეობითა და შეწევნით ძალაუფლება აბალას ძემ არღუნმა იგდო ხელთ.

ისტორიული თვალსაზრისით მცირე დროის გავლას შემდეგ, არღუნ ყაენის პატივმოყვარული ამბიციებისათვის მნელად ასატანი შეიქნა ბუღას უსაშველო გაძლიერება. მანაც არ დაყოვნა საჭირო გადაწყვეტილების მიღება, როგორც ეს საერთოდ მონღოლთა ბარბაროს უდიდებულესობებს ჩვეოდათ, რამეთუ მონღოლთა საყველპურო ზენობა პირუტყველი გულმოღინებით აღასრულებდა საკუთარსავე წარმართულ ადათებს. ბუღა სიკვდილით დაისაჯა იმ წინდახელულობისა და პოლიტიკური გონიერებისათვის, რაც მან მეტრობოლის უზენაეს ტახტზე არღუნის სახით ყველაზე ღირსეული პრეტედუნგის აყვანის დროს გმოიჩინა.

ბუღასთან ახლობლური კავშირის გამო ქართველთა მუფეზეც იქნა მიტანილი ეჭვი. ესეც რომ არ ყოფილი-

ყო არღუნ ყაენს ჟამთააღმწერლის ცნობით – „მეფეზაუდა აქუნდა მტერობა“. მონღოლთა ერანის საიღხანზე წერილი ბიერ მბრძანებელს ბრმა ნაცვალგების ქვენა გრძნობა ამოქმედებდა.

მემატიანე გვატყობინებს, რომ ოდეს მეფე დიმიტრი II შეიტყო ცნობა ბუღას მოკვდინების შესახებ – „დაუმიმდა ღიდადო“.

ქართველთა მეფემ უმაღ გამოიცნო ბოროტაც გულარძნილი აღღუნ ყაენის განზრაპვა. მყისვე იქნა მიღებული ის ისტორიული ღირებულებისა და ქრისტიანულ-მოწამეობრივი სიდიადით გამშვენიერებული გადაწყვეტილება, რამაც მეფე-მოწამეს თავდადებულის წოდებულება არგუნა წილად.

ოღონდ ყველაზე სულიერად მხნე და ლომგულ პირებსაც სჭირდებათ მოჭირისუფლეთა თანადგომა და მხარდაჭერა, რამეთუ თანამოზიარეთა ერთსულოვნებამა და შინაგანი კეთილვისებრიობით შეკავშირებულმა ძალისხმევამ კერძო პირს მძიმე ტვირთის ზიდვა შეუძუბუქებს. ასეთად გვესახება მეფე-პატრონის ერთგული დარბაზისერი და ქართველი სამღვდელოება, რომელთა მგზებარე სიყვარულისა და უშურველი ადამიანური თანააღმობის დადასტურებას მეფე-მოწამის გადაწყვეტილების სიმტკიცის უფრორე შედევრადება შეეძლო.

და შეჰყარა მეფე დიმიტრი II დარბაზისერი, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ ქართველი ღიდებულება, ასევე ქართველი მღვდელ-მონოზვნები, საქართველოს ეპლესის საჭეომატყრობელის აბრაჟამის მოთავეობით.

საქართველოს მეფე დიმიტრი II თავდადებულის ერისკაცურ ღვაწლს თანმედროვე ისტორიული მეცნიერება, მისი ქვეშევრდომი ერის ფიზიკური არსებობის მოსპობის რეალურად არსებული საფრთხის თავიდან აცილებაში ხედავს. მრავალუმიერი ღიდება მშობელი ერისათვის ამ საარაკო თავგანწირვის მქნელ ქართველთა მეფეს! ოღონდ სამართლიანობა მოითხოვს ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ქართველთა მეფე-მოწამემ უპირატესად ქრისტის სჯულის ერთგულების გამო გასწირა თავი, თუმცა სარწმუნოცხრივ ღევნას მონღოლთა წარმართულ იმპერიაში პრეცენდენტი არ ჰქონია.

რა გვაძლევს ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას?

მივმართოთ ჟამთააღმწერლის მატიანეს. აქ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მეფე დიმიტრი II მიერ დარბაზისერის წინაშე წარმოთქმული სიტყვის ბოლო ფრაზამ მიიცია, ეგზომ იგი სრულად უნდა წარმოვალგინოთ – „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისაგან“.

ახლა კი წმიდა სახარებაში ჩავიხედოთ – „რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს, და სული თვისი იზღვიოს“ – (მათე – 16.26).

თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ მეფე დიმიტრი თავდადებულის სიტყვაში სახარების ცნობილი მოძღვრება სულის ვწების, ანუ ტანკვის ხარჯზე წუთისოფლის გახაზრძლივების უნაყოფობაზე იღენტურად მეორდება.

ქრისტიანული მოწამისის ერთგულება რომ ამოსავალი საწყისია თავგანწირვისა ამას დიმიტრი II სიტყვები გვაფიქრებინებს – „ვგონებ რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს“. მეფე-მოწამე თავის მაღალ ქრისტიანულსა და ამავე დროს უბრალოდ კაცურ კრედიტი შემდეგნაირად გვაცნობს – მე ჩემი ქრისტიანული სარწმუნოებრივი სულისკვეთების მეოხებით სხვაგვარად ვერ ძოვიქცევი – საკუთარი სიცოცხლე უნდა გავწირო, ხოლო იმედი მაქვს ეს ნებაყოფლობითი მსხვერპლი, წრფელი გულით გაღებული, ღმერთმა შეიწიროს და „ვგონებ“ ჩემი ხალხი ხიფათს გადაარჩინოსო.

„არა არს ნაცვალი შენი მეფეო“ – ასე მიმართეს მეფეს ქართველი ერის წარჩინებულებმა და საქართველოს მიუღომელ მთიანეთში გადახვეწა ურჩიეს. დიმიტრი II ეს წინადაღება დიდსულოვნად უარყო. მაშინ სიტყვა ქართული ეკლესიის მეთაურმა აბრაკამმა წარმოსთვა – „აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვის... წინაშე ღმრთისა ვწამებთ, რათა მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნე“. არა არს ნაცვალი შენი მეფეო“ – ასე მიმართეს მეფეს ქართველი ერის წარჩინებულებმა და საქართველოს მიუღომელ მთიანეთში გადახვეწა ურჩიეს. დიმიტრი II ეს წინადაღება დიდსულოვნად უარყო. მაშინ სიტყვა ქართული ეკლესიის მეთაურმა აბრაკამმა წარმოსთვა – „აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვის... წინაშე ღმრთისა ვწამებთ, რათა მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნე“.

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის სულიერმა გმხნევებმა და მხარდაჭერამ მეფე-მოწამე საკუთარ გადაწყვეტილებაში კიდევ უფრო განამტკიცა.

მეფე დიმიტრი II თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი უხიფათო ადგილებში გაზიზნა, ხოლო თვითონ კათოლიკოს-პატრიარქ აბრაკამისა და ქართველი დიდებულების თანხლებით ურდოს გზას გაუყვა. თან უამრავი განძი და საჩუქარი წაიღო არღუნ ყავნისათვის მისართმევად.

მონღოლთა ერანის საილხანოს მპყრობელს აფიქრებდა საქართველოს სამეფო ტახტის დაცარიელების საშიშროება. ქართველთა კანონიერი მეფის სიკვდილით

დასჯის შემთხვევაში, რამეთუ მას მუდმივად მეწველი ფური სჭირდებოდა, ხოლო თუკი ამ უკანასკნელს უძიებების დასტოვებდა, მაშინ ვერაფერ სარგებელსა და ხეირს ნახავდა.

საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ, საღუნის შთამომავალმა ხუტლუბულამ არღუნ ყაენს ვახტანგ დავით ნარინის ძე შესთავაზა, რაზეც თანხმობა მიიღო.

საქართველოს სამეფო ტახტის საკითხის მოგვარებამ და შესაფერისი პრეტენდენტის აღმოჩენამ მეფე დამიტრი თავდადებულის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. თუმცა „სამსჯავრო სახლში“ დაკითხვისას მეფეს ბუღას შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალი არ დაუდასტურდა, შურისძიებით გულანთებულ არღუნ ყაენს ბოროტ განზრახვას ვერავინ შეაცვლევინებდა.

სიკვდილით დასჯის წინ ქართველთა მეფე დიმიტრი თავდადებული ეზიარა „სისხლსა და ხორცსა მეუფისა ჩუენისა ქრისტეს ღმრთისასა“ და „ილოცვიდაცრებლთა მოდინებითა“. აღსრულა მეფე-მოწამე 1289 წ. 12 მარტს მოვაკანში, მდ. მტკვრის პირას.

მონღოლებმა „გუამი იგი პატიოსანი დიმიტრი მეფისა დასცვეს მრავალ დღე, რათა არა წარიღონ ქართველთა“ – გვატყობინებს უმთააღმწერელი. კათოლიკოს-პატრიარქმა აბრაკამმა და ვინმე მოსე მღვდელმა მოისყიდეს რამდენიმე კაცი, მათი დახმარებით დამის სიბნელის ქვეშ დაიხსნეს მეფის გვამი და თბილისელი მეთევზების ხელშეწყობით მცხეთას წამოასვენეს. საქართველოს წმიდა და კურთხეულ ქალაქში, მამა-პაპათა სამეფო საძვალეში დაკრძალეს ქრისტეს სჯულისა და მშობელი ერისთავის თავგანწირული მეფე დიმიტრი II ნეშტი.

მარადიული დიდება და ნეტარება მის უკვდავ სახელს!



თ ე რ ლ რ გ ი უ რ ი ნ ე რ ლ ე ბ ი

I

ს ა რ ღ მ უ ნ რ ე ბ ა

ს ა ს რ ე ბ ა

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

სარწმუნობის საკითხი უდიდესი საკითხია კაცობრიობის ცხოვრებაში. ეს საკითხი იდგა პირველყოფილი ადამიანის წინაშე და დგას თანამედროვე ცივილიზაციით დაპურებული მოაზროვნის წინაშე. ის აღელვებდა ქვის ხანის ადამიანს და აღელვებს მთვარეზე მიძრმანებულ მოქალაქეს ჩვენი მიწისას. „ვინა ვარ მე და რატომ ვარ?“ კითხულობდა ბევრი მაძიებელი ჭეშმარიტებისა. ამას კითხულობდა სწავლული და ამასვე კითხულობდა მიწაზე მდუმარედ თავდახრილი გუთნის დედა და ოფლს ღვრიდა პასუხის მოღოდინში... და არ შეიძლება ამასვე არ კითხულობდეს ცას მიბჯენილი, თანამედროვე ტელესკოპების წინ მჯდომარე მეცნიერი შორეული გაღაეტყებისა.

გონიერი ადამიანი, თანამედროვე ცივილიზაციისა მისი განათლების დონის მიუხედავად ამ კითხვის გარეშე ვერ დარჩება... სიკვდილ-სიცოცხლის არსებული ულმობელობა, ხილული და უხილავი გარემო მთელი თავისი დიდებულებით, ამოხსნილი და ამოუხსნელი საკითხებით და სხვა ურიცხვი საოცრებანი, აყენებდნენ, და კვლავაც დააყენებენ ამ კითხვას ადამიანთა გონების წინაშე.

საკითხი ერთია ს ა რ წ მ უ ნ რ ე ბ ა, — პასუხი კი სხვადასხვაგვარი... სამწუხაროდ სხვადასხვაგვარი... საერთოდ, დიდსა და რთულ საკითხებს მოსდევს პასუხთა ნაირსახეობა, მაგრამ ამ მრავალი, თუ გინდ ათასი პასუხიდან მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი, მართალი პასუხი, სხვები კი არა სწორი, დაუსაბუთებელი, ბუნდოვანი და ასე შემდეგ.

მაგრამ მაინც ჰყვანან მიმდევარი ყოველ პასუხს, ამიტომაა დაყოფილი სარწმუნოებაცა და მისი მიმდევრებიც ეკლესიებად, დენომინაციებად და სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობად.

ყველას თავისი მრწამსი და სარწმუნოება მიაჩნია ერთადერთ. სიმართლედ და ჭეშმარიტებად... ყველა თავის ღმერთს სცემს თაყვანს, მაგრამ საბოლოო ანგარიშ-

ში ღმერთი მაინც ერთია ყველასათვის... ეს ის ღმერთია, რომელმაც კაცობრიობა წარმართული ბურუსიდან გამოიყვანა და ჭეშმარიტი სარწმუნოების გზაზე დააყენა. მაგრამ მთავარი, რისი თქმაც ჩვენ გვინდა არის, ის რომ ადამიანი სარწმუნოების გარეშე არასოდეს არ არსებობდა და არც არსებობს... ზოგს ამ სახით სწამს, ზოგსაც სხვა სახით... ზოგსაც ხომ კიდევ ბუნება სწამს, მატერია, ევოლუცია, მილიონ წლების იქით ძიება... პრობლემები, ჰიპოთეზების ზღვები უსაზღვრო და სხვა ამგვარი... ზოგს კი უყვარს ჭეშმარიტება ბიბლიური, ღმერთი, რომელმაც თავი თვისი ბიბლიით გვამცნო, მოსეს სჯულით გამოგვეცხადა... შემდეგ კი ათას ხუთას წელს გვესაუბრა წინასწარმეტყველთა პირით, და ბოლოს კი თავისი ძე მოგვივლინა ახალი აღთქმის დასადგენად, ღმერთი უწინარეს საუკუნეთა, უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, იორდანეში მოინათლა ჩვენი მაცხოვარი იოანესაგან, და ამ ნათლობის უამს კაცობრიობამ მიიღო უდიდესი სასწაული, განცხადდა სამება; მამა, ძე და სულიტება. აი, აქედან მიცეცა დასაბამი ჩვენს ქრისტიანულ სარწმუნოებას. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ სარწმუნოების გარეშე არც ერთი ადამიანი არა დგას, მაგრამ ამეამად ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ მართლადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ. ჩვენთვის სარწმუნოება ის ქვაკუთხედია, რომელზედაც შენდგება ჩვენი ცხოვრება და მომავალი, სარწმუნოებისა საზრდო ჩვენი სულისა, პური ჩვენი არსობისა, სისხლი ჩვენი მაცოცხლებელი, სითბო ჩვენი გულისა, სუნთქვა მარადიულობისა და ლამპარი, რომელიც აინთო იესო ქრისტეს გმოცხადებით და აღარასოდეს აღარ ჩაქრება. ასეთია ჩვენი მრწამსი, ჩვენი სარწმუნოება.

სარწმუნოებაზე ფიქრში ღამეებს ათენებენ მდაბიონი და მაღალი განათლების ადამიანები, დიდი ხელოვანი და მეცნიერები, მწერლები და პოეტები, ფილოსოფოსები და სხვა ყველა მოაზროვნე, რომელიც კი ღაინტერესებულია სიცოცხლით, და რომელსაც სწამს რომ ადამიანის გაჩენას აქვს უფრო მაღალი დანიშნულება, ვიდ-



საიდუმლო სერობა ილია II ფეშუმით, მარჯვნივ არქიმანდრიტი სოგრატი

რა არის სასოება?

ღმერთია თავად სასოება, თუ სასოებამ არ დატოვა კაცი, ეს იმას ნიშნავს რომ ღმერთი არ ტოვებს მას. სასოება შიშს აქარწყლებს ადამიანის გულიდან, სასოება სიკვდილზე ძლიერია, ვინაიდნ უკვდავია იგი, სასოება — რისხვაა უკეთურისა, იგი ლომია, როცა ლომი უხვდება გზაზე, პოეზია გონიერი მფლობელის გულში, და ბალი არის ცისქვეშეთის, სავანე სულის, უსასოლით მზეც ჩაქრება კაცის თვალთავის, უსასოლით ვერ მწიფდება ნაყოფიც ხეზე, უსასოლით ჩიტიც ბუდეს ვერ გაიკეთებს, მხედარიც ცხენზე ვერ შეჯდება უსასოლთ... მაშრა არის სასოება?

ვიფიქროთ უნდა რომ მთლიანად გავშიფროთ იგი, გამოვიცნოთ ასე ფართო მისი ბუნება, ვიფიქროთ დიდხანს, თუნდაც დილამდე, ხომ გვეყოფა სასოება მოთმონებისათვის? მაშასადამე ვიფიქროთ დილამდე, რომ ამოვხსნათ სასოების დანარჩენი ნიშანთვისება.

სასოებით სუნთქვავდა ღამე, სასოებით გათენდა დილა, მოჩახხაჲ მზიანი დილა... შევხედე მზეს და გამახსენდა, რომ მზეც არის ჩვენთვის სასოება, მზე, ჩვენს გულში და ჩვენს შეგნებაში აღგზნებული. სასოება უბრალო სიტყვა როდია, თვით სიცოცხლეა სასოება...

თუ სასოება ჩაქრა, შენს გულში, მორჩა, გათავდა, ვეღარც იცოცხლებ. სასოება საზრდოა, საკვებია ჩვენი სიცოცხლისა, როცა ადამიანი ლოცულობს და სასოება ახლავს თან მის ლოცვას, მაშინ რაღაც ზეციური მადლი იწვის ადამიანის სულში, და სული მლოცველი ადამიანისა მიიწევს მაღლა, სულ მაღლა ღვთაებისაკენ, და ადამიანი უერთდება ფიქრით ღვთაებას.

გადაჭარბება და გაზვიადება არ უფარს საქმეს. მით უშეტეს, რომ სასოების მნიშვნელობის შეცნობა გადაჭარბებას არ საჭიროებს. ის თავად არის რაც არის, ნურცარას დავაკლებთ და ნურც რაიმეს დავამატებთ, მხოლოდ მიგვდეთ, მხოლოდ გავიგოთ, რომ სასოება მარტო იმედი როდია. იმედი ჩვენს მიღმა, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, სასოება კი ჩვენშია, ჩვენშივე იბადება, იზრდება ჩვენში, მტკიცდება იგი ჩვენ სულში და შემდეგ წინ მიუძღვება ჩვენსავე სულს მწვერვალისაკენ, სიკეთისაკენ, აღმავლობისა და სრულყოფისაკენ, აი, ესაა სასოება.

სასოება ყველა ადამიანშია, არ შეიძლება ადამიანი იყოს უსასოო. ოლონდაც მოვლა უნდა მას და პატრონოსა. ხელი უნდა შევუწყოთ მას, არ ჩავაქროთ იგი ჩვენს გულში. სასო არ უნდა წარიკეთოს ადამიანმა, კვლავ გააღვიզოს ნაპერწყალი სასოებისა, რათა ეს ნაპერწყალი კვლავ აგიზგიზდეს და ფეხზე წამოაყენოს დაცემული ადამიანი.

ადამიანს სასოება ყველგან და ყველაფერში ესაჭიროება, მაგრამ განსაკუთრებით ესაჭიროება იგი ლოცვის დროს.

ღმერთი მისმა უდიდესშა წინასწარმეტყველმა მოსემაც კი ვერ იხილა პირისპირ, და ცხადია მას ჩვენ, ჩვენი ხორციელი ბუნებით ვერ ვიხილავთ, ჩვენ ის გონებით, ჩვენი სულიერი მისწრაფებით უნდა ვიხილოთ, სასოებამ დაგვაკავშიროს უნდა მის ნათელთან.

როდესაც ღმერთს შევთხოვთ ჩვენი ცოდნების... პატივებას, სასოება უნდა ისვამდეს თავის ფრთხებზე ჩვენს ასეთ თხოვნას, ვედრება სასოების გარეშე, სასხვათა-მორისო ვედრებაა, უფრო მეტიც, არა გულწრფელია ასეთი ვედრება, გამოღის რომ არა გჯერა, არა გწამს და მაიცც ევედრები.

(ამრიგად სიტყვა „სასოებაში“ გულწრფელობაც კია ჩაქსოვილი) მაცხოვრის ხატის წინაშე დაჩიქვილი მღლოცველი, მხოლოდ სასოებამ უნდა აღამაღლოს იმ ზომამდე, რომ ის გრძნობდეს თავის თავს არა ხატის წინაშე, არამედ მაცხოვრის წინაშე, რომელიც ხედავს მას და, რომელსაც ესმის ხმა მისი ვედრებისა.

მაშრა არის სასოება? რწმენა, იმედი, დაჯერება, სიკეთე, მისწრაფება, საკუთარი შინაგანი ძალებით აღტაცება, ერთად აღებული.

წმიდა მოციქული პავლე ღმერთს „სასოებისას“ უწიდებს: „ხოლო ღმერთმან სასოებისამან აღგავსენინ თქეენ ყოვლითა სიხარულითა და მშვიდობითა სარწმუნოებად და აღმატებად თქუნდა სასოებითა და ძალითა სულისა წმიდისათა“ (რომაელთა მიმართ 15, 13).

ამრიგად, დიდი რამეა სასოება... და რაც მთავარია იგი არის მაღლი უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა, იესო ქრისტესი. არ მოკლებოდეს იგი შრომისმოყვარე და კაცომოყვარე ქართველ ხალხს, არასოდეს არ მოკლებოდეს.

არაა ამ ქვეყნად ადამიანი, რომელიც ბედნიერებისაკენ არ მიისწრაფოდეს, ეს მისწრაფება ადამიანს გამჩენება ღმერთმა ჩაუნერგა და ეს მისწრაფება არის ადამიანთა მამოძრავებელი ძალა. ამ მისწრაფებას მიჰყავს ადამიანი ამა თუ იმ მიზნისაკენ.

მისწრაფება ერთია — ბედნიერება, მიზანი კი ამ მისწრაფების მისაღწევად — სხვა და სხვა, და გზებიც სხვა და სხვა. ზოგი აირჩევს გზას სწავლისას, შრომისას, მშვიდობისას და კაცომოყვარებისას, ზოგიც კი-დევ ცდილობს გამდიღდეს, დიდების მწვერვალზე ამაღლდეს, სამეფო ტახტი წართვას რომელიმე მის მფლობელს. დაამარცხოს ბევრი მფლობელი სამეუჯეო გვირგვინებისა, ქრისტი და მოსყიდვა გამოიყენოს წარმატების მისაღწევად და ათასი სხვა... ყველა თავისი გზით მიდის ბედნიერებისაკენ და უმტესობა ამ მაძიებლების საბოლოოდ გაბოროტებული უფურებეს განვლილ ცხოვრებას და სასოწარკვეთილი მომავალს, რადგანაც ვერ პოულობენ ცხოვრებაში მას, რასაც ეძებდნენ, ზოგი ძიების გზაზე ზელმოცარული დაენარცხა, ზოგი გამდიღდეს, მაგრამ აღმოჩნდა რომ ეს სიმდიღრე ტვირთი ყოფილა და მოუსვენრობა და არა ბედნიერება. ზოგმა დიდების მწვერვალს მიაღწია, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ისიც და მისი მწვერვალიც გარსშემორტყმულია მტრების მიერ და წუთიც არ ჩაქება ბედნიერების შესაცნობად. და ყველას ასე შემოაღამდათ ამ ძიებათ ცხოვრების გზაზე... და როცა გაუსწორეს თვალი წარსულსა და მომავალს, ნახეს, რომ წარსული უთავბოლოდ გამოცლით ხელიდან და მომავლის კარებს კი სიკვდილი მისდგომია მოურიდებლად.

ვაი, რომ ამათა ყოველი ამდაგვარი მისწრაფება ბედნიერების მოსაპოვებლად, უქმად იღწვიან გამდიდრების გზით ბედნიერების მაძიებელნი. ამათ ათენებენ უძილო ღამეებს ათასი სახის მოძღვადენი და მომხვეჭელნი ბედნიერების მიღწევის გზაზე. არც ერთ ამ „რანგის“ ადამიანს, არც ერთ ქვეყანაში, არასოდეს არა ჰქონია ბედნიერება.

ბედნიერება არ მოაქვს არც სიმდიდრეს, არც განდიდებას, არც სამეფო გვირგვინს, და არც ამდაგვარ რაიმეს. ბედნიერების მუდმივი და უშრეტი წყარო ყოველგან და უკელასათვის იყო, არის და იქნება შრომა, სიკეთე და სიყვარული. სიკეთესა და სიყვარულს ჩვენ რა თქმა უნდა ერთი კუთხიდან განვიხილავთ, ვინაიდან მოსიყვარულე გული არ შეიძლება უკეთესი არ იყოს, სიყვარული თავისთვად შეიცავს სიკეთეს, ამიტომ ჩვენი მსჯელობის საგანი სიყვარული იქნება.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ძალიან ფართო და ბევრის შემცველი ცნებაა, მასზე შეიძლება დიდი წიგნი დაიწეროს, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ჩვენი შურნალის ბეჭდვითი ფორმის რაოდენობის შესაბამისად, მოკლედ შევეხოთ ამ ფრიად საინტერესო და ყველასათვის მნიშვნელოვან ცხოვრების საკითხს.

დავიწყოთ უბრალო მაგალითებით:

წარმოიდგინეთ უკიდურესად განრისხებული ადამიანი, რომელიც იმ ზომამდეა მისული, რომ სადაცაა დანს დაარტყამს, ან ტყვიას ესვრის მას, ვიზედაც ის განრისხდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მასთან შედის მისი უაღრესად საყვარელი ძმა, ნათესავი, ან თუნდაც მოყვასი, რომელიც მას დიდი ხანია არ უნახავს. საქმარისია ამ საყვარელი ადამიანის გამოჩენა და მრისხანება ჯერ დაკლება, შემდეგ დაწყნარდება, სადღაც მიყუჩდება და როდესაც მოყვასი ერთმანეთს გადაეხვევიან. უკვე ღვთის მადლი იქნება ჩამდგარი მრისხანე ადამიანის თვალებში, და არაა გამორიცხული, რომ განრისხებული მის მოპირდაპირეს თავის საყვარელ მოყვასთან ერთად სადილზე ან ვახშამზე მიიწვევს და ისეთი სიამტკბილობა დაყმარდება მათ შორის, რომ სამაგალითო იქნება.

რა მოხდა? რამ ჩაქრო მრისხანება? სხვა ადამიანის შემოსვლამ? არა, სხვა შეიძლება ათი შემოსულიყო, მაგრამ მათ შემოსვლას შეიძლება მრისხანება კიდევ მეტად გაემწვევებინა. მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რომ განრისხებულთან ისეთი ვინმე მივიდა, რომელმაც სიყვარული შეიტანა გაცეცხლებულ გულში და სიყვარულმა კი მყისვე ჩაქრო ცეცხლი მრისხანებისა. ამრიგად აზვავებული ავკაცია შეცვალა ღვთის მიერმა სიყვარულმა, ანუ უბრალოდ და უანგაროდ შემოჭრილმა ბედნიერებამ.

დავუშვათ, რომ მიდიხართ სადღაც და გაიარეთ ერთ ტყის პირა ლამაზ სოფელში. ხედავთ რომ მინდვრად წითელბატოთან გოგონა დასძევს პეპელას დასაჭერად. ხედავთ ბუნების ამ ლამაზ ფონზე უმანკო ბავშვებს და თქვენდა უნებურად გიაყრობთ სურვილი, რომ მიხვიდეთ ამ ხორც შესხმულ ანგელოზთან, რომელიც არასოდეს არ გინახავთ და შესაძლოა ვეღარასოდეს ვეღარ ნახოთ, და ეამბოროთ მას.

რა მოხდა? რა არის ეს? ცხადია სიყვარული, რომ სიყვარული არ აღძრულიყო თქვენში, არც კოცნის სურვილი მოგივიდოდათ ამ უმანკო ბავშვისა. საიდან გაჩნდა ასე უცბად სიყვარული? ღვთიდან. ღმერთია თავად სიყვარული. ადამიანს გაჩენიდანვე უნერგავს ღმერთი სიყვარულს, ვინაიდან სიყვარულის გარეშე არ შეიძლება ადამიანი და სიცოცხლე რომ არსებობდეს. და თუ ვინმე თრგუნავს თავისთავში ღვთისგან ბოძებულ ამ საკეთეს და უკეთურობას ითვისებს მის ნაცვლად, მაშინ ის აღარც არის ადამიანი, მაშინ ის კერძია ეშმაკისა და ბოროტება და სიძულვილი შემოახვევს თავის კალთას ღვთისაგან განდგომილს.

ორი თუ სამი წლის წინათ ერთ თევზის საჭერ გემზე ასეთი ამბავი მოხდა: ბადე ამოზიდეს და მას სხვა თევზთა შორის დიდი დელფინი ამოჟყვა. იგი ავადმყოფი აღმოჩნდა. მეთევზე მეზღვაურნი ჩვეულებრივად დელფინს ისევ ზღვში ჩაუშვებენ ხოლმე, მაკრამ რადგანაც ის დელფინი ავად იყო, გემის ექიმმა ჯერ უმკურნალა, მოარჩინა და ორი თუ სამი დღის შემდეგ ჩაუშვეს ზღვაში. ორი საათის შემდეგ გემის მეზღვაურებმა შენიშვნეს, რომ მათგან განკურნებული დელფინი წინ მიუძღვდა დიდალ ჯოგს სხვა დელფინებისას და ყველა ისინი სხვა და სხვა სახის იღეთებით სწირავდნენ მადლობას კეთილ ადამიანებს, რომლებმაც განკურნეს და გაუშვეს მათი მოქმედ და ამხანავი. ეს ფაქტი თავისთავად ღვთაური სასწაულია, რომელიც უბრალოდ ასე აიხსნება: მეზღვაურებს უკარნახა ადამიანური სიყვარულისა და სიკეთის გრძნობამ, რომ დახმარებოდნენ საცოდავ ცხოველს და დაეხმარნენ, საპასუხოდ კი იმ ცხოველმა შეჰყარა თავისი ათასი მოქმედე, რომელნიც გემთან ერთად მისრიალებდნენ, თავისებურად თაყვანს სცემდნენ ადამიანთა სიკეთეს, და სიყვარულს სიყვარულით უპასუხებდნენ. „ყოველი სული აქებდით უფალსა“ ამბობს ფსალმუნზე ტკბილად მომღერალი წინასწარმეტყველი და მეფე, დავითი. ჭეშმარიტად, დელფინები თავიანთი საოცარი მოქმედებით აღიდებდნენ უფალს, შემოქმედს სიცოცხლისა და სიყვარულისას.

ზოჯერ ერთი ადამიანი თავს სწირავს მეორე ადამიანისთვის, ან ხიფათში აგდებს საკუთარ სიცოცხლეს, რომ სხვისი სიცოცხლე გადაარჩინოს. როგორ ხდება ეს? ვინ კარნახობს ადამიანს, რომ მისთვის ძვირად ღირებული მოქმედების ფასად სხვა დაიხსნას განსაცდელისა თუ გარდუვალი დაღუპვისაგან? რა თქმა უნდა ღმერთი, იმ სიყვარულის მადლით, რომელიც მისმა ძლიერებამ მომადლა მისგან შექმნილ ადამიანს, და არა მარტო ადამიანს, ყოველ სულდგმულს მიწისას.

სიყვარული წინ უნდა უძღვდეს სიცოცხლეს, რომ კეთილი გზით წარიმართოს იგი ამ ქვეყნად, დააკვირდეს ადამიანი თავის თავს და ის უცილოდ დაინახავს იმ დიდ ბედნიერებას, რომელსაც მას ანიჭებს საკუთარ გულში აღძრული სხვა გულისადმი სიყვარული, გაუწიოდოს გაჭირვებაში მყოფს, შრომით მონაგარი მცირედი და ის იგრძნობს ისეთ მადლსა და ბედნიერებას, რასაც მას ვერ მიანიჭებდა ანგარებით შექმნილი დიდი ქონება. სიყვარულისათვის ღმერთის ზღვარი არ დაუდია, ის უსაზღვროა, როგორც დრო და სივრცე. ადამიანზეა დამოკიდე-

ბული, თუ როგორ გაზრდის თავის გულში იგი სიყვარულს, როგორ გაუფრთხილდება მას, როგორ დღე და დღე ააღორძინებს, და შეცდება სხვასაც გაუზიაროს ღვთის მაღლი და დიდი სიკეთე. ანგარება, განდიდები-სადმი მისწაფება და სიმღიდრისადმი დაუოკებელი ლტოლვა აქრობს ადამიანში სიკეთისა და სიყვარულის გრძმობას. ადამიანს სიმღიდრეს ბოროტი სული აყვარებს, რათა ააცდინოს ის სიყვარულის, ე. ი. ბედნიერების გზას.

და განდიდება?...

ეს საშინელი კიბე ბოროტებისა.

საცოდავია განდიდების მოყვარული ადამიანი... ამაობის მაცდურ საფეხურზე მაღლდებიან და ემსობიან ბედნიერების ფუჭი გზებით მაძიებელნი... რა სიბრმავე და გონებრივი სიღატაკეა... ადამიანი ჯერ ამაღლების წყურვილით იტანჯება და შემდეგ კი დამხობას განიცდის მწვავედ... ეს წვალებაა, სად არის აქ ბედნიერება?

ამიტომა, რომ არც ერთი ჭეშმარიტი მორჩმუნე განდიდებისაკენ არ მიისწაფის. ცნობილია, რომ ჩვენი წმიდა მამები: ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელნი, ეფრემ მცირე და სხვები უარს ამბობდნენ მონასტრის წინამდლობაზე და ამჯობინებდნენ მორჩილად ყოფილიყვნენ უხუცეს მამებთან და დარჩენილი დრო ისეთ საქმეებზე გამოიყენებინათ, რომელიც სიკეთესა და სიყვარულს ემსახურებოდა.

სიყვარულია სიმშვიდის, სიკეთის, უმანკოების, სულიერი სიმღიდრისა და სილამაზის მარად ულევი წყარო. ზედმეტი არ იქნება შევეხოთ ცოლქმრული სიყვარულის საკითხსაც, რომელიც ასე ვთქვათ წაწილია საერთო ღვთიური სიყვარულისა. ცოლქმრულ სიყვარულს წინ უნდა უძღვდეს საერთო ადამიანური სიყვარული და არა ესა თუ ის სურვილი. როცა სიყვარული ამა თუ იმ სურვილზე შენდება, ეს უკვე ანგარებაა და არა სიყვარული. როდესაც ახალგაზრდები ვნებისაგან აღძრული მოჩვენებითი სიყვარულით უკავშირდებიან ერთმანეთს და არ ეძებენ ერთიმეორები სხვა თვისებებს, ასეთ საწყისებზე შექმნილი ოჯახები ხშირად ირლვევა და მათი ცოლქმრული სიყვარულიც ნელ-ნელა მიიპარება. ცოლქმრობა და ოჯახი ერთ რაღაც სურვილზე კი არ უნდა შენდებოდეს, არამედ მტკიცე ადამიანურ ურთიერთობა-

ზე. ცოლქმრულ სიყვარულს ღვთისა და ღვთიური სიყვარული უნდა უძღვდეს წინ. ღმერთმა ადამიანი სიყვარულისათვის შექმნა და არა სიმულვილისათვის. სიყვარულის გზა ჩვენ ღმერთმა მოვეცა, სიმულვილისა და ანგარების გზაზე კი ეშმაკი მიგვერეკება... გახსენ გონება საყვარელო ადამიანი, რომ ღვთისაგან ბოძებული შენი გონებით გამოიცნო თუ რაა უმჯობესი. აირჩიე თრიდან ერთი: ან სიყვარული და მის შედეგად სულიერი დიდი განცხრომა, სიმშვიდე სულის, პატივი და ღვთის მოწყალება, ან ანგარება, მომხვეჭლობა, მტრობა და სიმულვილი.

დაფიქრდი კარგად ჩემო ძმაო, ჩემო მოყვასო, თუნდაც მოძულევ ამ აზრების და ამ საქმისა! კარგად დაფიქრდი, გულმშვიდად და აუღელვებლად, თუ რა ადვალად შეგიძლია მიაღწიო ბედნიერებას უცოდველი გზით. განა ძნელია, რომ გიყვარდეს შენი მამა — შენი გამჩენი მაღალი ღმერთი? რომ გიყვარდეს შენი მომმე ადამიანი? ნუთუ არ მოსწონს შენს გემოვნებას ტყე და მინდვრები, მოხატული სიმწვანით და ყვავილებით? ღვთის მოწყალებით და ადამიანთა შრომის მაღლით გაშენებული ბაღ-ვენახები და ბევრი სხვა და სხვა სიკეთე მიწის? დიდებულება ზეცისა და მნათობებისა? ყველაური ეს შედეგია იმ დიდი სიყვარულისა, რომელსაც ღმერთი იჩენს ჩვენს მიმართ.

შეიყვარე ყველაური სუფთა ბავშვური უმანკოებით, ამ სიყვარულით შენ დაუახლოვდები შემოქმედს სრულყოფილებებისას და შენ იქნები უბედნიერესი ადამიანი ამ ქვეყნად.

განაგდე შენი გულიდან სიამაგე, ამპარტავნება, მრისხანება და სხვა ეშმაკეული, და განამზადე შენი თავი, რათა აღტაცებით მიხვიდე ნეტარების ამ დიდსა და ულევ წყაროსთან — სიყვარულთან. ნუ დაიკიწყებ ჩემო ტკბილო ადამიანო, ჩემო შვილო, ჩემო მოყვასო, რომ შენ ამ სიტყვების ეკლესია გელაბარაკება, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, რომელიც შენ მუდამ გიყვარდა და ახლაც გიყვარს. გაუხსენი შენი ვაჟკაცური გული ამ სამ საღვთისმეტყველო სათნოებას, სარწმუნოებას, სასოებასა და სიყვარულს რაც შენ დიდებით მიგიყვანს ზეციურ სამებასთან:

II

კაცო

კობრიობაა ისილა თვალით ერისტე-ე ღვთისა

ის ერთია, სახელიც მისი ერთია, სხვა და სხვა ხალხთა მიერ საკუთარ ენაზე წარმოთქმული. მაგრამ გადმოთარგმნის შემდეგ ყველა წარმოთქმა ღაღაღებს ერთს „ღმერთი“. ეს ექვსი ასობგერა, რომელთაგანაც შესდგება საოცარი სიტყვა „ღმერთი“ სასოებას აძლვეს სასომიხდილს, ზეცაში აჟყავს სიკეთისაგან აღტაცების დროს... მოსვენებას უკარგავს ცოდვის ჩამდენს და ავ

კაცს ყველას, ძილს უფრთხობს მუდამ მკვლელს და ავზაგს... „ღმერთი“ ამბობს მისი მოყვარული გული და მორჩილებით თავს ხრის დაბლა მიწამდე... „ღმერთი“ გაიფიქრებს ცოდვის ჩამდენი და შიშით შეძრწუნებული შეხედას... ბევრი ძრწის და კანკალებს მის წინაშე. მისი სახელის ხსენებაზე, მაგრამ სხვა და სხვა გვარია ეს განცდა და შიშით ცახცახი. ღმერთის მოყვა-



რულს გაოცება აშინებს თავისი, იმ ძლიერებით აღძრული, რომელსაც ის დმტრი ხედავს და რომელ ძალასაც ვერა სწვდება კაცის გონება... თავის სისუსტე და უმწეობა აშინებს კაცს ღმერთის წინაშე და საბოლოოდ ისევ ღვთის სიყვარული უქარწყლებს მას შიშსა და სისუსტეს... ის აძლევს ძალას, რომ მორწმუნე გულმა სასოებით უყუროს ზეცას, რათა ღვთის განუზომელი ძლიერება მას შიშს წყაროდ კი არ ექცეს, არამედ სიხარულისა და აღტაცების ჩანჩქერად, რომელსაც ღვრას ღვთის განება მის მოყვარულთა მაღლით სავსე ტკბალ სიცოცხლეზე. ბოროტი და ცოდვის ჩამდენიც განიცდის შიშსა და წუხილს, ისიც გრძნობს თავის სისუსტესა და უმწეობას. ხსნას კი ვერ ხედავს და უფრო მეტად ბოროტდება ცოდვის ჩამდენი ავი კაცი... სიხარულისა და აღტაცების ჩანჩქერის ნაცვლად მას მწუხარება ათოვს თავზე, მოუსვენრობა უმწარებს ბოროტი გზით მონაგარ ქონებას... ებრძვის იგი უძილო და შავბეჭდ ღამებს... ექვსი ასოსაგან შემდგარი ეს ერთი სიტყვა იტევს მთელ სამყაროს... უფრო მეტიც. ის განუზომლად მაღლა დგას ვიდრე სამყარო თავისი განონზომიერებებითა და ჰარმონიით.

„ღმერთი“ ვინ არის ის, სად არის იგი, როგორ შეიცნოს ჩვენმა სისუსტემ ეს მიუწვდომელი სიდიადე, ეს საოცრებაზე მაღლა მდგომი სრულყოფილება? წმიდა ღიადი ყოვლად ქებული მოციქულისა და მახარებლის იოანე ღვთისმეტყველის თქმით „ღმერთი არა სადა ვინ იხილა, მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა“ (იოანე 1, 18) „ღმერთი ვერავინ სადა იხილა“ ადვილი სათქმელია „ვერავინ სადა იხილა“, მაგრამ ჩვენ ხომ ადამიანები ვართ, სავსე მისგან ბოძებული მისწრაფებებითა და ცნობისმოყვარებით, ურთულესი გონებრივი ლაპირატორიითა და შორს ხედვის უნარით. ჩვენ გვინდა შევიცნოთ იგი, ჩვენ გვინდა ვნახოთ ის და დავრწმუნდეთ მის არსებობაში. ჩვენ ვიტყოდით, რომ ნათელზე ნათელია ეს მისწრაფება და კურთხეულია ის ცნობისმოყვარება, რომელიც ღმერთის მიუწვდომელმა ნებამ მომადლა მის ბავშვს, მისგან გაჩენილ სიცოცხლეს კაცისას. მაშ თუ ასეა რაღა გვიღებია წინ მისი შეცნობის გზაზე, ვინ გვიშლის ხელს, რომ ვიხილოთ იგი, ჩვენი გამჩენი, ჩვენი მამა, მოწყალე და პეთილი ღმერთი? არავინ, არავინ ჩემო გულუბრევილო ან გზას ამცდარო ადამიანო, არავინ გვიშლის ხელს, რომ შევიცნოთ, რომ ვიხილოთ იგი, თვით ღმერთი მოგვიწოდებს რომ ვეძიოთ იგი და ვიყოთ მასთან, დავემკვიდროთ იმის ეზოში, ვეზიაროთ მის უქრობ ნათელს იმ კარავში, რომელი კარვიდანაც მან დაიწყო არაფრისაგან ყველაფრის შექმნა... კი, მარგამ როგორ გავაკეთოთ ეს? როგორ მივაღწიოთ ამ მიუღწეველ საოცარ ამბებს? სრულიად უბრალოდ. სრულიად მარტივად, ისე უბრალოდ უნდა შევიცნოთ, როგორც ეს გვასწავლა მაცხოვარმა, თავათ უფალმა და ღმერთმა ჩვენმა იესო ქრისტებ.

მე-ღმერთი ჩვენი, მაცხოვარი, იხილეს ჩვენმა წინაპრებმა — ისტორიამ, რეგისტრაცია გაუკეთა ფაქტებსა და მოვლენებს იესო ქრისტეს განკაცებულად ხალხთა შორის ყოფნისა და იმ ღვთაებრივი სასწაულების

შესახებ, რომელთაც იგი ახდენდა ათასეულ ადამიანთა თანდასწრებით. ისტორიამ რეგისტრაცია გაუკეთა იმ საბუთებსაც, სადაც აღწერილია გარეგნული შეხედულება დედამიწაზე მოვლინებული ძე-ღმერთისა, მაშასადამე შეუცვლელი ჭეშმარიტებაა, რომ კაცობრიობამ თავისი თვალით იხილა უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე. ისიც შეუცვლელი ჭეშმარიტებაა, რომ კაცობრიობამ იხილა სულიწმიდა ღმერთი, მაცხოვრის იორდანეში ნათლისღებისდღეს, როდესაც ღვთის განგვამინება კაცობრიობისათვის განეცხადებინა ერთარსებობა სამებისა. ისტორია ქვეყნის ბრუნვისა, თავისი გაოცებული თვალებით შეჰყურებდა იორდანეში ჩამდგარ ძე-ღმერთსა, მასხედ მტრედის სახით გარდამოსულ სულიწმიდას და სწორედ ამ დროს სამყარომ მოისმინა მამა ღმერთის სანუკვარი ხმა „ესე არს მე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათხო-ვიყავო (მათე 3,17). მაშასადამე ჩვენ ვდგავართ იმ ფაქტის წინაშე, რომ კაცობრიობას სამებიდან არ უხილავს მხოლოდ მამა ღმერთი... და მისი ნახვაც სწყურია, მისი მიუწვდომელი ნათლის შვილებს—ადამიანებს ჩვენი მიწისას... რა ვენათ, როგორ ვუჩვენოთ იგი მოკვდავ სისუსტეს ჩვენი გულისას... ადვილი საქმე ხომ არაა. ჩვენ თვალს ვერ ვუსწორებთ მზის ელვარებას და როგორ შევხედოთ ბევრ მზეთა და ვარსკვლავთა გამჩენს? ამ საკითხით მუდამ იყო დაინტერესებული კაცობრიობა და ეს ინტერესი არც დღეს შენელებულა. მაცხოვარს თხოვდნენ მისი მოწაფები, რომ ეჩვენებინა მათვის მისი მამა, მაღალი ღმერთი. მოციქულმა ფილიძემ მას პირდაპირ უთხრა: „უფალო მიჩვენე ჩვენ მამა შენი, და კმა არს ჩუენდა“ (იოანე 14,8).

მაცხოვარმა თავის მოციქულს საყვედურის შემცველი გაოცებით უპასუხა: „ესოდენ უამ თქვენ თანა ვარ და არა მიცი მე, ფილიძე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაი ჩემი, და შენ ვითარ მეტყვი მე, მიჩურენ ჩუენ მამაი შენი; არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაი ჩემ თანა არს? სიტყუათა რომელთა გეტყვი თქუენ, თავით ჩემით არა გეტყვი, არამედ მამაი, რომელი ჩემ თანა არს, იგი იქმს საქმესა“ (იოანე 14,9). ასეთ არსებით ფაქტთა და მოვლენათა საფუძველზე მორწმუნეთავის სრულიად გარკვეული და ნათვლი უნდა იყოს სამების ერთარსობა, და ჰქონდეს ღვთაებაზე ოეალური წარმოდგენა, მაცხოვრის მიერ მოციქულ ფილიძესადმი მიცემული პასუხი, პასუხია მორწმუნეთავის საუკუნეთა დასასრულამდე. მორწმუნეთავის... მაგრამ ხომ არიან არა მორწმუნებიც, დაეჭებულნი და მაძიებელნი ღმერთის სახითა. მათ უნდათ როგორმე წარმოიდგინონ ღმერთი, შეიცნონ იგი, გონების თვალი გაუსწორონ თავიანთ ფიქრში გამოკვეთილ იმის არსებას და გზით ჩაისახოს, აღორძინდეს და განმტკიცდეს მათში ღვთაებისადმი დიდი რწმენა და სიყვარული. ღვთის მეტყველებას აქეს გარკვეული მრწამსი და პასუხი ამ საკითხის შესახებ. ღმერთი სულია სიყვარულისა და სინათლისა, იგი აბსოლუტური სულია, იგი დაუსაბამო და პირველი სუსტაცია ქვეყნისა. იგია აღფა და ომეგა, პირველი და უკანასკნელი სისავსე მარადიული მოძრაობისა და ცვალებადობისა, ისაა მიუწვდომელი გამოუთქმელი, ყველა მყოფი და დაფარული. ჩვენი შეზღუდული ბიოლო-

გიური აღნაგობისათვის ძნელად წარმოსადგენია ღმერთის ყველგან ყოფნა, მაინც შეგვიძლია ეს შევადაროთ პარენის ყველგან ყოფნას ჩვენი პლანეტის ირგვლივ, თუ კი პარენი, როგორც უსიცოცხლო ნივთიერება იმყოფება ყველგან, ჩვენი პლანეტის გარშემო, რატომ არ შეეძლება ღმერთს, რომ იყოს ყველგან თავისი ცხოველმყოფელობით? და მას შეუძლია ყველგან ყოფნა... ამისათვისაა ლოცვაში ნათქვამი: „რომელი ყველგან ხარ და ყოველსავეს აღავსებ მადლითა შენითა“ და ის არის ყველგან. როდესაც მისი დიდებული ხმა გაისმა იესო ქრისტეს ნათლობის დღეს იორდანეს მდინარეზე, „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი ძე სათონ ვიყავ“-ო, მას შეეძლო ასეთი ხმა გამოეცა სხვა უთვალავ ადგილზე, მაგრამ ეს არ მოხდა და არც შეიძლებოდა რომ მომხდარიყო, ვინაიდან იესო ქრისტე ერთი იყო, მხოლო შობილი ძე ღვთისა, და ღმერთის ხმაც სამყაროს იმ ნაწილში მოისმა, სადაც მაშინ იესო ქრისტე ინათლებოდა, ჩვენი მიწიერი შეზღუდულობის გამო, ჩვენთვის ისიც წარმოუდგენელია თუ როგორ შეიძლება იყოს სული გონიერი და ცხოველმყოფელი, რა გაეწყობა... რადგანაც ჩვენ სუსტნი და უღონონი ვართ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს იქით აღარაფერი არ არსებობს, ანდა ყველაფერი იმ ფორმით უნდა არსებობდეს, რომლის აღქმასაც შეძლებდა ჩვენი ფიზიოლოგიური სისუსტე. ჩვენ არა თუ ის არ ვიცით თუ რა არის და როგორი არის სული, ჩვენ ისიც კი არ ვიცით თუ რა არის ელექტრონა, რას წარმოადგენს ჩვენი მხედველობა, ჩვენი სმენა, გონება ჩვენი, მეხსიერება და სხვა და სხვა. ჩვენ ჩვენი მეცნიერული თვალით შევიცნობთ მხოლოდ მატერიალურ სამყაროს, მაგრამ არიან ისეთი მარად არსებითი საკითხები, როგორიცაა დრო და სივრცე, სიცოცხლე

და სიკვდილი. ამ საკითხებში გარკვევა ჩვენ მხოლოდ სულიერი ძიების გზით შეგვიძლია და ამ გზას „დღვისმეტყველება“ გვასწავლის, რომ ღმერთი ყველგან მყოფი აბსოლუტური სულია. იგია ნათელის წყარო. ბიბლიის ძველი აღთქმის, მოსეს პირველი წიგნის პირველი თავის მესამე მუხლი გვამცნობს რომ ღმერთმა ნათელი შექმნა პირველ დღეს, ხოლო მზე მეოთხე დღეს, ამრიგად ცხადია, რომ ნათელის წყარო ღმერთია თავად, მისგან გამოვლინდა ნათელი პირველსავე დღეს და შემდეგ კი შეიქმნა მზე, რომელმაც, ცხადია, მიიღო ენერგიისა და ნათლის წყარო პირველ დღეს მოვლენილი ღვთიური ნათელისაგან.

ღმერთია განუსაზღვრელი სიყვარული, მისი ყოველი მოქმედება: სამყაროს შექმნა, ადამიანისა და საერთოდ სიცოცხლის შექმნა, გოლგოთის მსხვერპლი, ევქარისტიის დაწესება, ეკლესიის შექმნა და სჯულის კანონის მიცემა ხალხთათვის, ყოველივე ეს ქვეყნისადმი ღვთიური სიყვარულის ჭეშმარიტი შედეგია. როგორც ვიცათ ამ ქვეყნად ხდება ბევრი ბოროტება, რაც შეუთავსებელია ღმერთის ძლიერებასთან და სიყვარულთან, მაგრამ ეს ხდება არა ღმერთისაგან, არამედ იმის გამო, რომ ადამიანები ხელჰყოფენ მორალურ კანონებს ღვთისას, იმის გამო, რომ ადამიანები ბოროტად იყენებენ ღვთისაგან მათზე მიმაღლებულ თავისუფლებას. მაშასადამე, ბოროტება და ტანჯვა გარდაუვალი შედეგია ცოდვისა. ღმერთს შეეძლო აღეკვეთა ბოროტება იძულებითი გზით, მაგრამ მაშინ ადამიანი უნდა გადაქცეულიყო წინასწარ განსაზღვრული მოქმედების შემსრულებელ ავტომატად და ამით წაერთმეოდა მას ის ღირსება, რომლისთვისაც იგი ღმერთმა შექმნა და თუ დღეს ზოგი ადამიანი ღვთისაგან ბოძებულ ღირსებას – სიკეთის გზას მიჰყება და ზოგი კი ცოდვის ჭაობში შეჰყავს მის მიერ არჩეულ გზას. ეს თვით ადამიანებიდან მომდინარეობს და ღმერთი ამ შემთხვევაში უზენაესი და ყოვლად შეუმცდარი მსაჯულია მხოლოდ. ღმერთმა ყოველივე მისცა ადამიანს სრული ბედნიერებისათვის, რასაც მას ვერავინ და გერაფერი ვერ წაართმევდა, ცოდვის გარდა. ადამიანის სიღიადე და ვაჟკაცობა ის კი არაა რომ დიდი სამდიდრე დააგროვოს, ღრეობასა და ზემის შეალიოს ღვთისაგან მიმაღლებული ძალდონე, არამედ ის, რომ ისე წარმართოს მისი სიცოცხლე და საქმიანობა, რომ არ დაანებოს ცოდვას და ბოროტებას ღვთისაგან ბოძებული უკვდავება და ბედნიერება.

ღმერთი არის სიკეთე, სიყვარული და ის ჩვენს ტანჯვას უფრო მეტად თანაუგრძნობს, ვიდრე ჩვენ ამას თავად განვიცდით, ღმერთს როგორც სრულყოფილ სიყვარულს უფრო მეტად უნდა ჩვენი გადარჩენა, ვიდრე ჩვენ თვით უცდილობთ ამას.

ღმერთის სრულყოფილება განსაზიერებულია მას მიერ შექმნილი სამყაროს კანონზომიერებებსა და დიდებულებაში. ამიტომ არ არის ერთ ან ნაშიერი, რომელთაც არ ჰქონდეთ სიტყვა „ღმერთი“. არაა ადგილი დედამიწაზე, საიდანაც არ აღავლენენ ღმერთისადმი.

ათასასე აღექსანდრიელის თქმით, ღმერთს არ შეიძლება ჯუწოდოთ არსება, მიღნად, რამდენადაც ამ წო-



დებით სახელდებული არიან მისგან შექმნილნი, ასე რომ ღმერთი ზებუნებრივი, ანუ ზეარსეა.

ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ ღმერთი, მაგრამ ჩვენი გარეშემოს მიხედვით შეგვიძლია ვიქონიოთ ნათელი წარმოდგენა მის ძლიერებაზე და მის სრულყოფილებაზე.

ღმერთია წყარო ჭეშმარიტებისა და ამ უშრეტი წყაროდან მივიღეთ ჩვენ გონიერი, რათა დავინახოთ ღმერთი და ვიზილოთ საქმენი მის ხელთაგან ქმნულნი. ეს ბუნებრივი შეცნობა გამოიხატება იმაში, რომ ღმერთია პირები მიზეზი ყოველივეს შექმნისა, და ქმნილებით ყოველთვის დასტურდება რომ არის შემქმნელი.

ჩვენი სიცოცხლე შეზღუდულია დროის მიერ. ჩვენ ვცხოვრობთ დროის ზონაში. ჩვენ მას აღვიქვამ სამ ნაწილად: წარსული, აწყო და მომავალი, ის რომელშიდაც ჩვენ განვიცდით საკუთარ თავს, იმყოფება ორ უძირო უფსკრულს – წარსულსა და მომავალს შორის. ჩვენი სიცოცხლის პაწაწინტელა კანდელი კიაფოსს ამ ორ უფსკრულს შორის; და გამუდმებით უბერავს მას ამაოების ქარი და გრიგალი სიველილისა. ვერავითარი იარაღით, ვერცერთი მეცნიერებითა და პირადი ვაჟეცური თვისებებით ვერ აღუდება ადამიანი წინ იმ უბედურებას, რომელიც მოაქვს მისი სიცოცხლის კანდელისათვის ამ ქარს და გრიგალს. ადამიანი ხედავს, რომ კანდელი ქრება... რომ ის აუცილებლად ჩაქრება, და განა შეიძლება ამ პირობებში ადამიანი განიცდიდეს რაიმე ბედნიერებას, თუ გინდ ის იყოს მთელი ქვეყნის მეფე-მფლობელი? რა თქმა უნდა არა, ერთადერთი ბედნიერების წყარო ღმერთია მხოლოდ და მასთან ერთიანობა. ეძიე იგი, მისი დიდება შორს არ დგას შენგან, შენ მოინდომე

მხოლოდ მისი ნახვა, ისწავლე ერთი მცირებულიცა, უნდაც მხოლოდ „მამაო ჩვენო“, დაიხოქე და გულმხურვალედ წარმოთქვი იგი უხილავი ღმერთის წინაშე, შენ დაგეხმარება შენი მამა, გამჩენი ღმერთი, რომ აგენილოს სულიერი თვალი და იხილო იგი, ვინაც სიკვდილი განაქარვა – თავისი ჯვარცმით თავისი აღდგომით, და უკვდაგება მოგვანიჭა ადამიანებს. აკი თვით მაცხოვარი ბრძანებს: „რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოეღოს, და რომელი ეძიებდეს, ჰპოვოს და რომელი ირეკდეს, განეღოს“ (მათე 7,8), ხოლო ყოველად ქებული მოციქული ითანე ღვთისმეტყველი თავის „გამოცხადებაში“ გადმოგვცემს: „აპა ესერა ედგა კარსა ზედა და გვირებ, უკეთუ ვინ ისმინოს ხმისა და განალოს კარი, და შევიდე მის თანა და ვჭამო მის თანა სერი, და მან-ჩემ თანა“ (გამოცხადება 3,20). შეიარაღდი მოყვასო ჩემო იმ სასოებით, რომელსაც მხოლოდ ღმერთი გვაძლევს, მისგან შექმნილ ადამიანებს და ეს სასოება აღუდება წინ შენი სიცოცხლის ჩამართებელ ქარსა და გრიგალს... გახსოვდეს კარგად, რომ კაცობრიობამ ნახა თვალით ქრისტე – ძე ღვთისა, იხილა მასზედ გარდამისული სულიწმიდა, მამა ღმერთის ხმა გაიგონა მთელმა სამყარომ, ხოლო ქმნილება მისი, ხელთუქმნელი და საოცარი, ჩვენს გარშემოა, მაშასადამე ღმერთი არის არა მარტო აბსოლუტური სული, არამედ ის არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელმაც ამ წუთიერ ცხოვრებაში ანთებული კანდელი ჩვენი სიცოცხლისა, უნდა გაიტანოს და დადგას მარადისობის კვარცხლბეკზე „სადა – იგი არა არს სალმობა, მწუხარება და სულთქმა“, არამედ მარადიული სიცოცხლე და ნეტარება. ამინ. ~~X~~

III

და აღგა ეპეყანას ნათელი ღვთისა

ალბად ბევრმა არც კი იცის, რომ წმიდა მირონი ჩვენი სამოციქულო ეკლესიისათვის მუდამ იხარშებოდა და იხარშება აქე, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი მცხეთის სვეტიცხოველში, ზოგჯერ თბილისის დედა სიონში. და აი, დადგა საჭიროება ამჟამადაც წმიდა მირონის მოხარშვისა, და მათმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორებმ განაკო, რომ ამჯერად მირონი უნდა მოხარშებულიყო საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქში, მცხეთაში – ჩვენს დიდებულ სვეტიცხოველში.

საინტერესოა იცოდეს ჩვენმა მრევლმა, ჩვენი ეპლების ყველა შვილმა, რომ მირონი იხარშება დიდი მარხვის უკანასკნელ კვირაში, ე. ი. ხარშვა მირონისა იწყება ბორბის მეორე დღეს – ორშაბათს და გრძელდება ოთხშაბათ საღამომდე. ოთხშაბათ საღამოს კი, როდესაც მირონი შეზავდება სურნელოვანი ზეოგანთა და სხვა, გადაიტანება ეს დიდი სიწმიდე წმიდა

ჭურჭელში და დიდი ხუთშაბათის წირვაზე კი ჩატარდება მისი სახეიმოდ კურთხევა.

და აი, დადგა 1980 წლის 31 მარტი, ორშაბათი, უღრუბლო ზეცა კაშკაშებს მცხეთისა და მისი შემოგარენის თავისებული ჩვენი დიდი სვეტიცხოველი, როგორც გაუხუნარი სიმბოლო აღდგომისა და უკვდაგებისა.

ხალხთმრავლობაა სვეტიცხოვლის ფართო ეზოში, თავად ტაძარიც სავსეა ხალხით. მრევლს უკეთ ეუწია, რომ დღეს დაიწყება მირონის ხარშვა... და აქ დგას უკავნათელმირონის მოყვარული ქართველი ხალხი, და შემობრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი თორმეტ მღვდელმთავართან ერთად, და აქა საქართველოს თითქმის მთელი სამღვდელოება... უპირველესად სრულდება ლოცვები. მღლოცველთა სახეებშე ბრწყინვას საზეიმო ნათელი და აღტაცება. ციმციმებს სანთელთა შეუქარება მორწმუნეთა ხელებში და სასანთლებზე; უჭურებს თვალი იმ გამო-

უთქმელ ნეტარებას და უნებურად გახსენდება ეს ტკბილი ლექსი: „იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა, ვარდთა დიონდა ნელი სურნელი“. ღვთიური მადლით იწოდა აღბათ ტაძრის „გუმბათი, კალთა“. ნელსურნელებას კი ოთხშაბათს შეაზვებს წმიდა ჭურჭელში მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღია მეორე. ამჟამად კი, დიდი ორშაბათის მე ღვთიურ დილას, მისმა წმიდა ხელებმა სითხე ჩაასხა წმიდა ჭურჭელში, სუფთა ბამბაზე სპირტდასხმული პატრუქი მიიტანა სანთლის ალთან, აბრიალდა ბამბა, ცეცხლი შეუნთო სახარშ ჭურჭელს და პირველმა მისმა უწმიდესობამ დაიწყო სახარების კითხვა, შემდეგ გადასცა სახარება მიტროპოლიტებს: ზინობს, გიორგის, გრიგოლს და შიოს, მთავარეპისკოპოსებს: ნიკოლოზ, იოანესა და თადეოზს, ეპისკოპოსებს: დავითს, კონსტანტინეს, ათანასეს, ამბროსისა და ქრისტეფორეს... და დაიწყო ღუღილი ღვთიურმა მადლმა ჩვენს ტაძარში, სვეტიცხოველში.

დიდზე დიდი ხანია ღუღს ღვთიური მადლი ამ დიდ ტაძარში, უბრალოდ როდი მომხდარა ამ წმიდა ტაძრის სახელდება უძველეს ღროში, წმიდა კვართი ჩვენი უფლისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესა, მცხეთელი ქალწულის – სიღონიას გულში ჩაკრული მიაბარეს ამ წმიდა მიწას. ხე ამოვიდა შემდეგ თურმე ამ ადგილზე და მირონმა დაიწყო დინება იმ წმიდა ზიდან. არ ყვითლდებოდა ფოთლები არც ზაფხულში და არც ზამთარში კეთილი ხისა და მოჟონავდა ცხოველმყოფელი მირონი ხის ტანიდან. წუთები წუთებს მიჰყებოდა, საათს საათი, ერთ დღეს მეორე ენაცვლებოდა, წელიწადი გზას უთმობდა შემდეგ წელიწადს და იფურცლებოდა ამდაგვარად უამთაბრუნვის ოქროს ფურცლები. მცხეთა კი იყო მწვანე მთებით შემოზღუდული, ჩვენი დედის იმდროინდელი კალთა და გული, ჩვენი მცხეთა, მაცხოვრის კვართის საუფლო... ენა ვერ აღწერს მცხეთის მრავალმშენიერებას, მის მადლისა და მის დიდ სიწმიდეს. ამიტომაა, რომ უყვართ ცცხეთა საქართველოს გულეთილ შეიძლებს. ქართველი კაცი თავისუფალ ღროს მცხეთაში მიეშურება, რომ თაყვანი სცეს სვეტიცხოველს, მყუდრო სამთავროს, ქედი მოუხაროს მირიან მეფისა და ნანა დედოფლის წმიდა საფლავებს, მოინახულოს წიწამური და საგურამო. და ბოლოს ისევ სვეტიცხოვლის მაღალ ჩრდილქვეშ შეფარებულმა იფიქროს ჩვენი სამშობლოს წარსულზე და მომავალ ბედზე... და ასე განუზომელად საყარელია ჩვენი მცხეთა... ქრისტიანობის დიდი ტახტის წმიდა საუფლო... მხოლოდ მარტო სამეფო ტახტი, შეა გაჰყოფდა მთელ სიყვარულს, მაგრამ იმის გამო, რომ აქ მიუჩინა საუფლო ბინა ღვთის განებამ ქრისტეს წმიდა კვართს, აქ შოავლინა ღვთისმშობელმა ქალწული ნინო ქრისტიანობის საქადაგებლად, და აქ დაიმკვიდრა თავისი ტახტი ქრისტიანულმა დიდმა ნათელმა, აღარ იყოფა სიყვარული ჩვენი მცხეთისა ქართველთა გულში და ანთია იგი, როგორც ლამპარი წარსულისა და მომავლის გასანათებლად... და ყოველივე ამის სიბოლოდ შემორჩა ისტორიას უფლის კვართის განსასვენებელ აღგილზე აღმოცენებული ხე, რომლის ტანიდან მოჟონავდა ცხოველმყოფელი წმიდა

მირონი, ჩვენი ქვეყნის წარსულის და მომავლის გასანათლავად. მცხეთა! ჰო, საყვარელო პატარა მცხეთა! რა განუზომელ სიღიადეს გმატებენ ის სიწმიდენი რომელსაც შენ ფლობ, შენ იხუტებ შენს მხურვალ გულში... ამიტომ გოვლიან შენ ქართველები თავის პატარა იერუსალიმად... ამიტომ მოგაშურეს შენ ცამეტმა სირიელმა მამამ, რომ მიეღოთ შენგან დიდი მადლი და შემდეგ აქედან დამკვიდრებულიყვნენ მთიან სარკინეთს (შიომღვიმეში) ზედაზეზე, მარტყოფში და გარეჯის ცნობილ უდაბნოში, სადაც ინება ღვთის განგებით დამკვიდრება წმიდა მამამ, დავით გარეჯელმა და სადაც იგი ღვთისაგან მისთვის მოვლენილი ირმის ტბილი რძით იკვებებოდა... ~~+~~

და ამიტომ უყვარდი შენ ასე ძალუმად ჩვენი ერის დიდ მამულიშვილსა და დიდ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს, რომელიც პიტიახშების სამარხებში ეძიებდა ჩვენი სამშობლოს განვლილ ღიდებასა და სიღუპირეს... მეხუთე საუკუნის შემდეგ კი, ჩვენო მცხეთავ, ჩვენთა მეფეთა და ქრისტიანობის ტახტის საუფლოვ მირონი ღუღს შენ ტკბილ მიწაზე აღმართულ წმიდა ტაძარში, და ვერ შეწყვიტეს ეს ღუღილი ვერც მტერთა ღიდმა ურდოებმა, ვერც მიწის ძრებმა და ვერც უამთა ბრუნვის მრავალგვარმა ორომტრიალმა... და ღუღს იგი ახლაც 1980 წლის დიდ თოხშაბათ ღღესაც. აი, მობრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი ჩვენი სამოციქულო ეკლესისა, მობრძანდა იგი – ჩვენი ერის ტკბილი მამა, უწმიდესი და უნეტარესი იღია II. მორწმუნე ხალხით გაესილია ტაძარიც, ეზოც. უყურებს ყველა პატრიარქება და მას მღვდელმთავრებს, მღვდლებსა და ბერებს. ყველას სწყურია ნახოს თუ როგორ მზადდება ცხოველმყოფელი წმიდა მირონი... და მათი უწმიდესობა აზავებს მას მრავალგვარი სურნელვანი ზეთებითა და ყვავილთა ძირებით... სამი ღღედამე ღუღდა იგი – წმიდა მირონი, სამი ღღე და ღამე განუწყვეტლად იკითხებოდა სახარება სვეტიცხოველში, ეს ყველივე იმას ნიშნავს, რომ სამი ღღე და ღამე გადმოდიოდა ღვთის დიდი მადლი იმ სიწმიდეზე, რომლითაც უნდა გაინათლოს ჩვენი ქვეყნის მომავალი ახალგაზრდობა და ჭეშმარიტების გზაზე დამდგარი, მირონცხებული შევიდეს იმ დიდ ნათელში, რომელსაც ქრისტიანობა ეწოდება.

ყველა წესის აღსრულების შემდეგ წმიდა მირონი გადატანილ იქნა კერამიკის მომცრო ქილებში და დაღგეს ქილები სვეტიცხოვლის მადლის ნათელში და იქ იდგომებიან იგინი ხეალამდე... ხეალ ხომ ღიდი ხუთშაბათია... მაგრამ უკვე გათენდა ხუთშაბათიც... ძლიერო ღმერთო! როგორ მიჰქრის ჩვენი ღროთა სვლა, როგორ მოიწევს ჩვენსკენ მყობადი, თუ ჩვენ მივიწევთ მყობადისკენ და აწყო მყისვე უერთდება უსაზღვრო წარსულს, და ჩვენ კი მუდამ წინ მივდივარო შეუჩერებლად... ასე ჩაბარდა ჩვენი ღიდი თოხშაბათი წარსულ ღღეთასვლას და გათენებულა ღიდი ხუთშაბათი. წმიდა მირონის კურთხევის ღღე... წირვა ღგას უკვე სვეტიცხოველში... კათოლიკოსი ბრწყინავს თავის ღვთიური მადლით... მგალობლები „წმიდაო ღმერთოს“ გალობენ უკვე, და გამობრძანდა პატრიარქი დიდ ამბონზე, მარცხენა ხელში ჯვარი უჭირავს, მარჯვენაში ან-

თებული ორსანთელა და შეჰქალადა ზეციურ მამას თავის ტებილი ხმით. „გარდამოიხილე ზეცით ღმერთო, და იხილე და, მოჰქედე ვენახსა ამას, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან“. ასე ღაღადებდნენ ამ დიდებულ ლოცვას ჩვენი ძველი მამათმთავრები და მღვდელთმთავრები ყოველი საღმრთო წირვის აღსრულების დროს, და აკი ისმინა ღმერთმა ეს ღაღადისი და მუდამ უხვად აძლევდა მისი მარჯვნით დარგულ ვენახს – ქართველ ხალხს, მაღლსა და სიმტკიცეს. ამ მაღლითა და სიმტკიცით დაბადა და შემოსა მან დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, და სხვა მეფენი ჩვენი ერისა. ამ მაღლმა და სიმტკიცემ ჩასწერა ქვეყნის ისტორიაში დიდგორის ომი, მარაბდა, ანისი, კრწანისი, ასპინძა და სხვა მრავალი, ამ მაღლმა და სიმტკიცემ აღაშენა დიდი ტაძრები საინგილოდან დაწყებული ართვინამდე და არტანამდე. თუ არა ეს მაღლი და სიმტკიცე, ვინ გამოჰქვეთდა სამხრეთულ კლდეში ყოვლად საოცარ წმიდა ქალაქს ცხობილ ვარძიას? დღეს საამურად გალობს გუნდიც, მორწმუნე ხალხსაც შეუწყვია მგალო-

ბელთათვის თავისი ხმა და ვეღარ იტევს ჩემინი დადი სვეტიცხოველი ღვთაებრივ ზეიმს... და მშმშედ დამამდე ეს ზეიმი ტაძრის თაღებიდან: პატრიარქი თავისი სრული სამღვდელოებით, სამღვდელოებას წინ მიჰკონდა წმიდა მირონით აღვსილი კერამიკის თავდახურული ქალები, ხატებით, ჯვრებითა და გულში ჩამწვდომი ტკბილი გალობით მიჰყვებოდა სახეგაბრწყინებული მორწმუნე ერი ამ სამახსოვრო საზეიმო წმიდა მსვლელობას და შემოატარეს ახლად ნაკურთხი წმიდა მირონი სვეტიცხოველის უკვდავ ტაძარს და მის დიდებას. შევიდნენ ტაძარში და როდესაც საღმრთო წირვა დამთავრდა და მისმა უწმიდესობამ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. ქადაგება დაიწყო, შიგნით, ტაძარში მორწმუნეთა სატეობა არ იყო და ჰქედავდა გარედ დარჩენილი ხალხი, რომელიც არტანამდე და არტანამდე. მზის ქვეშ მცეთა და სვეტიცხოველი, და ადგა ქვეყანას ნათელი ღვთისა.

მიტროპოლიტი
შიო (ავალიშვილი)



ეპლესიათა მსოფლიო საბჭოს კონგრესი მელიშვილი

ავსტრალიის ქალაქ მელიშვილში ექლესიათა მსოფლიო საბჭოს კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, უწმიდესისა და უნეტარების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-ურთხევით, თბილისიდან მიღლინებული იყო აგარაკალისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე).

საბჭოთა დელეგაციას, რომელიც მელიშვილში ჩავიდა, აეროპორტში დახვდნენ ექლესიათა მსოფლიო საბჭოს წარმომადგენლინი. იმავე დღეს, ბერძნული ეკლესის მთავარეპისკოპოსის მიწვევათ, საბჭოთა დელეგაცია დაქართვის სალამის ლოცვას, ხოლ უძღვებ ვაჭახამს, რომლის დროსაც ბერძნება მასპინძლებები დიდის სიუგარულით მოიკითხეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოში მცხოვრებ ბერძნები.

12 მაისს, ქ. მელიშვილის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, კონფერენცია გახსნა ექლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა დოკტორმა ფილიპ პოტერმა. კონგრესის გახსნას დაესწრო ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ვიქტორის შტატის გუბერნატორი.

კონგრესის პლენარული სხდომები მიეღვნა ავსტრალიელი ერის ყოფა-ცხოვრების საკითხებს და ბიბლიის ანალიტიკურ გარჩევას.

15 მაისს, სხდომაზე მოხსენება წაიკითხა ლათინური ამერიკის აბირიგნა წარმომადგენლიმა, რომელიც შეხეხ კათოლიკური ექლესიების აურაცხელ სიმღიდეებს და მის პარალელურად არსებულ მოწმუნეთა გაჭირებასა და სილატკებას.

16 მაისს, სხდომაზე მოხსენები წაიკითხეს სხვადასხვა ქვეყნების დელეგატებმა და მათ შორის აგარაკალისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ამბროსიმ.

17 მაისს, კონგრესის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ავსტრალიის სხვადასხვა ექლესია-მონასტრებში გამართულ წირვა-ლოცვებში, საქართველოს ექლესის წარმომადგენლის, ეპისკოპოს ამბროსის, ამ დღეს წილად ხვდა იუგოსლავის ხერბების მართლ

მადიდებელთა მონასტრებში უოფნა. ეპისკოპოსმა პარაკლისი გადახადა წმ. ილია წამებულისათვის, ხოლო მეორე დღეს მანვე შეასრულა წირვა ვიკტორიის შტატის ერთერ პროტესტანტულ ეკლესიაში,

19 მაისის პლენარული სხდომა მიეღვნა მდიდარ სახელმწიფოებში ხალხების აუტანელ გატირებას, ზაგალითად მოყვანილი იქნა ამერიკის შეერთებული შტატები. სხდომაზე, ალბინული იყო, რომ უკეთესი აღმინის სიძლიერე ღმერთის ეკუთხინს, და თუ ასეთი ადამიანები, ან სახელმწიფოები ლარიბებს დახმარებას არ გაუწევდა, ამით ისინი პასუხის აგებენ დღითის წინაშე.

20 მაისს, პლენარული სხდომაზე, ძველი და ახალი აღმქმის ანალიტიკური გარჩევის შემდეგ ეკლესიათა დელეგაციები სადილად მიიწვევა ამერიკის შეერთებული შტატების პროტესტანტული ეკლესის წარმომადგენლებმა, რომლის დროსაც საუბარი გაიმართა ქრისტიანულ მეგობრობაზე.

21 მაისს, პლენარული სხდომის ეკუმენიკურ დარბაზში წირვა ჩატარა კონგრესის მონაწილე უკელ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა.

იმავე საღამოს, საქართველოს, საბერძნეთის, რუმინეთისა და რუსეთის ეკლესიათა დელეგაციები ვაჭაბად მიიწვევა ავსტრალიაში სომხერი ეკლესის ეპისკოპოსმა აჭამიანმა. ვაჭაბაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს წარმომადგენლი, რომელმაც ხაზი გაუსვა სომხეთი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. ეპისკოპოსმა ამბროსიმ ალნიშნა, რომ, როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ეკლესის ჰყავს თავისი პატრიარქები, რომელთა შორის საუკუნეების წინ დაწესებული ძმური სიყვარული დღესაც გრძელდება, რასაც მოწმობს ახლახან სომხეთის პატრიარქის გაზევნ I სტუმრობა საქართველოში. ქართველთა და სომხეთის მეგობრობის ნათელსაფრთხოების ეპისკოპოსმა მოიყვანა მრავალი მაგალითი.

კონგრესის მსოფლიობის დღეებში, ავსტრალიის გაზეთებში დაიბეჭდა საემაოდ ბევრი ვრცელი სტატია, რომელიც ექლესის მართლობას და მიულოცა კონფერენციის წარმატებით დამთავრება.

ასამბლეის მსვლელობას. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ასამბლეაზე მონაწილეობისათვის, ნათევამი იყო ერთ-ერთ სტატიაში, ჩამოიდა დელეგაცია საბჭოთა კავშირიდან 15 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ამერიკის გაერთიანებულ სამღვდელოებასთან ერთად, დიდი წევლილი შეავს ამ თა დიდ ქვეყანას შორის ლვოური ნების, კაცთა შორის სათნოებისა და ლვოური სიყვარულის დამკვიდრების საქმეში.

დისკუსიების ბოლო დღეებში უნდა გადაწვიტილიყო ასამბლეის კომუნიკების მიღების საკითხი, რომლის დროსაც გაიმართა მეტად მძაფრი კაბათი; მთელი რიგი სახელმწიფოთა დელეგაციები დაიღინდნენ კომუნიკეში შეეტანათ ისეთი საკითხები, რომელიც წმიდა პოლიტიკური ხასიათისა იყო და საერთო არაფრი ქეონდა ქრისტეს მოძღვრებასთან და საერთოდ რელიგიურ მსოფლმხედველობასთან:

კომუნიკეს საკითხი საბოლოოდ გადაწვიტა კონფერენციის მონაწილეთა კენტის საკითხი; საბჭოთა კავშირიდან წარგზავნილ სამღვდელოების რეზოლუციას მხარი დაუჭირა 68 დელეგატმა, მათ შორის ამერიკის დელეგაციამ და საბოლოოდ იგი მიღებულ იქნა. იმავე საღამოს, სულიწმიდისმოფენის დაწესებისას, პროტესტანტულ ეკლესიაში შედგა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ლეინინგრადის მიტროპოლიტი ანტონი, კიევის მთავარეპისტობოს მაკარი, აგარაკალკისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ამბროსიმ და უკელ დელეგაციების წარმომადგენლები, რის შემდეგაც ქრისტესმიერი სიყვარულით დაშორდნენ ერთმანეთს.

26 მაისს, საბჭოთა დელეგაცია უკვე მოსირვში დაბრუნდა, სადაც მათ გულთბილი შევერდა მოუწყვეს მოსკოვის საგარეო განყოფილებისა და ჩელიკის საბჭოს წარმომადგენლებმა. იმავე დღეს დელეგაციის წევრები მიიღო სსრ კავშირის რელიგიის საგარეო განყოფილების დამსახურების ეპისკოპოსმა ამბროსიმ და უკელ დელეგაციების წარმომადგენლები, რის შემდეგაც ქრისტესმიერი სიყვარულით დაშორდნენ ერთმანეთს.

ბერად აღვანიშვილი ქართველი მეცნები და მათი ოჯახის ფევრები (ბაგრატიონია გვარიდან)

1. დემეტრე (დიმიტრი I), — დავით ალმა-შენებლის ძე, მეფობდა 1125—1155 წწ. ბერად შედგა დანიელის სახელით, მონაზონნბაში დატყო ერთი წელი, გარდაიცვალა 1156 წ. წყაროები: ნიკორწმიდის სულთა მატიანეში იკითხება: „დიმიტრი მართლმადიდებელისა მეფისა, რომელმან მონაზონნბისა ღვაწლთა შემსვეთია სრულყო საჭირო ეს. საუკუნის იყავნ ხსენება...“¹ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე:

„წარვლო ცხოვრება და მიიწია სრულ-ჯმილი სიბერება, შეიმოსა ჩინა და იყურ-თხა სქემით, დაყო წელიწადი ერთი და მო-კუდა“².

2. თამარი, დავით ალმაშენებელის ასული, დაი კატაისი (ბიზანტიის იმპერატორის შვი-ლის ბრიენის მეუღლე, და დიმიტრი I მე-ფისა, ცოლყოფილი აღსაჩონ შირვან შა-ზისა, აშენა თიღვის ეკლესია.

შემონიშვნდა თომას სახელით, საფიქრე-ბელია, თიღვის მონასტერში. გარდაიცვალა 1156 წ.

ნიკორწ. სულთა მატ.: „თამარ თომაი და-სა დედოფლისა და მეფისა, მონაზონნბისა ზეშთა განგრძინვებულისა საუკუნის იყავნ“³. ქართლის ცხოვრება: „ამასვე წელ-სა მეფე დემეტრე მოკუდა და დაი დემეტ-რესი თამარ, თიღვისა აღშენებელი, იგიცა

1 ექ. თაყაიშვილი, მეფეთა და კათოლიკოს-თა სულთა მატიანე, ნიკორწმიდის ხელნაწე-რი, პარიზი, 1939, გვ. 8.

2 ქართლის ცხოვრება II, ტექსტი დაგენ-ნილი... ს. ყაუხებიშვილის მიერ. 1959, თბი-ლის, გვ. 366.

3 იგულისხმება მისი და კატაი, რომელიც იყო ბიზანტიის იმპერატორის შვილის მე-უღლე.

შემონაზონებული გარდაიცვალა და დაი მი-სი კატაი დედოფლის საბერძნეთს გათხოვილ იყო“⁴.

3. ალექსანდრე I დიდი, კონსტანტინე I-ის ძე, მეფობდა 1412—1443. ბერად შედგა 1443 წ. აბრამაშის სახელით მცხეთას, სადაც აშენა საღვამად სახლი მისი სამარხის, მთა-ვარანგელოზის ეკვდერთან.

ნიკორწ. სულთა მატ.: „ლვთივ გვირგვი-ნისისა მეფეთ-მეფისა ალექსანდრე ყოფი-ლისა აბრამაშის საუკუნის იყავნ“⁵.

ქართლის ცხ.: „ქართლინიკონა რლ (1443)... ხოლო თვით მეფემან ალექსანდრე სახე მო-ნაზონებისა შეემოსა და უშინდეს სახელად ათანასე, და აღაშენა მისთვის სენაქი და სახლი დიდი ქვიტკირისანი მცხეთას მის-გან აშენებულს მთავარანგელოზის ეკუ-დერთან, და მუნ დადგა ვიდრემიდის ცხოვ-რობდა, სასოებითა და მოლუაწებითა“⁶.

ზემომოტანილ წყაროებში ალექსანდრეს მონოზნობის სახელი სხვადასხვაა: აბრამაში და ათანასე. როგორც ექ. თაყაიშვილიც ფიქრობს, ნამდვილად უნდა მივიჩნოთ აბ-რაკაში. რადგან ეს ცნობა დოკუმენტური ხა-სიათისა და უფრო ადრინდელიც⁷, ვიდრე „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექ-სტი.

4 ექ. თაყაიშვილი, გვ. 8.

5 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 366.

6 ე. თაყაიშვილი, გვ. 9.

7 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 474.

8 ნიკორწმიდის სულთა მატიანე, ჩართუ-ლია ნიკორწმიდის ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია ხელნ. დედნიდან (გადანაწერი დედ.) XVI ს-ში, იხ. იქვე, გვ. 9.

9 ექ. თაყაიშვილი, გვ. 9. ქარაგმები აქ და ყელგან გახსნილია ჩევენ მიერ.

10 ექ. თაყაიშვილი, გვ. 9.

4. კონსტანტინე II, დემეტრე მეფის ძე, მე-ფობდა ქართლში 1479—1505. ბერად შედგა კვირილეს (კირილეს) სახელით.

ნიკორწ. სულთა მატ.: „ლვთივ გვირგვი-ნისისა მეფეთ მეფისა კონსტანტინე ყოფი-ლისა კვირელი, საუკუნის იყავნ“⁸.

5. თამარი, ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის მეუღლე. შემონიშვნდა თეკლას სახე-ლით.

ნიკორწ. სულთა მატ.: „თანამეცხედრისა მათისა დედოფლა დედოფლისა თამარ ყო-ფილისა თეკლესი საუკუნის იყავნ სენება“⁹.

თამარ ყოფილი თეკლას სახენებელი სულთა მატიანეში მოტანილია კონსტანტინე მეფის სახენებლის შემდეგ, ამიტომაც აქ იგულისხმება მისი მეუღლე. კონსტანტინეს ჰყავდა მეუღლედ თამარი.

6. დავითი, კონსტანტინე II-ის ძე, მე-ფობდა ქართლში 1505—1525. ბერად შედგა დამიანეს სახელით, ნიკორწ. სულთა მა-ტიანე: „ლვთივ გვირგვი-ნისისა მეფეთ მე-ფისა დავით ყოფილისი დამიანესი საუკუნი იყავნ სენება“¹⁰.

7. გიორგი IX, კონსტანტინე II-ის ძე, მეფობდა ქართლში 1525—1527, ბერად შედგა გერასიმეს სახელით.

ნიკორწ. სულთა მატ.: „გიორგი ყოფილ-სა გერასიმესი საუკუნის იყავნ სენება“¹¹.

8. ბაგრატი, კონსტანტინე II-ის ძე (ქართ-ლის მეფის ძე), მუხრანის მფლობელი ბაგ-რატიონი.

ბაგრატი ბერად შედგა ბარნაბას სახე-ლით¹².

11 ექ. თაყაიშვილი, გვ.

12 იქ 3 ვ, გვ.

საქართველოს კათოლიკოს-კატოლიკოსი, მეცნები (ბაგრატიონია გვარიდან) ოჯახის ფევრები

9. დავითი, მეფე მცხეთაში შემ

კათოლიკოსობდა 1660 იანვრიდან—1676 წ. 20 სექტემბრამდე¹³.

15 ბ. ლომინაძე, მასალები საქართვე-ლის XVII—XVIII სს-თა ქრონილებისა-თვები, ჟურნ. მსკი, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 68.

12. დომენტი IV, ლევანის ქ, ბაგრატიონი, ერისკაცობაში დამიანე, კათოლიკოსობდა 1705—1741. 1725 21 მარტი—1739 წ. 27 ოქტ. საქართველოში არ იყოფებოდა 16.

13. ანტონ I, იესეს ქ, ბაგრატიონი, ერისკაცობაში თეიმურაზი, კათოლიკოსობდა 1744—1755; 1764 წ. მარტი.

14. ანტონ II, მეფე ერეკლე II-ის ქ, კათოლიკოსობდა 1788—1811.

წყაროები ერთი შემთხვევის გარდა არ მცუთითებს მეფეთა ბერად შედგომის აღგილს (გამონაკლისია ალექსანდრე დიდი, იხ. ზემოთ), მაგრამ ამის გარევევა აღვილია.

დემეტრე დავით ალმშენებლის ქ ბერად უნდა შემდგარიყო გელათის მონასტერში.

16 ბ. ლომინაძე, მასალები საქ. და ქავე. ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 69—70.

17 იქვე, 71.

რომელიც მისმა მამაშ აშენა მეფეთა საქალედ და სალოცავად. გელათს დემეტრემ ამაგი დასდო: მას ეკუთვნის ტაძრის მოხატვა და საერთოდ მისი საბოლოო დამთავრება 18, დასაფლავებულია გელათში 19 და, ცხადია, ამ მხრივც უეპველია: სადაც მოლვაწეობდა, იქ დასაფლავეს.

ალექსანდრე (I) დიდის მიმართ პირდაპირ მითითებულია, რომ ბერად შედგა მცხეთაში, სვეტიცხოვლის მონასტერში, და დასაფლავებულია იქვე, მთავარანგელოზის ეკლესიაში.

საერთოდ, მცხეთის სვეტიცხოველი ითვლებოდა მეფეთა საქალედ და სალოცაველებისიდ, ცხადია, რომ დანარჩენი მონიშნონი მეფეები: კირილე კონსტანტინე ყოფილი გელათის მცხეთაში.

ლი, დამიანე დავითყოფილი, გერასიმე გორგობიყოლი და მუხრანის, შფლობელი ბარაბა ბაგრატიუნილი, ბერად შეტანები მცხეთაში, სვეტიცხოველთან არსებულ მონასტერში, და აქ დასარულეს ცხოვრება.

ცველა კათოლიკოს-ბატრიარქი, მათ შორის მეფის ოჯახის წევრებიც ცხოვრობდნენ და მოლვაწეობდნენ მცხეთაში, დასაფლავებული არიან მცხეთის საპატრიარქო ტაძრში.

უნდა ვიუიქროოთ, რომ მცხეთის სვეტიცხოველთან XV—XVII სს-ში, საჭიროების შემთხვევაში, და არა მუღმივალ, იქმნებოდა დედათა მონასტერი, სადაც მოლვაწეობდნენ მონიშნონი ქალები მეფის ოჯახიდნ.

ანალოგიური ვითარების ერთი შემთხვევა წყაროებში დადასტურებული გვაქვს ალევირდის მონასტრის მიმართ, სადაც იყო ქალთა განყოფილება კახეთის მეფეთა ოჯახის წევრებისათვის.



საქართველოს ცხოვრება

10 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სიონის საპატრიარქო ტაძარში საკვირაო საღმრთო ლიტურგიას აღსრულების შემდგომ, პანაშკადი გადაუხადა კათოლიკოს-პატრიარქს მელქისედეკ III-ს (ფხალაძეს) მისი გარდაცვალების 20 წლისოვის გამო, რომელიც დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში.

პანაშკადის ესტრებოლენინ: მღვდელთმთავრები, მღვდელმსახურნი და მცხეთის სასულიერო სემინარის მსმენელები. აგრეთვე, კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ს ოჯახის წევრები, ახლობლები და მრევლო.

ვატიკანი,

1980 წლის 19 ნოემბერი

მის მაღალყოვლად-უსამღვდელოესობას, სრულიად საჭართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჩროვპისკოპოსს კონსტანტინეს

ძვირფასო მეუფეო,

დიდად გმადლობთ, 1980 წლის 21 აგვისტოს გამოგზავნილი № 305

წერილისათვის. სასიხარულოა, რომ ჩვენი „ინფორმეიშნ სერვისის“ წერილები გულთბილად მიიღეს პატრიარქატის თანამშრომლებმა, მორწმუნე ხალხმა და თქვენი სემინარიის სტუდენტებმა. სიამოვნებით გიზიარებთ შთაბეჭდილებებს თქვენი უურნალის შესახებ. მხედველობაში მაქეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ბეჭდითი ორგანო „ჯვარი ვაზისა“.

მისი უწმიდესობის ილია II-ის რომში ვიზიტის დროს მივიღეთ ამ უურნალის 1978 წლის 2 და 1979 წლის 1 გამოცემა.

ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ ავ ნომრებს და სასურველი იქნება თუ მივიღებთ შემდეგ ნომრებსაც, ჩვენი უურნალის „ინფორმეიშნ სერვისში“ გაცვლის სახით.

უურნალი „ჯვარი ვაზისა“ მაღალ შეფასებას იმსახურებს იმიტომ, რომ იგი კომპეტენტურად აღწერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებასა და აქტიურ მოღვაწეობას, აგრეთვე, იმიტომაც, რომ

იგი ქართველ მორწმუნებს აცნობს სხვა ეკლესიების ცხოვრების არსა. აწვდის ცნობებს ვიზიტების, ქადაგებებისა და ეკუმენური მოძრაობის შესახებ. ამგვარად, „ჯვარი ვაზისა“ ხელს უწყობს ქრისტიანთა შორის ურთიერთობის განმტკიცებას და სრული მშევიდობიანობის დამკვიდრებას დედამიწაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ხელს უწყობს აგრეთვე თეოლოგიურ განათლებას და უსათუოდ დაეხმარება ქართულ ენაზე ლოგისმეტყველების განვითარებას.

ბეჭნიერი ვარ რა, რომ გიზიარებთ ჩემს შთაბეჭდილებებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ორგანოს „ჯვარი ვაზისა“ შესახებ, ვრჩები.

თქვენი უფლისმიმორი ერთგული პირ დიუპრე.

მფლისი მოადგილე (ვატიკანი)

ამონაზერი საქართველოს ეკლესიის ფილია სიცოდის საღოვანი ობები

1980 წლის 12 იანვარს, უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა.

მოისმინეს: კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოხსენება იმის შესახებ, რომ საქართველოს წმიდა სინოდის ყველა წევრისაგან წმ. სი-

ნოდში შემოვიდა წერილობითი თხოვნა, რათა საქართველოს ეკლესიისა და ერის წინაშე დანაშაულებათა გამო, მიტროპოლიტი გაიოზი განკვეთილ იქნას ყოველგვარი სამღვდელო ხარისხიდან და ბერობიდან შემდეგის გამო:

1. გამოიყენა რა უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II-ის მძიმე ავადმყოფობა, საპატრიარქოდან გაიტაცა და მითოვისა ძვირფასი ხატები,

პანალიები, კვერთხები, ბარძიმ-ფეშუმები, ჯვრები, წიგნები და სხვა მრავალი.

2. მსგავსი მოქმედება ჩაიდინა მან საქართველოს მრავალ ტაძარსა და მონასტერში.

3. მრავალ გატაცებულ ძვირფას საეკლესიო ნივთებიდან და ხატებიდან ამოღებული ძვირფასი ქვები მან გაყიდა.

იმ მიზნით, რათა დაეფარა დანა-

შაულებრივი კვალი, გაანადგურა საპატრიარქოს საინვენტარიზაციო წიგნი და ოქტომბერის ზოგიერთი მასალა.

4. ეკლესიის ცხოვრებაში განხეთქილების მიზნით შეპქონდა არეულობა. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილიას მოსაყდრეობის დროს, შეეცადა არაკანონიერი გზით დაუფლებოდა საპატრიარქო ტახტი.

5. გარდა აღნიშნულისა, მისი პი-

როვნებისათვის დამახასიათებელი იყო ერეტიკული აზრების გამოთქმა და გავრცელება, რომელსაც უარყოფს მართლმადიდებელი ეკლესია.

ამ მძიმე დანაშაულებათა მიუხედავად, საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდი ცდილობდა დაეყენებინა იგი მონანიების გზაზე.

1978 წლის 25 მაისს მიტროპოლიტი გაიოზი დაპატიმრებულ იქნა, რო-

დესაც იგი ცდილობდა გაეყიდეთ სატრიარქოს კუთვნილი ტიხვინის ღვთისმშობლის ხატიდან ამოღებული ზურმუხტის თვლები.

სასამართლო ძიებამ დაადასტურა მიტროპოლიტ გაიოზის დანაშაულებანი, გაასამართლა ის და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების ალვეთა.

წმიდა სინოდმა იმსჯელა ყოველივე ზემოხსენებულზე და

გ ა ნ ა ჩ ი ნ ა:

თანახმად წმ. მოციქულთა კანონის X XV მუხლისა, კართაგენის კრების XII მუხლისა და რუს-ურბნისის კრების I და VI მუხლებისა, მიტროპოლიტი გაიოზი (ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი) განკვეთილ იქნას ყოველგვარი სამღვდელო ხარისხი-დან და ბერობიდან სამუდამოდ, როგორც ყოვლად მიუღებელი პიროვნება საეკლესიო სამსახურისათვის.

ამ კრებათა დაგენილებების საფუძველზე ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი რჩება ერის კაცად და ეძლევა უფლება, მონანიების შემთხვევაში, მიიღოს წმ. ზიარება.

უკეთუ ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი არ დაემორჩილება წმ. სინოდის დადგენილებას და განაგრ-

ძობს შფოთს, თანახმად მოციქულთა კანონის X XVIII მუხლისა, იგი სრულიად განიკვეთება მრევლის რიგითი წევრობიდანაც.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ი ლ ი ა II

წმიდა სინოდის წევრები:

ზინობი, თეთრწყაროელი მიტროპოლიტი.

გიორგი, მანგლელი მიტროპოლიტი.

გრიგოლი, ალავერდელი მიტროპოლიტი.

შიო, ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი.

ნიკოლოზი, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი.

იოანე, ჭყონდიდელი და აგარაკ წლებილი მთავარეპისკოპოსი.

თადეოზი, წილქენელი მთავარეპისკოპოსი.

დავითი, ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი.

კონსტანტინე, ურბნელი ეპისკოპოსი.

ათანასე, ბოდბელი ეპისკოპოსი.

ამბროსი, ნიკორწმიდელი და მარგვენელი ეპისკოპოსი.

ქრისტეფორე, ეპისკოპოსი ახალციხისა, მესხეთ-ჭავახეთისა და ცაგერ-ლეჩეუმ-სვანეთისა.

საკლესიო მატიანებან

19 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა, ჩვენი უფლის, ღვთისა და მაცხოვრის ნათლისძების დღისადმი მცდლინი სამრთო-საღლესასწაულო წირვა. წირვის აღსრულებისას კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, მღვდელმსახურების, მგალობელთა გუნდისა და მრევლის თანხლებით, გალობითა და ლოცვა-კურთხევით შემოუარა სიონის ტაძარის, რის შემდგომ, საპატრიარქოს ეზოში დადგმულ იორდანეზე ავიდა და ათასობით მრევლის თანდასწრებით აკურთხა წყალი. სიონის ტაძრის ეზო და მიმდებარე ქუჩები ხალხით იყო სავსე. ყველას სურდა მოწმე გამხდარი-

ყო იმ მომენტისა, როდესაც იოანენათლისმცემელის ხელით ნათელი იესო ქრისტემ, წყლიდან ამომავალ უფლის თავზე გაიხსნა ცა, სული წმიდა მტრედის სახით გარდამოვიდა მასზე და ზეციდან მოისმა ხმა მამაღმერთისა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნოვცყავ“ (მთ. 3,17).

23 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავის რეზიდენციაში მიიღო ფინეთის რადიოს კორესპონდენციები: ბატინი პენტი კემიაინენი და ხედი ვოლეტელაინენი. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო გასცნობოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტო-

რიას და აწმყოს, რომლის შესახებაც აპირებებ წიგნის გამოცემას. შეხვედრის დროს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ პასუხი გასცა კორესპონდენციაზე ყველა კითხვას, რაზედაც სტუმრებმა გულითადი მაღლობა მოახსენეს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს.

4 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად აკურთხა ბერმონოზონი გიორგი (ერისკაცობაში — კარლო ადიშვილი).

21 მარტს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმი-

დესი და უნეტარესი ილია II და-ესტრო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „რუსთავის“ დაარსების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრი-არქს ილია II-ს თან ახლდნენ: ბა-თუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი და-ვითი (ჭყალუა); ურბნელი ეპისკოპო-სი კონსტანტინე (მელიქიძე); დია-კონი როსტომ ლორთქიფანიძე და რეფერენტი მ. თარხნიშვილი.

30 მარტს, სრულიად საქართვე-ლოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმი-დესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სი-ონის საპატრიარქო ტაძარში აღასრუ-ლა საღმრთო-საღდესასწაულო წირ-ვა, მიძღვნილი ჩვენი უფლის იერუ-სალიმში დიდებით შესვლის — ბზო-ბის დღისადმი.

საპატრიარქოდან სიონის ტაძრამ-დე, ქუჩის მთელი სავალი ნაწილი მოფენილი იყო ბზის ტოტებით, რო-მელზედაც კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს უნდა გაევლო. სიონის ტა-ძარი და მისი შემოგარენი ხალხით იყო სავსე. ასობით სანთელი ციმცი-მებდა ეზოში დადგმულ შანდლებში. ტაძარში მრევლის ტევა არ იყო.

ამ დღეს მწირველი იყო საქართვე-ლოს ეკლესის საჭირობელი ილია II, რომელმაც წირვის აღსრუ-ლების შემდგომ მრევლს, ჩვეული სიყვარულით და დიდის შთაგონე-ბით მოუთხრო უფლის შესვლა იე-რუსალიმში და ამ დღის უდიდესი მნიშვნელობა ქრისტიანული სამყა-როსათვის.

განუმეორებელი სანახავი იყო მრევლის მიერ პატრიარქისადმი მაღ-ლა აწვდილი ბზის ტოტების მთელი ტევა.

გალობა გალობას ცვლიდა. პატ-რიარქი ხალხს ლოცავდა, რაზედაც პასუხად გაისმოდა გუგუნით „ამინ!“

დღესასწაული დასასრულს მიუხს-ლოვდა. სიონის მგალობლები და მრევლი ხმიერად გალობდნენ:

„ღვთისმშობლის წილხედრს — ჩვენს საქართველოს, აწ და მარადის ქრისტეს გზით ევლოს!“

ამ სიტყვებით მიაცილებდა ტაძ-რიდან მაღლიერი ხალხი ერის სუ-ლიერ მამას, კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, როგორც გახსენება ჩვე-ნი უფლის იესო ქრისტეს დიდებით შესვლისა იერუსალიმში.

3 აპრილს — დიდ ხუთშაბათს, მცხეთის სვეტიცხოვლის საქართვე-ლოს ტაძარში, სრულიად საქართვე-ლოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწ-მიდესისა და უნეტარესის ხელით აღსრულდა ქართული ეკლესის მი-რონის კურთხევა. მირონის დამზა-დება ჯერ კიდევ ტველი აღთქმიდან მოდის. იგი მოხსენიებულია დავით მეფის 44 ფსალმუნში და აგრეთვე ახალ აღთქმაში (მათე 2,11; 26,8).

მირონკება არის აღამიანის სულ-ჟე ღვთის მაღლის გარდამოსვლა. იგი მზადდება მკაცრად დადგენილი წე-სით და მოიცავს მრავალ კომპო-ნენტს, რომელშიაც მთავარია ეგვიპ-ტური წარმოშობის სურნელოვანი ყვავილების ზეთები.

მირონი იხმარება ახალი აღთქმის საიდუმლოთა აღსრულებისას და აგ-რეთვე სხვა საჭიროებისათვის.

საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია თავისი დაარსების პირველივე დღიდანვე დამოუკიდებლად ხარშვას მირონს.

მირონის მოხარშვა ხდება 4—5 წე-ლიწადში ერთხელ.

მიმდინარე წელს მირონის დამზა-დება მოხდა სვეტიცხოვლის ტაძარ-ში. სამი დღელამის განმავლო-ბაში, მირონის ხარშვის დროს, მღვდელმსახური მორიგეობით აღ-ვლენდნენ ლოცვას უფლისადმი, ხო-ლო მირონის ხარშვის შემდეგ დღეს, დღიდ ხუთშაბათს, მოხდა მისი კუ-რთხევა.

4 აპრილს, სრულიად საქართვე-ლოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმი-დესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სიონის საპატრიარქო ტაძარში მი-რონის დაარსების მიზანით გახსენებული იქმნა ნიკორწმიდის საეკათედრო ტაძრის მღვდელმსახუ-რად.

4 აპრილს, სრულიად საქართვე-ლოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწ-მიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სიონის საპატრიარქო ტაძარში საკვი-რაო წირვის აღსრულების დროს, დიაკონად აკურთხა ბერმონოზონი ევსევი (ერისკაცობაში ევგენი სოხა-ძე) და მივლინებულ იქნა სამოღვა-წეოდ ბეთანიის მამათა მონასტერში.

5—6 აპრილს, სრულიად საქართ-ველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწ-მიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სიონის საპატრიარქო ტაძარში აღ-სრულა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის ღლისადმი მიძღვნილი სა-ღმრთო წირვა. სიონის ტაძარსა და მის შემოგარენში, ხალხის ტევა აღარ იყო. ღმის 11 საათია. სიონის ტაძარში შემობრძანდა საქართვე-ლოს ეკლესის კათოლიკოს-პატრი-არქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

გალობის ფონზე კათოლიკოს-პატ-რიარქს შეხვდნენ: მღვდელმთავრე-ბი, მღვდელმსახური და მცხეთის სასულიერო სემენარიის სტუდე-ნტები.

შუალამის 12 საათისათვის კათო-ლიკოს-პატრიარქმა, სამგზის შემო-უარა ტაძარს ლიტანიობაზე და ტა-ძარში შესულმა მრევლს სიხარულით აუწყა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგო-მა. ათასობით მრევლმა სიხარულით ვე უპასუხა, „ჰეშმარიტად!“.

მგალობელთა გუნდი ხმიერად ღა-ლადებდა: „ქრისტე აღსდგა მცვდრე-თო...“.

დილამდე გრძელდებოდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე დღისადმი მიძღვნილი ღლესასწაული.

12 აპრილს, სრულიად საქართვე-ლოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმი-დესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავის რეზიდენციაში მიიღო მსოფ-ლის უდიდესი იაპონური გაზეთის „იომიური შიმბურნის“ კორესპონ-დენტები: ბატონი კოზო კიმურა და ბატონი იოშინორი ტონდო. მათი ჩა-მოსვლის მიზანი იყო, გასცნობოდ-ნენ რელიგიის მღვდელმსახურას საბ-ჭოთა კავშირში და კერძოდ, საქარ-თველოში.

ილია II-სთან საუბრის შემდგომ იპონელ სტუმრებს ნათელი წარმო-

დგენა შეექმნათ საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის ირგვლივ. ბატონიმა კოზო კიმურამ განაცხადა, რომ იაპონიის ქალაქ საპორტში გამომდინარე გაზეთ „ჰოკი ტაიმსში“ მოთავსებული იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II-ის ფოტოსურათი და მისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილი და ოლუთქვა ამ გაზეთის გამოგზავნა.

15 აპრილს, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაესწრო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლს „რიჩარდ III“-ს.

კათოლიკოს-პატრიარქს თან ახლდნენ:

ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი). ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე). ურბნელი ეპისკოპოსი კანსტანტინე (მელიქიძე). არქიმანდრიტი იოაკიმე ასათიანი, დეკანზი გურამ შალაშერიძე, პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი და რეფერენტი მ. თარხნიშვილი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 1980 წლის 22 აპრილს თავის რეზიდენციაში შეხვდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საბჭოს თავმჯდომარეს პატივუმულ კუროედოვს. გაიმართა საქმიანი საუბარი, რომლის მსვლელობის ღრასაც გაშეილულ იქნა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის რეზიდენციის შესაფერისი შენობის გადაცემის, სასტუმროს მშენებლობისათვის ნაკვეთის გამოყოფის, საქართველოს საპატრიარქოს დამხმარე საწარმოთა მოწყობისა და სხვა საჭირო საკითხები.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი; ურბნელი ეპისკოპოსი კანსტანტინე; ნიკორწმიდელი და მარგვეთელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე; სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

მაკარცევი; სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრკ მისურაძე; რწმუნებულის პირველი მოადგილე ილია რურუა.

30 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სიონის საპატრიარქო ტაძარში არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა მღვდელმონიშონი ბასილი და დანიშნა იგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრულუფლებიან წარმომადგენლად მოსკოვის საპატრიარქოში.

მამა ბასილი (ერისკაცობაში ირაკლი სისაური) განათლებით მხატვარია. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის სრული კურსი. 1980 წლის 31 იანვარს აღკვეთილ იქმნა ბერად. 1980 წლის 3 თებერვალს ნაკურთხი იქმნა დიაკონად, ხოლო 1980 წლის 30 მარტს ხელდასხმულ იქმნა მღვდელმონიშნად.

6 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში აღასრულა გიორგობის ღლიადმი მიძღვნილი საღმრთო-საღლესაწულო წირგა.

წირვის აღსრულების შემდგომ, ილია II-მ ხალხის წინაშე იქადაგა წმიდა გიორგის ცხოვრებასა და მოლვეწეობაზე, მის საკვირველმოქმედებაზე და იმ დიდ სიყვარულზე, რომლითაც იგი სარგებლობს ქართველ ერში 16 საუკუნის მანძილზე. საქართველო და წმ. გიორგის სახელი განუყოფელია. იგი ერის სინდისია და თავდადება. მისი სახელით ქრისტიანი იმარჯვებდა მომხდურ მტერთან და მისი სახელით აღშენებდა მრავალ ხელთუქმნელ ტაძრებსა თუ მონასტრებს. სწორედ ამან განაპირობა, რომ მთელი მსოფლიო ცნობს და უწმდებს საქართველოს, როგორც წმ. გიორგის ქვეყნას, „ჭორჩია“, „გეორგიენ“, ხოლო ქართველებს კი — წმ. გიორგიელებს.

9 მაისს, გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, სრუ-

ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გვირგვინით შეამკო გამარჯვების პარკში მდებარე უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

გვირგვინის მიტანის დროს ილია II-ს თან ახლდნენ: წილკნელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი, პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი და საქართველოს ეკლესიის მემატიანე მიხ. თარხნიშვილი. აგრეთვე, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში, პატივცემული გივი მაისურაძე და რწმუნებულის აპარატის თანამშრომელი თარ ჯაში.

იმავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ყვავილებით შეამკო სამას არაგველთა საფლავი.

10 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ინახულა საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოწყობილი თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევართა ექსპოზიცია. გამოფენის ექსპონატები ძირითადად შესრულებული იყო ბუნების წიაღშა მიკვლეული ხის ფესვებით, გირჩებით, ფოთლებითა და ყვავილთა გვირგვინებით. გამოფენამ ილია II-ზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს საქართველოს ფაუნდაციას და ფლორის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების მიერ მოწყობილი დეკორატიული და სამოსამსახურო ძალების, აგრეთვე დეკორატიული ფრინველებისა და თევზების გამოფენა.

16 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაათვალიერა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ქართულ სიძველეთა ახლადმოწყობილი ექსპოზიცია. ახსნა-განმარტებას იძლეოდა საგანძუროის გამგე, აკადემიკოსი ლალი ჯავახიშვილი.

ილია II-მ მაღალი შეფასება მისა
კა ახლადგახსნილ ექსპოზიციას.

26 მაისს, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა
და უნეტარესმა ილია II-მ სიონის
საპატრიარქო ტაძარში აღასრულა
სულთმოფენობის დღისადმი მიძღვ-

ნილი საღმრთო-სადღესასწაულო
წერვა. ამ დღეს, საქართველოს ეკ-
ლესიის მწყემსმთავრის თანამწირ-
ველი იყვნენ: ჭყონდიდელი მთა-
ვარეპისკოპოსი იოანე; წილკნელი
მთავარეპისკოპოსი თადეოზი; ბათუმ-
შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი;

ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელმწიფ
ტაძრის წინამძღვარი, არქიმიშატლისტი
სოკრატე; არქიმანდრიტი ბასილი;
მღვდელი ზაზა გიორგობიანი; იღუ-
მენი ანანია; პროტოდიაკონი ლვითი-
სო შალიკაშვილი და მცხეთის სასუ-
ლიერო სემინარიის მსმენელები.



ეკუმენურ გზებზე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გამგზავრების წით
(თბილისის აეროპორტში). სურათზე მარტინიდან მარჯვნივ — მთავარეპისკოპოსი დავითი,
მთავარეპისკოპოსი კომისტანტინე, მთავარეპისკოპოსი იოანე, მხატვარი ა. ბანძელაძე, პროტო-
დიაკონი ხვთისო შალიკაშვილი, უწმიდესი ილია II, მიტროპოლიტი ნიკოლოზი; ჩელაგიას
საქმეთა ჩრმონებული გ. მაისურაძე, ეპისკოპოსი ამბროსი, მღვდელი არჩილ ლაფერშვალი,
მღიგანი გ. შიოლაშვილი

გ 0 6 ა ა რ ს 0

სააღდგომო ეპისტოლე — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრია- რქის ილია II	3
უწმილესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ- რიარქის ილია მეორის ვიზიტი იერუსალიმსა და რომში	
იერუსალიმში	8
რომში	13
საქართველოს ეკლესიის დელეგაცია საფრანგეთში	19
ორი პატრიარქის შეხვედრა	20
წმიდათა ცხოვრება	
მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება და მოღვაწეობა	21
იონა წინაწარმეტყველის წიგნი	26
ცხოვრება მეფე დიმიტრი თავდაჯებულისა	30
თეოლოგიური წერილები	
სარწმუნოება, სასოება, სიყვარული	35
კაცობრიობამ იხილა თვალით ქრისტე — ძე ღვთისა	40
და ადგა ქვეყანას ნათელი ღვთისა	44
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონგრესი მელბურნში	47
ბერად აღკვეცილი ქართველი მეფეები და მათი ოჯახის წევრები	48
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (მეფეთა ოჯახის წევრები)	48
საეკლესიო ცხოვრება	50
ამონაწერი საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმიდან	50
საეკლესიო მატიანედნ	51
რეზიუმე რუსულ ენაზე	55
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	55

საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1980 წ.

თბილისი. სონის ქ. № 4. ტ. 99-69-30.

ტირაჟი 1000. შეკ. 1011.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, ქუთაისის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

